

# **აღსრულება**

## **სარჩევო უზრუნველყოფა**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოქებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2020, №12

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Administrative Cases  
(in Georgian)**

2020, №12

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Verwaltungssachen  
(in der georgischen Sprache)**

2020, №12

**Решения Верховного Суда Грузии  
по административным делам  
(на грузинском языке)**

2020, №12

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ლიანა ლომიძე**

**ტექნიკური რედაქტორი  
გარიგა გაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:**

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 21 03;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

## საქითხელი

### 1. აღსრულება

აღსრულების მოთხოვნის შეუსრულებლობის მიზეზის გარკვევის მნიშვნელობა .....	4
იძულებითი აუქციონის შეჩერებისა და შეწყვეტის დაუშვებლობა, აღმასრულებლის ქმედებების გასაჩინოების ვადა .....	28
სააღსრულებო ბიუროს განკარგულების კანონიერება .....	53
ხანდაზმულობის მოტივით სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის კანონიერება .....	70
ხანდაზმულობის მოტივით სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების კანონიერება .....	94

### 2. სარჩელის უძრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერება .....	113
დროებითი განჩინება როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება .....	126
აღსრულების შეჩერება როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება .....	143
მესამე პირის მიმართ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დაუშვებლობა .....	148
სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება მოპასუხის მიმართ .....	161
გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება .....	167
სამშენებლო სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული აქტის შეჩერება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით .....	173
სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების მიზანი .....	184
ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება .....	192
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნებისთვის სადაცო ადმინისტრაციული აქტის შეჩერება .....	199
სარჩელის უზრუნველყოფის სახით დროებითი განჩინების მიზანშეწონილობა .....	208

## 1. აღსრულება

### აღსრულების მოთხოვნის შეუსრულებლობის მიზანის გარკვევის მიზანის მიზანის მიზანის მიზანის

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1012(კ-19)

5 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: კ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელების დავალება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ვ. გ-მა 2018 წლის 10 მაისს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო  
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე  
სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ. მოსარჩელემ მოპა-  
სუხისთვის ვ. გ-ის სასარგებლოდ 314 992 ლარის გადახდის დაკის-  
რება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს  
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის №2/  
23037-17 დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სპს „...-ის“ სარჩელი  
დაკმაყოფილდა; „K.-ს“ სპს „...-ის“ სასარგებლოდ გადასახდელად  
დაკეისრა 4 800 000 ლარი; „K.-ს“ დაეკისრა სპს „...-ის“ სასარგებ-  
ლოდ ყოველდღიურად 4 800 000 ლარის წლიური 7%-ის გადახდა  
2014 წლის 1 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; „K.-  
ს“ სპს „...-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 5 000 ლარი სარჩელის აღ-  
ძრისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-  
ლეგიის 2017 წლის 7 დეკემბრის განჩინებით (საქმე №2/23037-17)  
ვ. გ-ის განცხადება (შუამდგომლობა) დაკმაყოფილდა; თბილისის  
საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017  
წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში (საქმე №2/23037-17) და-  
სახელებული კრედიტორის სპს „...-ის“ უფლებამონაცვლედ დად-  
გენილ (ცნობილ) იქნა ვ. გ-ი და აღნიშნული განჩინების საფუძველ-  
ზე კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის – ვ. გ-ის სასარგებლოდ,  
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლე-

გიის 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების (საქმე №2/23037-17) ალსრულების მიზნით განისაზღვრა სააღსრულებო ფურცლის გაცემა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2017 წლის 11 დეკემბერს გაცემულ იქნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებასა და 2017 წლის 7 დეკემბრის განჩინებაზე, სააღსრულებო ფურცელი (№2/23037-17) კრედიტორის უფლებამონაცვლების – ვ. გ-ის სახელზე.

2017 წლის 12 დეკემბერს ვ. გ-მა (კრედიტორმა) განცხადებით მიმართა სსიპ ალსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს, მოვალე – „K.-ის“ მიმართ, რომლითაც იძულებითი აღსრულების მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2017 წლის 11 დეკემბერს გაცემული №2/23037-17 ზემოაღნიშნული სააღსრულებო ფურცლის აღსრულება მოითხოვა, აღსასრულებელ მოთხოვნად მიუთითა: 4 800 000 ლარი, 5000 ლარი და 124360,27 ლარი. კრედიტორის მიერ გადახდილი საფასურის ოდენობამ კი შეადგინა – 5000 ლარი.

მოსაარჩელის განმარტებით, მის მიერ წარდგენილი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაიწყო სააღსრულებო წარმოება და NA17141209-005/001 წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ მოვალე „K.-ის“ წარმომადგენელს გ. გ-ს ჩაბარდა 2017 წლის 18 დეკემბერს. 2017 წლის 18 დეკემბერს „K.-ის“ წარმომადგენელმა გ. გ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ ალსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელს და მიუთითა, რომ დაკისრებული თანხის ჩამოჭრა მომხდარიყო სრულად, გადაწყვეტილების წებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლამდე, საინკასო დავალებით სს „კ.-ში“ არსებული კომპანიის ანგარიშიდან. 2017 წლის 20 დეკემბერს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა NA17141209-007/001 წერილით მიმართა სს „კ.-ს“ და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მითითებული საინკასო დავალების კონტროლზე აყვანა მოითხოვა 6053660,27 ლარის ფარგლებში. სს „კ.-ს“ ლიკვიდატორის რ. ც-ის 2017 წლის 28 დეკემბრის №6გ/398 წერილით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელს NA17141209-007/002 წერილის პასუხად ეცნობა, რომ ბიუროს მიერ 20.12.2017 წელს წარდგენილ საინკასო დავალებაში №01/55-01 მითითებული გადამხდელის საბანკო ანგარიშებს ედო ყადაღა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 მაისის №12/3630 განჩინების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „კ.-ი“ ვერ ახორ-

ციელებდა ბიუროს 20.12.2017 წლის NA17141209-007/001 ნერილით  
ნარდგენილი საინკასო დავალების №01/55-01 შესრულებას.

მოსარჩელის განმარტებით აღსრულების ეროვნულმა ბიურომ  
განახორციელა აღსრულება და ამოიღო ნაწილობრივ თანხა, თუმ-  
ცა მოვალისაგან ამოღებული თანხის განაწილებისას განსაზღვრა  
აღსრულების საფასურის ოდენობა და კრედიტორზე გადასაცემი  
თანხიდან ჩამოჭრა 314 992 ლარი. 2018 წლის 9 მარტს ვ. გ-მა გან-  
ცხადებით (რეგისტრაციის №12939) მიმართა სსიპ აღსრულების  
ეროვნული ბიუროს, რომელშიც მიუთითა, რომ მოვალემ ნებაყოფ-  
ლობით შეასრულა აღსრულების მოთხოვნა და შესაბამისად, მას  
უნდა დაკისრებოდა მხოლოდ კრედიტორის მიერ ნინასწარ გადახ-  
დილი აღსრულების საფასურის შესაბამისი ნაწილი – 5000 ლარი.  
აღნიშნულიდან გამომდინარე, ვ. გ-მა მიუთითა, რომ აღსრულების  
საფასურის ოდენობად უნდა განსაზღვრულიყო კრედიტორის მი-  
ერ ნინასწარ გადახდილი აღსრულების საფასური – 5000 ლარი, ნაც-  
ვლად 314 992 ლარისა. ამასთან, მიუთითა, რადგან ამოღებული თან-  
ხა არ იყო საკმარისი კრედიტორის მოთხოვნის სრულად დასაკმა-  
ყოფილებლად, მოითხოვა აღსრულებელ ნაწილში სააღსრულებო  
ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება. სსიპ  
აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 10 აპრილის №124335  
ნერილით ვ. გ-ს, 2018 წლის 9 მარტის №12939 განცხადების პასუ-  
ხად განემარტა, რომ აღმასრულებლის მიერ თანხის განაწილება  
განხორციელდა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ვინაი-  
დან, მართალია, მოვალემ გამოთქვა მზადყოფნა განხორციელე-  
ბულიყო მისი ანგარიშიდან საინკასო დავალების საფუძველზე ამო-  
საღები თანხის სრულად ჩამოჭრა, თუმცა თანხის აღსრულების  
ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩარიცხვა მოხდა მოვალისათვის სა-  
აღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული მოთხოვნის ნებაყოფ-  
ლობით შესრულებისათვის კანონით დადგენილი ვადის დარღვე-  
ვით. მოსარჩელის მოსაზრებით, სააღსრულებო ნარმოება განხორ-  
ციელდა ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ მოვალის განცხა-  
დების საფუძველზე, რის გამოც აღსასრულებელი თანხიდან აღ-  
სრულების საფასურის სრული ოდენობით დაფარვა არასწორი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 10 იანვრის გა-  
დაწყვეტილებით ვ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;  
დაევალა მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს მოსარ-  
ჩელის ვ. გ-ის სასარგებლოდ 314 991,35 ლარის გადახდა. აღნიშნუ-  
ლი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ აღსრუ-  
ლების ეროვნულმა ბიურომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის განჩინებით სსიპ აღსრულების

ეროვნული ბიუროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უც-ვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინ-სტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც გაიზიარა სააპელაციო პალატამაც.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული სარჩელის საგანი შეიძლება გახდეს ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი მოქმედების განხორციელების ან ამ მოქმედების განხორციელებაზე უარის კანონიერება, რაც ზიანს აყენებს პირის ინტერესს და შესაბამისად, მოთხოვნილ იქნეს ამ მოქმედების განხორციელება ან მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავება. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ექვეზუნქტის თანახმად, კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ან პირდაპირ სასამართლოში – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 1 თვის ვადაში. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იძულებითი აღსრულების განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელიც ვალდებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად მოახდინოს აღსრულება. სააღსრულებო ორგანოების მოქმედება უნდა გამომდინარებდეს სააღსრულებო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებიდან. ამასთან, თუ სააღსრულებო წარმოების მხარე არ ეთანხმება წარმოების დროს განხორ-

ციელებულ რაიმე მოქმედებას, მას უფლება აქვს სადაცოდ გახა-დოს ეს მოქმედება (უმოქმედება) და მოითხოვოს მისი უკანონოდ ცნობა. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე სადაცოდ ხდის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან მოვალე „K.-ისა-გან“ ამოღებული თანხის განაწილებას და უთითებს, რომ აღსრუ-ლების საფასურის ოდენობად უნდა განსაზღვრულიყო კრედიტო-რის მიერ წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასური 5000 ლა-რი, ნაცვლად 314 991,35 ლარისა, ვინაიდან მოვალემ შეტყობინე-ბის მიღებიდან 7 დღის ვადაში წერილობით აცნობა აღსრულების ბიუროს, რომ თანახმა იყო ნებაყოფლობით განეხორციელებინა აღ-სრულება და მომხდარიყო გადახდა ინკასოს საფუძველზე მის ან-გარიშზე არსებული თანხიდან. ამდენად, სააპელაციო პალატის მო-საზრებითაც, განსახილველი დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელო-ვანია იმის დადგენა, მოცემულ შემთხვევაში მოვალის მხრიდან ად-გილი ჰქონდა აღსრულების მოთხოვნის ნებაყოფლობით თუ იძუ-ლებით აღსრულებას.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამარ-თლოს მსჯელობა მასზედ, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესა-ხებ“ საქართველოს კანონი ანესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტ-რაჟის, რესტრიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომი-ტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სის-ხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტებისა და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გა-დაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პირობებს. „სააღსრუ-ლებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრუ-ლებას ექვემდებარება კერძო და აღმინისტრაციული სამართლის საქმებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტი-ლება, განჩინება და დადგენილება, გარდა ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერ-თობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებისა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2017 წლის 12 დეკემბერს ვ. გ-მა (კრედიტორმა) განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღ-სრულებო ბიუროს მოვალე „K.-ის“ მიმართ, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2017 წლის 11 დეკემბერს გაცემული №2/23037-17 სააღსრულებო ფურ-ცლის იძულებითი აღსრულება მოითხოვა, აღსასრულებელ მოთ-ხოვნად მიუთითა: 4 800 000 ლარი, 5000 ლარი და 1243660,27 ლარი. კრედიტორის მიერ გადახდილი საფასურის ოდენობამ კი შეადგინა

5000 ლარი. სსიპ ალსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღ-  
სრულებო ბიუროს მიერ მიღებულ იქნა კრედიტორ ვ. გ-ის იძულე-  
ბითი ალსრულების თაობაზე განცხადება მოვალე „K.-ის“ მიმართ  
და საქმეს მიენიჭა ნომერი A17141209. პალატის მოსაზრებით, სა-  
ქალაქო სასამართლომ მართებულად მიუთითა „სააღსრულებო წარ-  
მობათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლზე, რომლის  
პირველი პუნქტი ადგენს, რომ ალსრულების ეროვნული ბიურო სა-  
აღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი ალსრულების შესახებ  
კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურ-  
ცლის საფუძველზე. ამავე ნორმის მე-7 პუნქტის თანახმად, ალ-  
სრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ინფორმირება ხდება  
სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. მო-  
ვალეს ეცნობება: ინფორმირებიდან 7 დღის ვადაში მოთხოვნის ნე-  
ბაყოფლობით შესრულების შემთხვევაში მხოლოდ კრედიტორის  
მიერ წინასწარ გადახდილი ალსრულების საფასურის შესაბამისი  
ნაწილის, ხოლო ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში  
– ალსრულების საფასურის სრული ოდენობით დაკისრების შესა-  
ხებ. განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ სსიპ ალსრულების  
ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრუ-  
ლებლის მიერ 2017 წლის 13 დეკემბერს, №2/23037-17 სააღსრუ-  
ლებო ფურცლის ალსრულების მიზნით, მოვალე „K.-ს“, „სააღსრუ-  
ლებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის  
შესაბამისად, გაეგზავნა NA17141209-005/001 წინადადება გადაწ-  
ყვეტილების შესრულების შესახებ, რომლის თანახმად, მოვალეს  
მიეკა წინადადება, შეტყობინების მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვა-  
დაში, ნებაყოფლობით გადაეხადა დაკისრებული თანხა. აქვე განე-  
მარტა, რომ თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, მო-  
ვალეს გადასახდელი ექნებოდა მხოლოდ დაკისრებული თანხა და  
კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი საფასური – მოთხოვნის  
2% (არანაკლებ 50 ლარისა). მოვალე გაფრთხილებულ იქნა ასევე,  
რომ ფულადი ვალდებულების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის  
შემთხვევაში, განხორციელდებოდა „სააღსრულებო წარმოებათა  
შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იძულებითი  
მოქმედებები. განემარტა ასევე უფლება-მოვალეობები და ეცნო-  
ბა, რომ ალსრულების ლონისძიებების კონკრეტული დრო და ადგი-  
ლი დამატებით არ ეცნობებოდა. დადგენილია, რომ ზემოაღნიშნუ-  
ლი NA17141209-005/001 წინადადება გადაწყვეტილების შესრუ-  
ლების შესახებ ჩაპებარდა მოვალე „K.-ის“ წარმომადგენელს გ. გ-ეს  
2017 წლის 18 დეკემბერს. 2017 წლის 18 დეკემბერს „K.-ის“ წარმო-  
მადგენელმა გ. გ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ ალსრულების  
ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მიუთი-

თა, რომ დაკისრებული თანხის ჩამოქრა მომხდარიყო სრულად, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლამდე, საინკასო დავალებით სს „კ.-ში“ არსებული კომპანიის ანგარიშიდან. 2017 წლის 20 დეკემბერს მოვალის ზემოაღნიშნული განცხადების საფუძველზე სს „კ.-ში“ წარდგენილი იქნა საინკასო დავალება მოთხოვნის ფარგლებში, რომლის მიღებაც ბანკმა დაადასტურა და მიუთითა, რომ ანგარიშებს მოეხსნა აღსრულების ეროვნული ბიუროს ყადაღა, იგი ჩანაცვლდა საინკასო დავალებით და აყვანილ იქნა კონტროლზე, თუმცა ვერ შესრულდა, რამდენადაც სს „კ.-ის“ 2017 წლის 28 დეკემბრის წერილით დგინდებოდა მოვალის „კ.-ის“ (...) საბანკო ანგარიშებზე სს „კ.-ში“ გავრცელებული იყო ყადაღა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 მაისის №12/3630 განჩინების საფუძველზე. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა წერილით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურას, რომლითაც პროკურატურას ეთხოვა, წერილობით ეცნობებინა პოზიცია აღსრულების გაგრძელების მიზნაშეწონილობის თაობაზე მოვალის ზემოაღნიშნული საბანკო ანგარიშების (ანგარიშებზე განთავსებული თანხის) მიმართ. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 10 იანვრის №13/2017 წერილით, სააღსრულებო წარმოების გაგრძელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურის პოზიციის ჩამოყალიბების მიზნით, მოთხოვნილ იქნა დეტალური ინფორმაცია წერილში აღნიშნული სააღსრულებო წარმოების ირგვლივ და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ასლები. აღნიშნულის წარდგენის შემდეგ კი, საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 22 იანვრის №13/4728 წერილით თბილისის სააღსრულებო ბუროს ეცნობა, რომ აღსრულების გაგრძელებაზე თანხმობის გაცემა სცილდებოდა პროკურატურის კომპეტენციას. საქმეში წარმოდგენილი ამოღებული თანხის განკარგვის შესახებ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვით დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ 2018 წლის 2 მარტს, საინკასო დავალების საფუძველზე, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩაირიცხა 4 872 406 ლარი. მითითებული თანხიდან კრედიტორს – კ. გ-ს გადაერიცხა 4 557 414,65 ლარი, ხოლო აღსრულების საფასტრი – 314 991,35 ლარი მიექცა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო არ ეთანხმება მოსარჩევის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ განსახილველ შემთხვევაში მოვალის „კ.-ის“ მხრიდან ადგილი პქონდა აღსრულების მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულებას, ვინაი-

დან თანხის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩა-  
რიცხვა მოხდა, მოვალისათვის სააღსრულებო ფურცლით გათვა-  
ლისწინებული მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულებისთვის კა-  
ნონით დადგენილი ვადის დარღვევით.

სააპლაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ  
სწორად მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართვე-  
ლოს კანონის 38-ე მუხლზე, რომლის პირველი პუნქტის თანახმად,  
აღსრულების საფასური არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მი-  
ერ განეული მომსახურებისათვის საქართველოს კანონმდებლო-  
ბით დადგენილი სავალდებულო გადასახდელი (დამატებული ღი-  
რებულების გადასახადის ჩათვლით), რომელიც ირიცხება აღსრუ-  
ლების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე. იმავე ნორმის მე-5 პუნქტის  
თანახმად, საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს. თანხის გადახ-  
დევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საფასური ამოილება აღ-  
სასრულებელ მოთხოვნასთან ერთად. მე-6 პუნქტის შესაბამისად,  
თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე გადასახდე-  
ლი საფასურის ოდენობა არ უნდა აღმატებოდეს აღსასრულებე-  
ლი მოთხოვნის 7%-ს, გარდა ამ მუხლის 6<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწი-  
ნებული შემთხვევებისა. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირე-  
ბულ საქმეზე საფასურის ოდენობა არ უნდა იყოს 50 ლარზე ნაკ-  
ლები, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის  
268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით განსაზ-  
ღვრული გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის დადგენილი სა-  
ფასურისა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კი, საფასუ-  
რის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება საქართველოს  
იუსტიციის მინისტრის პრძანებით. საქართველოს იუსტიციის მი-  
ნისტრის 2010 წლის 30 ივლისის №144 ბრძანებით დამტკიცებული  
„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათ-  
ვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე  
მმართველის და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის  
საზღაურის განსაზღვროს წესის“ პირველი მუხლის თანახმად, აღ-  
სრულების საფასური, აგრეთვე „სააღსრულებო წარმოებათა შესა-  
ხებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა საფასური  
არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განეული მომსახურე-  
ბისათვის დადგენილი სავალდებულო გადასახდელი (დამატებუ-  
ლი ღირებულების გადასახადის ჩათვლით), რომელიც ირიცხება აღ-  
სრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე. ამავე წესის მე-2 მუხ-  
ლის პირველი პუნქტის თანახმად, აღსრულების საფასურის გადახ-  
და ეკისრება მოვალეს. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირე-  
ბულ საქმეებზე აღსრულების საფასური ამოილება აღსასრულე-  
ბელ მოთხოვნასთან ერთად. ხოლო მე-2 პუნქტის შესაბამისად,

თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე გადასახდელი საფასურის ოდენობაა აღსასრულებელი მოთხოვნის 7%, გარდა ამ მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე აღსრულების საფასურის ოდენობა არ უნდა იყოს 50 ლარზე ნაკლები, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის დადგენილი საფასურისა. ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საფასურის სახით გადახდილი თანხა კრედიტორს უბრუნდება ამოღებული მოთხოვნის პროპორციულად.

სააპელაციო პალატის მისაზრებით, საქალაქო სასამართლომ ასევე მართებულად განმარტა, რომ მოვალისათვის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის მიცემული ვადის არსი მდგომარეობს მხარეებისათვის იძულების ღონისძიებებით გამოწვეული სიძნელეების აცილებაში, ადმინისტრაციული და სხვა რესურსების დაზოვაში. სწორედ ამის გამო აცნობებს ადმინისტრაციული ორგანო მოვალეს, რომ თანხის ნებით გადახდის შემთხვევაში, მოვალეს დაეკისრება აღსრულების საფასურის შეღავათიანი განაკვეთი. განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოვალის „K.-ის“ წარმომადგენელმა გ. გ-ემ 2017 წლის 18 დეკემბერს განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვა სს „კ.-ში“ არსებული მოვალის ანგარიშიდან საინკასო დავალების საფუძველზე, ამოსალები თანხის სრულად ჩამოჭრა გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლამდე. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი ამოღებული თანხის განკარგვის შესახებ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვით დასტურდება, რომ 2018 წლის 2 მარტს, საინკასო დავალების საფუძველზე, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩაირიცხა 4 872 406 ლარი. განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ მოვალემ შეტყობინების მიღებიდან დადგენილ 7 დღის ვადაში აცნობა წერილობით აღსრულების ბიუროს, რომ თანახმა იყო ნებაყოფლობით განეხორციელებინა აღსრულება და მიუთითა, რომ გადახდა მომხდარიყო ინკასოს საფუძველზე მის ანგარიშზე არსებული თანხიდან, რაც აღნიშნულ ვადაში ვერ განხორციელდა. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, განსახილველი დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია აღსრულების მოთხოვნის 7-დღიან ვადაში შეუსრულებლობის მიზეზის გარკვევა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოვალის „K.-ის“ ანგარიშებს სს „კ.-ში“ ედო ყადაღა თბილისის

საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 მაისის №12/3630 განჩინების საფუძველზე, რის გა-მოც ბანკი ვერ ახორციელებდა ბიუროს მიერ წარდგენილი საინკა-სო დავალების შესრულებას. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად მიუთითა „სააღსრულებო წარ-მოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-3 პუნ-ქტზე, რომლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებამდე ან ყადაღის დადების შემ-დეგ, თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო ბითკო-დექსის შესაბამისად ამავე ქონებას სასამართლომ ყადაღა დაადო სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონე-ბის შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, აღსრულების ეროვნული ბიურო ამ ქონებაზე აღსრულებას აჩერებს პროკურო-რის წერილობითი თანხმობის მიღებამდე. ზემოაღნიშნული ნორ-მის შინაარსიდან გამომდინარე, მხოლოდ სისპ აღსრულების ეროვ-ნული ბიურო (მისი ტერიტორიული ორგანო) უფლებამოსილი მო-ითხოვოს საქართველოს მთავარი პროკურატურის პოზიცია აღსრუ-ლების გაგრძელების მიზანშეწონილობის თაობაზე, რისი შესაძლებ-ლობაც მოვალეს არ გააჩნია. ამდენად, საქალაქო სასამართლომ სწორად არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება მასზედ, რომ ვინაი-დან მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ ნების გა-მოხატვა და ინკასოს გამოყენებით საკუთარი ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის თაობაზე განცხადების წარდგენა თავისთავად არ ნიშ-ნავდა მოთხოვნის შესრულებას, განსახილველ შემთხვევაში ად-გილი არ ჰქონია მოვალის მიერ მოთხოვნის ნებაყოფლობით შეს-რულებას. საქმის მასალების შესწავლის შედეგად სააპელაციო პა-ლატაც მიიჩნევს, რომ მოვალის მხრიდან განსაზღვრულ 7-დღიან გადაში მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ ნების გამოხატვა და ინკასოს გამოყენებით საკუთარი ანგარიშიდან თან-ხის ჩამოწერის თაობაზე განცხადების წარდგენა, დამდგარი შე-დეგის – აღსრულებული მოთხოვნის გათვალისწინებით, წარმოად-გენდა მოვალის მხრიდან შესრულებულ ყველა იმ ღონისძიებას, რისი შესაძლებლობაც მას გააჩნდა. ამდენად, მოვალე მოკლებუ-ლი იყო შესაძლებლობას სხვა გზით განეხორციელებინა სააღსრუ-ლებო მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულება. შესაბამისად, ზე-მოაღნიშნული სამართლის ნორმებისა და საქმის ფაქტობრივი გა-რემოვებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქალაქო სასა-მართლომ სწორად მიიჩნია, რომ ვ. გ-ის სარჩელი საფუძვლიანია. ამასთან, სასამართლომ ყურადღება მართებულად მიაქცია იმ გა-რემოვებას, რომ 2018 წლის 2 მარტს, საინკასო დავალების საფუძ-ველზე, სისპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩაირიც-

ხა 4 872 406 ლარი. მითითებული თანხიდან კრედიტორს ვ. გ-ს გადაერიცხა 4 557 414,65 ლარი, ხოლო აღსრულების საფასური 314 991,35 ლარი მიექცა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში. მოსარჩელე კი სარჩელით ითხოვს მოპასუხისფინგის 314 992 ლარის დაკისრებას. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ ვ. გ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს იმ თანხის – 314 991,35 ლარის გადახდა, რაც გადაირიცხა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე აღსრულების საფასურის სახით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისთვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ არასწორი განმარტება მისცა კანონს, კერძოდ, გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ არასწორად განმარტა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 38-ე მუხლი და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მმართველის და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ იუსტიციის მინისტრის №144 ბრძანების 2.2 მუხლი, რომლის თანახმად, თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე გადასახდელი საფასურის ოდენობაა აღსასრულებელი მოთხოვნის 7%. აღნიშნული სამართლებრივი წორმების შინაარსი ცხადყოფს, რომ აღსრულების საფასური არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განეული მომსახურების საფასური, რაც მცირდება იმის გამო, რომ მოვალის მიერ აღსასრულებელი მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულება გამორიცხავს შემდგომ სააღსრულებო მოქმედებებს, რაც იმავდროულად გულისხმობს დროის და სხვა მატერიალური რესურსის დაზოგვას.

კასატორის განმარტებით უდავოა, რომ სააღსრულებო წარმოების ფარგლებში მოვალის მიერ წარმოდგენილ იქნა განცხადება საინკასო დავალების საფუძველზე საბანკო ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის თაობაზე. ასევე, უდავოა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაიგზავნა შესაბამისი საინკასო დავალება მოვალის განცხადებაში მითითებულ საბანკო დაწესებულებაში. თუმცა, აღ-

სრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაგზავნილი საინკასო დავა-ლების საფუძველზე ვერ განხორციელდა მოვალის ანგარიშიდან თანხის ჩამოქრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სა-მართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 მაისის რეგისტრირე-ბული ყადაღის გამო. მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულების შე-სახებ ნების გამოხატვისა და ინკასოს გამოყენებით საკუთარი ან-გარიშიდან თანხის ჩამოქრის თაობაზე განცხადების წარმოდგენი-სას მოვალისათვის უკვე ცნობილი იყო მის მიერ გამოხატული ნე-ბის ფაქტობრივი შესრულებლობა ანგარიშზე არსებუ-ლი ყადაღის გამო.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოვალის მიერ გამოხატული ნების აღსასრულებელი მოთხოვნის კანონით დადგენილ ვადაში შესრუ-ლებულად მიჩნევის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ფაქ-ტობრივად არ მომხდარა მოვალის ანგარიშიდან თანხის ჩამოქრა და კრედიტორის მოთხოვნის აღსრულების მიზნით სსიპ აღსრუ-ლების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩარიცხვა, მითითებული გა-რემოქა მოგვცემს საფუძველს დასკვნისთვის, რომ მოთხოვნის შესრულებაზე მოვალის მიერ გამოხატული ნების გამო აღსასრუ-ლებელი მოთხოვნა აღსრულებულად და შესაბამისად, სააღსრუ-ლებო წარმოქა დასრულებულად ჩაითვალოს. აღნიშნული ენინა-აღმდეგება ვალდებულების შესრულების, როგორც მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებსა და პრინციპებს, ასევე სააღსრულებო წარმოქა მიზნებისთვის მოთხოვნის აღსრულების რეგულაციას.

კასატორის განმარტებით, აღსასრულებელი მოთხოვნის ნება-ყოფლობით შესრულებაზე ვრცელდება ვალდებულების შესრულე-ბულად მიჩნევის ზოგადი წესები, კერძოდ, ვალდებულება შესრუ-ლებულად ითვლება ვალდებულების ჯეროვნად და სრულად, დათ-ქმულ დროსა და ადგილას შესრულების შემთხვევაში. სააღსრუ-ლებო წარმოქა ფარგლებში მოთხოვნის შესრულების წესი კანო-ნისმიერად არის დადგენილი, კერძოდ, ვალდებულების ნებაყოფ-ლობით შესრულებას მაშინ აქვს ადგილი, თუკი აღსასრულებელი მოთხოვნის/თანხის გადახდა ხდება სრულად, კანონით დადგენი-ლი 7-დღიან ვადაში, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგა-რიშზე ჩარიცხვის გზით.

კასატორის მოსაზრებით, „სააღსრულებო წარმოქათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტი სასამართლომ არასწორად მიიჩნია იმ მოცემულობად, რაც მოვალის მიერ ვალდე-ბულების არადროული შესრულების ობიექტურობას და მოვალის ბრალეულობის გამომრიცხავი გარემოების არსებობას ადასტუ-რებს. კანონმდებელმა სისხლის სამართლის საპროცესო იძულე-ბის ღონისძიების – ყადაღის ქვეშ მყოფი მოვალის აქტივი მიიჩნია

იმგვარ აქტივად, რომელზეც იძულებითი აღსრულების ღონისძიების განხორციელებაც კი დაუშვებელია, არა თუ მოვალის მიერ მისი თავისუფალი განკარგვა. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების კანონით დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაგრძელდა მოვალის ქონებრივი მდგომარეობის შესწავლა, რასაც ვერ გააბათილებს მოვალის სხვა აქტივის არარსებობა, ანუ აღსრულება კი არ შეწყდა მოვალის მიერ გამოხატული ნების გამო, არამედ გაგრძელდა საერთო წესით და მას შემდეგ, რაც მოვალის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულადი სახსრები გათავისუფლდა სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების სახით გამოყენებული ყადაღისაგან, მასზე განხორციელდა იძულებითი გადახდევინების მიქცევა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „ა.გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. კასატორის მოსაზრებით ნიშანდობლივია, რომ მითითებული მუხლი წარმოადგენს იძულებითი აღსრულების პირობებში აღმასრულებლის უფლებამოსილების დამდგენ რეგულაციას, რომელიც იძლევა ჩამონათვალს იძულებითი სააღსრულებო მოქმედებებისა. კონკრეტულ საქმეზე აღსრულება განხორციელდა ერთ-ერთი იძულებითი სააღსრულებო მოქმედების – საინკასო დავალების გამოყენების გზით და არა მოვალის მიერ ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებით. ამგვარად, იმის გათვალისწინებით, რომ მოვალის მიერ წარმოადგენილი განცხადებით მითითებული აქტივი არ იყო აღსრულებაუნარიანი, შემდგომში იძულებითი სააღსრულებო მოქმედების (საინკასო დავალება) საფუძველზე ამონაგები თანხა არ იყო საკმარისი. აღსასრულებელი ამონაგები თანხის განაწილება და მასზე სააღსრულებო საფასურის დარიცხვა განხორციელდა კანონით დადგენილი წესით, რაც კასატორის მოსაზრებით გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილების ფორმალური და ფაქტობრივი საფუძველების არსებობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 დეკემბრის განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა და-საშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სა-კასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გა-

რემონტათა გამო:

პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ კასაციის მიზეზები არ არის წარმოდგენილი ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. თუმცა, არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნას, რადგან სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, თუმცა, არასწორად განმარტა იყი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია, რამდენადაც მითითებული მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკამარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, „საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები“ (საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

განსახლიველ შემთხვევაში, ვ. გ-ის მიერ აღძრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი ისეთი მოქმედების (აღსრულების საფასურის – 314 992 ლარის დაბრუნების) განხორციელების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. აღნიშნული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული სარჩელის საგანი შეიძლება გახდეს ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი მოქმედების განხორციელების ან ამ მოქმედების განხორციელებაზე უარის კანონიერება, რაც ზოანს აყენებს პირის ინტერესს და შესაბამისად, მოთხოვნილ იქნეს ამ მოქმედების განხორციელება ან მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავება. სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები რეგლამენტირებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომში – აღსრულების ეროვნული ბიურო). „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“

საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ან პირდაპირ სასამართლოში – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 1 თვის ვადაში. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იძულებითი აღსრულების განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელიც ვალდებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად მოახდინოს აღსრულება. სააღსრულებო ორგანოების მოქმედება უნდა გამომდინარეობდეს სააღსრულებო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებიდან. ამასთან, თუ სააღსრულებო წარმოების მხარე არ ეთანხმება წარმოების დროს განხორციელებულ რაიმე მოქმედებას, მას უფლება აქვს სადავოდ გახადოს ეს მოქმედება (უმოქმედება) და მოითხოვოს მისი უკანონოდ ცნობა.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩევე სადავოდ ხდის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან მოვალე – „K.-ისაგან“ ამოცებული თანხის განაწილებას და უთითებს, რომ აღსრულების საფასურის იდენტობად უნდა განსაზღვრულიყო კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასური – 5000 ლარი, ნაცვლად 314 991,35 ლარისა, ვინაიდან მოვალემ შეტყობინების მიღებიდან 7 დღის ვადაში წერილობით აცნობა აღსრულების ბიუროს, რომ თანახმა იყო ნებაყოფლობით განეხორციელებინა აღსრულება და მომხდარიყო გადახდა საინკასო დავალების საფუძველზე მის ანგარიშზე არსებული თანხიდან. ამგვარად, განსახილველ შემთხვევაში სადავოდ ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების ვადაში მოვალის მიერ ნების გამოხატვის შედეგად, საინკასო დავალების საფუძველზე ორი თვის გასვლის შემდეგ ვალდებულების შესრულება, რამდენად წარმოადგენს ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებას და უნდა განხორციელდეს თუ არა შესრულებული ვალდებულებიდან აღსრულების საფასურის სრული ოდენობით დაფარვა.

საკასაციო პალატა იზიარებს კასაციის მიზეზებს გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილის იმ დასაბუთების მიმართ, რომლის თანახმად, „მოვალის მხრიდან განსაზღვრულ 7-დღიან ვადაში მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ ნების გამოხატვა და საინკასო დავალების გამოყენებით საკუთარი ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის თაობაზე განცხადების წარდგენა, დამდგარი შედეგის – აღსრულებული მოთხოვნის გათვალისწინებით,

წარმოადგენდა მოვალის მხრიდან შესრულებულ ყველა იმ ღონისძიებას, რისი შესაძლებლობაც მას გააჩნდა. ამდენად, მოვალე მოკლებული იყო შესაძლებლობას სხვა გზით განეხორციელებინა სააღსრულებო მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულება“. აღნიშნული განმარტება ეწინააღმდეგება საკითხის მარეგულირებელი ნორმების ანალიზის საფუძველზე დასკვნას გალდებულების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტრაჟის, რესტრაციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პირობებს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქებულქტის თანახმად, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება კერძო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება, გარდა ბავშვის გადაცემასთან ან/და შეილთან შეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებისა.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ინფორმირება ხდება სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. მოვალეს ეცნობება: ინფორმირებიდან 7 დღის ვადაში მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულების შემთხვევაში მხოლოდ კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის შესაბამისი ნაილის, ხოლო ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში – აღსრულების საფასურის სრული ოდენობით დაკისრების შესახებ. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლით დადგენილია აღსრულების საფასური. მითითებული მუხლის პირველი პუნქტით აღსრულების საფასური (შემდგომ – საფასური) არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განცული მომსახურებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო გადასახდელი (დამატე-

ბული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), რომელიც ირიცხება აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე. იმავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საფასური ამოილება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად. მე-6 პუნქტის შესაბამისად, თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე გადასახდელი საფასურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღსასრულებელი მოთხოვნის 7%-ს, გარდა ამ მუხლის 6<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე საფასურის ოდენობა არ უნდა იყოს 50 ლარზე ნაკლები, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის დადგენილი საფასურისა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კი, საფასურის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივნისის №144 ბრძანებით დამტკიცებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მმართველის და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის“ პირველი მუხლის თანახმად, აღსრულების საფასური, აგრეთვე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა საფასური არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განეული მომსახურებისათვის დადგენილი სავალდებულო გადასახდელი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), რომელიც ირიცხება აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე. ამავე წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღსრულების საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე აღსრულების საფასური ამოილება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად. ხოლო მე-2 პუნქტის შესაბამისად, თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე გადასახდელი საფასურის ოდენობაა აღსასრულებელი მოთხოვნის 7%, გარდა ამ მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე აღსრულების საფასურის ოდენობა არ უნდა იყოს 50 ლარზე ნაკლები, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის დადგენილი საფასურისა. ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ

საქმეებზე საფასურის სახით გადახდილი თანხა კრედიტორს უბრუნდება ამოღებული მოთხოვნის პროპორციულად.

საქმეზე დადგენილია, რომ 2017 წლის 12 დეკემბერს, ვ. გ-მა (კრედიტორმა) განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს, მოვალე – „K.-ის“ მიმართ, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2017 წლის 11 დეკემბერს გაცემული №2/23037-17 სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულება მოითხოვა, აღსასრულებელ მოთხოვნად მიუთითა: 4 800 000 ლარი, 5000 ლარი და 1243660,27 ლარი. კრედიტორის მიერ გადახდილი საფასურის ოდენობამ კი შეადგინა – 5000 ლარი. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ მიღებულ იქნა კრედიტორ – ვ. გ-ის იძულებითი აღსრულების თაობაზე განცხადება, მოვალე – „K.-ის“ მიმართ და საქმეს მიენიჭა ნომერი – NA17141209. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურის თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის მიერ 2017 წლის 13 დეკემბერს №2/23037-17 სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, მოვალე – „K.-ს“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, გაეგზავნა NA17141209-005/001 წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, რომლის თანახმად, მოვალეს მიეცა წინადადება, შეტყობინების მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში, ნებაყოფლობით გადაეხადა დაკისრებული თანხა. აქვე განემარტა, რომ თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, მოვალეს გადასახდელი ექნებოდა მხოლოდ დაკისრებული თანხა და კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი საფასური – მოთხოვნის 2% (არანაკლებ 50 ლარისა). მოვალე გაფრთხილებულ იქნა ასევე, რომ ფულადი ვალდებულების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, განხორციელდებოდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იძულებითი მოქმედებები. განემარტა ასევე უფლება-მოვალეობები და ეცნობა, რომ აღსრულების ღონისძიებების კონკრეტული დრო და ადგილი დამატებით არ ეცნობებოდა. ზემოაღნიშნული NA17141209-005/001 წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ 2017 წლის 18 დეკემბერს ჩაბარდა მოვალე „K.-ის“ წარმომადგენელს გ. გ-ეს. სადაც არ არის, რომ 2017 წლის 18 დეკემბერს „K.-ის“ წარმომადგენელმა გ. გ-ეს განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მიუთითა, რომ დაკისრებული თანხის ჩამოჭრა მომხდარიყო სრულად, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლამდე, საინკასო დავალებით სს „კ.-ში“ არსებული კომპანიის ანგარიშიდან. 2017

წლის 20 დეკემბერს, მოვალის ზემოაღნიშნული განცხადების საფუძველზე სს „კ.-ში“ წარდგენილ იქნა საინკასო დავალება მოთხოვნის ფარგლებში, რომლის მიღებაც ბანკმა დაადასტურა და მიუთითა, რომ ანგარიშებს მოეხსნა აღსრულების ეროვნული ბიუროს ყადაღა, იგი ჩანაცვლდა საინკასო დავალებით და აყვანილ იქნა კონტროლზე, თუმცა ვერ შესრულდა, რამდენადაც სს „კ.-ის“ 2017 წლის 28 დეკემბრის წერილით დგინდებოდა, რომ მოვალის – „K.-ის“ (...) საბანკო ანგარიშებზე სს „კ.-ში“ დადებული იყო ყადაღა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 მაისის №12/3630 განჩინების საფუძველზე. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა წერილით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, რომლითაც პროკურატურას ეთხოვა, წერილობით ეცნობებინა პოზიცია აღსრულების გაგრძელების მიზანშეწონილობის თაობაზე მოვალის ზემოაღნიშნული საბანკო ანგარიშების (ანგარიშებზე განთავსებული თანხის) მიმართ. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 10 იანვრის №13/2177 წერილით, სააღსრულებო წარმოების გაგრძელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურის პოზიციის ჩამოყალიბების მიზნით, მოთხოვნილ იქნა დეტალური ინფორმაცია წერილში აღნიშნული სააღსრულებო წარმოების ირგვლივ და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ასლები. აღნიშნულის წარდგენის შემდეგ კი, საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 22 იანვრის №13/4728 წერილით თბილისის სააღსრულებო ბიუროს ეცნობა, რომ აღსრულების გაგრძელებაზე თანხმობის გაცემა სცილდებოდა პროკურატურის კომპეტენციას.

ამოღებული თანხის განცარგვის შესახებ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვით დასტურდება, რომ 2018 წლის 2 მარტს, საინკასო დავალების საფუძველზე, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩაირიცხა 4 872 406 ლარი. მითითებული თანხიდან კრედიტორს – ვ. გ-ს გადაერიცხა 4 557 414,65 ლარი, ხოლო აღსრულების საფასური – 314 991,35 ლარი მიექცა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში. ზემოაღნიშნულის გამო კასატორი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოვალის – „K.-ის“ მხრიდან ადგილი არ ჰქონდა აღსრულების მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულებას, ვინაიდან თანხის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩაირიცხა მოხდა, მოვალისათვის სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულებისთვის კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, რაც სადაცო არ არის. საქმეზე დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით სადაცო ასევე არ არის, რომ სააღსრულე-

ბო ბიუროს მიერ მოთხოვნის აღსრულებული ნაწილიდან სააღსრულებო საფასურის დაფარვით მოსარჩელეს მიადგა ზიანი, რადგან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად მისაღები თანხა შემცირდა სადაც თანხის ოდენობით.

საქასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილებული შეუსრულებლობის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია აღსრულების მოთხოვნის 7-დღიან ვადაში შეუსრულებლობის მიზეზის გარკვევა, იმის გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ წინადადების ჩაბარებისთანავე 2017 წლის 18 დეკემბერს მოვალემ – „K.-ის“ წარმომადგენელმა გ. გ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მიუთითა, რომ დაკისრებული თანხის ჩამოჭრა მომხდარიყო სრულად, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლამდე, საინკასო დავალებით სს „კ..-ში“ არსებული კომპანიის ანგარიშიდან. მართებულია კასატორის მოსაზრება, რომ მხოლოდ მოვალის მიერ გამოხატული ნება ყველა შემთხვევაში ვერ ჩაითვლება აღსასრულებელი მოთხოვნის კანონით დადგენილ ვადაში ნებაყოფლობით შესრულებად, რადგან ფორმალურად აღნიშნულით აღსასრულებელი მოთხოვნა ჩაითვლება აღსრულებულად და სააღსრულებო წარმოება დასრულებულად, რაც ეწინააღმდეგება სააღსრულებო წარმოების მიზნებისათვის მოთხოვნის რეალურად აღსრულებულად მიჩნევის რეგულაციას. ამავე დროს, მოვალისათვის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის მიცემული ვადის არს მდგომარეობს მხარებისათვის იძულების ღონისძიებით გამოწვეული სიძნელეების აცილებაში, ადმინისტრაციული და სხვა რესურსების დაზოგვაში. სწორედ ამის გამო ხდება მოვალის ინფორმირება თანხის ნებაყოფლობითი გადახდის შედეგების შესახებ, რაც გამოხატება აღსრულების საფასურის შეღავათიანი განაკვეთით – მხოლოდ კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის შესაბამისი ნაწილის დაკისრებაში. განსახილებულ შემთხვევაში მოთხოვნის ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ დადგენილ ვადაში გამოხატული ნების შესრულების დაყოვნება გამოწვეულია სს „კ...-ში“ მოვალის ანგარიშზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 მაისის №12/3630 განჩინების საფუძველზე დადებული ყადაღით, რის გამოც ბანკი ვერ ახორციელებდა ბიუროს მიერ წარდგენილი საინკასო დავალების შესრულებას. თუმცა საგულისხმოა, რომ სწორედ 2017 წლის 20 დეკემბერს წარდგენილი საინკასო დავალება შესრულდა 2018 წლის 2 მარტს და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩაირიცხა 4 872 406 ლარი.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „სააღსრულებო წარმოება-თა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის განერილია აღ-მასრულებლის უფლება-მოვალეობაზე, აღნიშნული მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.პ“ ქვეპუნქტის ბოლო წინადადების თა-ნახმად, იძულებითი აღსრულების პირობებში აღმასრულებელი უფ-ლებამოსილია განახორციელოს გადახდებინება საინკასო დავალე-ბების საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში 2020 წლის 5 მარტს გამართულ სხდო-მაზე კასატორმა განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში 2017 წლის 20 დეკემბერს წარდგენილი საინკასო დავალება არ წარმოად-გენდა იძულებითი აღსრულების ღონისძიებას და იგი გაიცა მოვა-ლის მიერ გამოხატული ნების – მოთხოვნის ნებაყოფლობით აღსრუ-ლების უზრუნველსაყოფად. საგულისხმოა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყვე-ლა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღ-სრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვა-ლეობები, აღსრულების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლე-ბლობები, დაეხმაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესე-ბის დაცვაში. მხარეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების უზ-რუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს „სააღსრულე-ბო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი – აღ-სრულების შეჩერება და მისი ვადები, რომელიც ამომწურავად გან-საზღვრავს აღსრულების შეჩერების საფუძვლებსა და ვადებს. აღ-ნიშნული მუხლის მე-3 პუნქტით აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადგებამდე ან ყადაღის დადების შემდეგ, თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექ-სის შესაბამისად ამავე ქონებას სასამართლომ ყადაღა დაადო სის-ხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შე-საძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, აღსრულების ეროვნუ-ლი ბიურო ამ ქონებაზე აღსრულებას აჩერებს პროკურორის წერი-ლობითი თანხმობის მიღებამდე. აღნიშნული წორმა წარმოადგენს პოზიტიური ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ეროვნულ კანონმდებლობაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონ-ვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლში ასახული სა-კუთრების უფლების (რომელიც განსახილველ შემთხვევაში წარმო-ადგენს აღსრულებად ვალს) დასაცავად განხხორციელებულ კონკრე-ტული ღონისძიების გამოხატულებას. აღნიშნული ქმნის გარანტი-ას, რომ ერთი სახელმწიფო ორგანოს – პროკურატურის მოქმედე-ბამ არ გამოიწვიოს სხვა სახელმწიფო ორგანოს – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ კანონით გათვალისწინებული უფლებამო-

სილების განხორციელების შეფერხება, რომელსაც შედეგად მოს-დევს მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვე-ვა. პოზიტიურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ადამიანის უფ-ლებათა ევროპულმა სასამართლომ პრეცედენტულ გადაწყვეტილე-ბებში განმარტა, რომ როდესაც საქმის გარემოებები ეხება ეკონო-მიკურ ურთიერთობებს, სახელმწიფოზე დაკისრებული ვალდებუ-ლებები შესაძლოა უფრო ლიმიტირებული იყოს, ვიდრე იმ საქმეებ-ში, სადაც მომჩინეანი დგას საკუთრების დაკარგვის წინაშე სახელ-მწიფოს მხრიდან სახიფათო სიტუაციებში გამოჩენილი უყურადე-ბობის გამო (კოტოვი რუსეთის წინააღმდეგ (Kotov v. Russia), №. 54522/00, 03.04.2012, 111-ე პარაგრაფი). ადამიანის უფლებათა ევ-როპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლი უზრუნველყოფს უფლებას არსებულ ქონებაზე, რაც ასევე მოიცავს მოთხოვნებს, რომლის საფუძველზეც განმცხადებელს აქვს საკუთ-რების უფლებით ეფექტიანი სარგებლობის მოპოვების მინიმუმ „ლე-გიტიმური მოლოდინი“ (მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Maurice v. France), №. 11810/03, 6.10.03). მომავალი შემოსავალი განიხილება „საკუთრებად“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უკვე გამომუშავე-ბულია ან მასზე აღსრულებადი მოთხოვნა უკვე არსებობს (ამბრუსი იტალიის წინააღმდეგ (Ambruosi v. Italy), №. 31227/96, 19.10.00, მე-20 პარაგრაფი). „როდესაც საკუთრების უფლებასთან დაკავშირე-ბული ინტერესი მოთხოვნის ბუნებისაა, პირს, რომელსაც ის გააჩ-ნია, შესაძლოა მიჩნეულ იქნეს „ლეგიტიმური მოლოდინის“ მქონედ თუ აღნიშნული ინტერესის არსებობისთვის საკმარისი და სათანა-დო საფუძველი არსებობს ეროვნულ სამართალში...“ (კოპეცკი სლო-ვაკეთის წინააღმდეგ (Kopecky v. Slovakia), №. 44912/98, 28.9.04(დი-დი პალატა), 52-ე პარაგრაფი). ასევე, სასამართლომ საკუთარ პრე-ცედენტულ სამართალში უკვე არაერთხელ გამახვილა ყურადღე-ბა განსხვავებაზე სარგებლის მიღების იმედსა (როგორი გასაგებიც არ უნდა იყოს ეს იმედი) და ლეგიტიმურ მოლოდინს შორის, რომე-ლიც აუცილებელია, იყოს უფრო კონკრეტული ბუნების ვიდრე უბ-რალ იმედი და ეფუძნებოდეს სამართლებრივ დანაწესს ან სამარ-თლებრივ აქტს“. (რამაერი და ვან ვილიგენი ნიდერლანდების წინა-აღმდეგ (Ramaer and Van Willigen v. the Netherlands), №. 34880/12, 23.10.2012. 81-ე პარაგრაფი.).

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს გააჩნდა თბილისის სა-ქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების, სააღსრულებო კა-ნონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით აღსრულების შედეგად საკუთრების (აღსრულებადი ვალის) დაბრუნების ლეგი-ტიმური მოლოდინი. თუმცა გამოვლინდა, რომ აღსრულების ეროვ-

ნული ბიუროს მიერ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებამდე (2017 წლის 20 დეკემბრის საინკასო დავალების წარდგენამდე) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესბამისად ამავე ქონებას – 2017 წელს 20 დეკემბერს წარდგენილ №01/55-01 საინკასო დავალებაში მითითებული გადამხდელის საბანკო ანგარიშებსა სასამართლომ 2014 წლის 10 მაისის №12/3630 განჩინებით ყადაღა დაადო სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად. ამგვარად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად იმ ეტაპზე, რომელზეც მიმდინარებდა სააღსრულებო წარმოება – ნებაყოფლობითი აღსრულების ეტაპზე, არსებობდა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ამ ქონებაზე აღსრულების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი პროკურორის წერილობითი თანხმობის მიღებამდე. აღსრულების გაგრძელების მიზანშეწონილობის თაობაზე მოვალის საბანკო ანგარიშების (ანგარიშებზე განთავსებული თანხის) მიმართ თბილისის სააღსრულებო ბიუროს წერილის პასუხად საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 22 იანვრის №13/4728 წერილით აღმასრულებელს ეცნობა, რომ აღსრულების გაგრძელებაზე თანხმობის გაცემა სცილდებოდა პროკურატურის კომსეტენციას. თუმცა მოვინანებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგის 2018 წლის 1 მარტის განჩინებით პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 მაისის №12/3630 განჩინებით დადებული ყადაღა – 2017 წელს 20 დეკემბერს წარდგენილ საინკასო დავალებაში №01/55-01 მითითებული გადამხდელის საბანკო ანგარიშებზე, რაც წარმოადგენდა ნებაყოფლობითი აღსრულების ეტაპზე შეჩერებული სააღსრულებო წარმოების განახლებისა და გაცემული საინკასო დავალების იმავე ეტაპიდან შესრულების საფუძველს. აღსანიშნავია ასევე, რომ 2017 წლის 20 დეკემბერს წარდგენილი '01/55-01 საინკასო დავალების შესრულება სხვა რაიმე საფუძვლით არ შეყოვნებულა და აღნიშნული საინკასო დავალების საფუძველზე 2018 წლის 2 მარტს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩაირიცხა 4 872 406 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას მასზედ, რომ, ვინაიდან მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ ნების გამოხატვა და ინკასოს გამოყენებით საკუთარი ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის თაობაზე განცხადების წარდგენა თავისთავად არ ნიშნავდა მოთხოვნის შეს-

რულებას, განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია მოვალის მიერ მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულებას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უფლებამოსილების სათანადოდ განუხორციელებლობამ – პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობამ გამოიწვია მოსარჩელის საკუთრების უფლების დარღვევა, რაც გამოიხატა აღსრულებადი ვალის შემცირებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვ. გ-ის სარჩელი საფუძვლიანია. ამასთან, პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ 2018 წლის 2 მარტს, საინკასო დავალების საფუძველზე, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩაირიცხა 4 872 406 ლარი. მითითებული თანხიდან კრედიტორს – ვ. გ-ს გადაერიცხა 4 557 414,65 ლარი, ხოლო აღსრულების საფასური – 314 991,35 ლარი მიექცა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში. წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისთვის 314 992 ლარის დაკისრებას. ამგვარად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. გ-ის სარჩელი უნდა დაკამაყოფილდეს ნაწილობრივ და მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე აღსრულების საფასურის სახით გადარიცხული თანხის – 314 991,35 ლარის გადახდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმისა საპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, სარჩელზე დამდგარი საბოლოო შედეგის გათვალისწინებით, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ სარჩელის აღმდევრისას გადახდილი 100 (ასი) ლარის გადახდა ვ. გ-ის სასარგებლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

## **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 0 ფ ა:**

1. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. დაევალოს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს ვ. გ-ის სასარგებლოდ 314 991,35 ლარის გადახდა;
5. სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაეკისროს ვ. გ-ის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის ანაზღაურება;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **იძულებითი აუქციონის შეჩერებისა და ვალიდურების დაუშვებლობა, აღმასრულებლის ქმედებების გასაჩივრების ვალი**

**განერიცხა  
საქართველოს სახელით**

№ბს-681(კ-19)

2 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობით: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
ა. წულაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, აუქციონის შედეგების გაუქმება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2016 წლის 12 იანვარს მ. ჯ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2010 წლის 7 მაისს თაღლითობის გზით მასთან გაფორმდა სესხის ხელშეკრულება და მისი უძრავი

ქონება (ს/კ: №...) იპოთეკით იქნა დატვირთული. 2011 წლის 18 მარტს იგი აღიარებულ იქნა დაზარალებულად, ხოლო სასამართლოს მიერ 2011 წლის 19 ივლისს მიღებულ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, სადაც აღინიშნა, რომ მის ქონებას დაეუფლნენ დანაშაულებრივი გზით. მოსარჩელის განმარტებით, მითითებული ფაქტი არ იქნა გათვალისწინებული სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ, რომელმაც მოახდინა მისი ერთადერთი სახლის აუქციონზე რეალიზაცია, რის შედეგადაც საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება გაიყიდა ფ. გ-ეზე. მოსარჩელის მითითებით, იგი აღნიშნული ფაქტის შესახებ არ ყოფილა ინფორმირებული და არც იმს თაობაზე ჰქონდა ინფორმაცია, წერილობით მიმართა თუ არა პროკურორმა აღსრულების ეროვნულ ბიუროს მის საქმესთან დაკავშირებით.

მოსარჩელის განმარტებით, აუქციონი ჩატარდა მთელი რიგი დარღვევებით, კერძოდ, აუქციონი გაიმართა მას შემდეგ, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა ზემოაღნიშნული განაჩენი. ამასთან, აუქციონის შესახებ ცნობილი იყო მხოლოდ ფ. გ-ისთვის, რომელმაც აუქციონის მიმდინარეობისას განახორციელა ... ბიჯის დადება და გამოვლინდა გამარჯვებულად. მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აუქციონი ჩატარდა არაკონკურენტულ გარემოში. ქონების გასხვისება მოხდა გარიგებით აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან, რაც დასტურდება სადაც განკარგულებებით, რომლებზეც არ არის მითითებული გასაჩივრების ვადა. ამასთან, მოსარჩელე მიუთითებს, რომ ხსენებული განკარგულებები მას არ ჩაპარებია. მან ჩაიპარა გაფრთხილება 2011 წლის 14 ივნისს, ხოლო აუქციონი ჩატარდა 2 თვეზე მეტი ხნის შემდეგ მალულად. მოსარჩელე, აგრეთვე, მიუთითებს, რომ მისი საცხოვრებელი სახლი შეფასებული იყო 300 000 აშშ დოლარად, თუმცა გაიყიდა 142 600 ლარად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები და სადაც განკარგულებები და ბრძანება გამოსცა ყოველგვარი სამართლებრივი და ფაქტობრივი დასაბუთების გარეშე.

ამდენად, მოსარჩელემ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2011 წლის 30 აგვისტოს №A... და №A...- განკარგულებებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2015 წლის 16 დეკემბრის №5452 ბრძანების ბათილად ცნობა და ... წლის ... აგვისტოს ჩატარებული აუქციონის შედეგების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2016 წლის 8 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ფ. გ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2017 წლის 22 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა 6. შ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2017 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. ჯ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 23 თებერვალს მ. ჯ-ასა და 6. შ-ს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მ. ჯ-ამ 6. შ-ისაგან ისესხა 75 000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარი სამი თვის ვადით.

სესხის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა მ. ჯ-ას კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ე.წ. „„“, ..., დაზუსტებული ფართობი: 1087.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: ..., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 334 კვ.მ (სარდაფი ფართობით: 178 კვ.მ).

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2011 წლის 23 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, 2011 წლის 7 ივნისს ნოტარიუსის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი მოსარჩელე მ. ჯ-ას საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის თაობაზე (მისამართი: ქ. თბილისი, დაბა..., ე.წ. „„“, ..., არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: №..., დაზუსტებული ფართობი: 1087.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: ..., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 334 კვ.მ (სარდაფი ფართობით: 178 კვ.მ). აღნიშნული სააღსრულებო ფურცლის თანახმად, აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობამ 2011 წლის 7 ივნისს მდგომარეობით შეადგინა (ძირითადი თანხის, პროცენტის, პირგასამტებლის გათვალისწინებით) 85 955 (ოთხმოცდახუთი ათას ცხრაას ორმოცდათხუთმეტი) აშშ დოლარი, ამასთან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, აღსრულებამდე პირგასამტებლის სახით განისაზღვრა ძირითადი თანხის 0.3%.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2011 წლის 13 ივნისს კერძო აღმასრულებელ ფ. უ-ა და 6. შ-ს შორის დადებულ იქნა სააღსრულებო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საგანს ნარმოადგენდა ნოტარიუს რ. ჩ-ჩ-ის მიერ 2011 წლის 7 ივნისს გაცემული №110569152 სააღსრულებო ფურცლის აღსრუ-

**ლება.**

თბილისის სააღსრულებო ბიუროს კერძო აღმასრულებლის მიერ, სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, მ. ჯ-ას გაეგზავნა 2011 წლის 14 ივნისის №A...-004/001 წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, რომლის თანახმად, მას ეცნობა, რომ 7 (შვიდი) დღის ვადაში უნდა გადაქადა სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული თანხა. ამავე გადაწყვეტილებით მას განემარტა, რომ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, განხორციელდებოდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იძულებითი მოქმედებები. მ. ჯ-ას განემარტა, რომ შეფასებიდან ერთი თვის ვადაში ჩატარდებოდა პირველი იძულებითი აუქციონი ელექტრონული წესით (ვებგვერდის მითითებით). მას, ასევე, ეცნობა, რომ იძულებითი აღსრულების ცალკეულ ღონისძიებათა შესახებ წინასწარ, პერსონალურად, დამატებით არ ეცნობებოდა, მათი მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება კი შეეძლო კერძო აღმასრულებლისაგან აუქციონის შესახებ – ოფიციალური ვებგვერდიდან (ვებგვერდის მითითებით).

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 14 ივნისს კერძო აღმასრულებლის – ფ. უ-ს მიერ მ. ჯ-ას თანდასწრებით შედგენილ იქნა ქონების აღწერა-დაყადაღების აქტი, რომელიც ხელმოწერილ იქნა მ. ჯ-ას მიერ. მითითებული აქტის თანახმად, მ. ჯ-ას განემარტა მიმდინარე სააღსრულებო წარმოების შინაარსი, ქონების აღწერის მიზანი, აღმასრულებლის მოქმედებათა გასაჩივრების წესი და მათი სხვა უფლება-მოვალეობა.

2011 წლის 14 ივნისს კერძო აღმასრულებელმა – ფ. უ-ამ №... წერილით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა 2011 წლის 7 ივნისს გაცემული №110569152 სააღსრულებო ფურცლის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, მის მიერ 2011 წლის 14 ივნისს დადებული ყადაღის რეგისტრაციაში გატარება, მოვალის – მ. ჯ-ას კუთვნილ უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ..., ე.წ. ...., ..., დაზუსტებული ფართობი: 1087.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: ..., შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 334 კვ.მ (სარდაფი ფართობით: 178 კვ.მ). მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით: №....

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2011 წლის 27 ივნისს კერძო აღმასრულებელმა – ფ. უ-ამ №A....-008/001 წერილით მიმართა შპს „...ს“ და მოითხოვა მოსარჩევე მ. ჯ-ას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ..., ე.წ. ...., დაზუსტებული ფართობი: 1087.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: ..., შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 334 კვ.მ (სარდაფი ფართობით: 178 კვ.მ). მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით: №....

334 კვ.მ (სარდაფი ფართობით: 178 კვ.მ). მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით: №..., მოქმედი საპაზრო ლირებულებით შეფასება. აღნიშნული მიმართვის საფუძველზე, 2011 წლის 29 ივნისს შპს „...სა“ და ფ. უ-ს შორის დაიდო №11/06-29/09 ხელშეკრულება ქონების შეფასებაზე.

შპს „...სა“ 2011 წლის 4 ივლისის №11/07-04/09 უძრავი ქონების აუდიტორული შეფასების (საექსპერტო დასკვნის) თანახმად, მ. ჯ-ას საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონება მისამართზე: ქ. თბილისი, ..., ე.წ. „...“, ..., შეფასდა 230 000 (ორას ოცდაათი ათასი) ლარად.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2011 წლის 9 ივლისს კრედიტორმა – ბ. შ-მა განცხადებით მიმართა კერძო აღმასრულებელს – ფ. უ-ს და მის მიერ ნარდგენილი, 2011 წლის 7 ივნისის №110569152 სააღსრულებო ფურცლის აღსრულების შეჩერება, ხოლო 2011 წლის 29 ივლისს წარდგენილი განცხადებით შეჩერებული სააღსრულებო ნარმოების განახლება მოითხოვა.

2011 წლის 3 აგვისტოს კერძო აღმასრულებელმა – ფ. უ-მ განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მის წარმოებაში არსებულ №... სააღსრულებო საქმესთან დაკავშირებით (სადაც კრედიტორის: 6. შ-ი, ხოლო მოვალე: მ. ჯ-ა) მოითხოვა მოვალის კუთვნილი უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ე.წ. „...“, ..., დაზუსტებული ფართობი: 1087.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: ..., შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 334 კვ.მ (სარდაფი ფართობით: 178 კვ.მ). მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №..., იძულებითი რეალიზაციისთვის სააუციონო მომსახურების განევა.

ელექტრონული აუქციონების ვებგვერდზე ... წლის ... აგვისტოს გამოცხადებულ იქნა ... (ლოტი №..., განაცხადის №..., საქმის №...) ელექტრონული აუქციონი უძრავი ქონების (ს/კ №...) რეალიზაციის მიზნით, რომელიც დასრულდა ... წლის ... აგვისტოს.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2011 წლის 30 აგვისტოს №A... და №A...- განკარგულებების თანახმად, მოვალის – მ. ჯ-ას საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ე.წ. „...“, ..., საკადასტრო კოდი: №..., შემძენი გახდა ფ. გ-ე, რომელმაც ნივთი შეიძინა 142 600 ლარად და თანხა გადაიხადა სრულად. აღსრულება კი განხორციელდა 6. შ-ის სასარგებლოდ. ამასთან, განკარგულებაში აღნიშნულია, რომ რეალიზებული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება ნივთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, ხოლო ნივთის ახალ მესაკუთრეზე გადასვლის მომენტიდან, ძველი მესაკუთრე კარგავს ყოველგვარ უფლებას ამ

## ნივთზე.

2011 წლის 30 აგვისტოს №A...- განკარგულების საფუძველზე, 2011 წლის 23 სექტემბერს, ქ. თბილისში, ..., ე.ნ. „...“, ...-ში მდებარე №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთის მესაკუთრედ და-რეგისტრირდა ფ. გ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლე-გის 2012 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების თანახმად, მ. ჯ-ას სარჩელი, 2011 წლის 23 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისა და საკუთრების უფლების აღიარების გზით უძრავი ქონების უკან დაბრუნება-რესტიტუციის თაობაზე, არ დაქმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 დეკემბრის განჩინებით მ. ჯ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2012 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 მაისის განჩინებით, მ. ჯ-ას საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილ გარემოებად მიიჩნია, რომ 2015 წლის 20 ნოემბერს მ. ჯ-ამ განცხადებით (საჩივრით) მიმართა სის აღსრულების ეროვნულ ბიუროს 2011 წლის 30 აგვისტოს №A...- განკარგულების ბათილად ცნობისა და აუქციონის შედეგების გაუქმების მოთხოვნით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს თავმჯდომარის 2015 წლის 16 დეკემბრის №5452 ბრძანებით მ. ჯ-ას უარი ეთქვა საჩივრის განხილვაზე იმ საფუძვლით, რომ აღმასრულებლის ქმედების ნაწილში გასული იყო გასაჩივრების ვადა, ხოლო საკუთრების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულება საჩივრდებოდა სასამართლო წესით.

სასამართლოს მითითებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, იძულებით აუქციონს ამ კანონით დადგენილი წესით ატარებს აღსრულების ეროვნულ ბიურო ან სხვა პირი მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ მოვალე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ქონების მესაკუთრედ, მაშინ აღსრულების ეროვნულ ბიურო გამოსცემს განკარგულებას იძულებითი აუქციონის დანიშვნის შესახებ. ამ შემთხვევაში იძულებითი აუქციონი ტარდება ქონებაზე ყადაღის დადებიდან 2 თვეს ვადაში, ხოლო ამ კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან 1 თვეს ვადაში.

სასამართლომ აგრეთვე მიუთითა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანებით დამტკიცებული „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, აუქციონის თაობაზე აღსრულების ეროვნული ბიურო აქვეყნებს ინტერნეტ განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს: ა) აუქციონის დაწყების და დასრულების დროს. აუქციონის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 7 დღეზე ნაკლები და 15 დღეზე მეტი. განსაკუთრებულ შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია აუქციონის ხანგრძლივობის გაზრდა გონივრული ვადით; ბ) ქონების საწყის ფასს, რომელიც არის ამ ქონების შეფასების აქტში მითითებული საბაზრო ღირებულების 50%; გ) გასაყიდი ქონების დასახელებას; ქონების მოკლე აღნერას (ლოტებად დაყოფის შემთხვევაში ლოტების მიხედვით), მის ადგილმდებარეობას, გარდამავალ უფლებათა ღირებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დ) საგარანტიო თანხის ოდენობას (რომელიც არის ქონების საწყისი ფასის ერთი მეათედი), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქონების საწყისი ფასის ერთი მესათედი 100 ლარზე ნაკლებია, ე) ფასის მატების ბიჯის ოდენობას; ვ) აუქციონის ჩატარების პროცედურებს. ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები კი ადგენენ, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო ვალდებულია აუქციონის შესახებ სპეციალური საჯარო განცხადება განათავსოს ვებგვერდზე: [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ან/და [www.nbe.gov.ge](http://www.nbe.gov.ge), აუქციონის ჩატარების შესახებ მხარეებს (შესაბამისი საგადასახადო ორგანოს გარდა) პერსონალურად არ ეცნობებათ. მათი ინფორმირება ხორციელდება ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი იყო, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს კერძო აღმასრულებლის მიერ, სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, მესაკუთრე მ. ჯ-ას გაეგზავნა და იმავე დღეს პირადად ჩატარდა 2011 წლის 14 ივნისის №A....004/2001 წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, რომლის თანახმად, მას ეცნობა, რომ მას 7 (შვიდი) დღის ვადაში უნდა გადაეხადა სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული თანხა. ამავე წინადადებით განმარტებული იქნა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე და მე-18 მუხლების შინაარსი და ასევე ისიც, რომ იძულებითი აღსრულების ცალკეულ ღონისძიებათა შესახებ წინასწარ, პერსონალურად, დამატებით არ ეცნობებოდა. მათი მიმდინარეობის დროის, ადგილის, მდგომარეობის შესახებ მას შეეძლო დეტალური ინფორმაცია აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალური ვებ-

გვერდიდან მიეღო, ხოლო საჭირო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება მას კერძო აღმასრულებლისგანაც შეეძლო. ამასთან, სასამართლოს მითითებით, სადაცო არ იყო ის გარემობა, რომ მ. ჯ-ას მითითებულ ვადაში არ გადაუხდია სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული თანხა და არც რაიმე განცხადებით მიუმართავს სააღსრულებო ბიურისათვის.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 13 ივლისის წერილით და გამოქვეყნების დამადასტურებელი მტკიცებულებებით დგინდებოდა, რომ ელექტრონული აუქციონების ვებგვერდზე ... წლის ... აგვისტოს გამოცხადებული იქნა ... (ლოტი №..., განაცხადის №..., საქმის №...) ელექტრონული აუქციონი უძრავი ქონების (ს/კ №...) რეალიზაციის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება, რომ მისთვის აუქციონის ჩატარების თარიღი არავის უცნობებია და ა აუქციონი ჩატარდა მალულად, რადგან კერძო აღმასრულებლის და შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ზედმინევნით სწორად იქნა განხორციელებული სააღსრულებო ფურცლის აღსრულებისათვის საჭირო პროცედურები, რის გამოც მოსარჩელეს ჰქონდა შესაძლებლობა, კანონით დადგენილი საშუალებებით გაცნობოდა აღსრულებასთან დაკავშირებით მომავალში განსახორციელებელ ცალკეულ ქმედებას და ვებგვერდის საშუალებით მიეღო ინფორმაცია აუქციონის მიმდინარეობის შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ის გარემობა, რომ მან არ განახორციელა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, არ შეიძლებოდა გამხდარიყო სააღსრულებო წარმოებისა და აუქციონის კანონდარღვევით ჩატარებულად მიჩნევის საფუძველი.

სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მითითება აუქციონის შეჩერების აუცილებლობაზე, კერძოდ, სასამართლომ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველ პუქტზე, რომელიც იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებლად მიიჩნევს აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტას, შეჩერებას, გადადებას, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლებას, ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პროკურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. მოცემულ შემთხვევაში კი, სასამართლომ

აღნიშნა, რომ პროკურორის მხრიდან ასეთი მიმართვა სსიპ ალსრულების ეროვნულ ბიუროში გაგზავნილი არ ყოფილა.

რაც შეეხება მოსარჩელის მითითებას ფ. გ-ის მიერ განხორციელებული ბიჯების (ნ. შ-ის მიერ აუქციონის მიმდინარეობისას განხორციელებულ იქნა ... ბიჯი) ოდენობასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა, რომ იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად, ინტერნეტ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის შემდეგ, აუქციონის დაწყებიდან მის დასრულებამდე ფასის მატება ხდება ვაჭრობის „ბიჯით“, რაც ჩანს ონლაინ რეჟიმში (რაც მოცემულ შემთხვევაში დადასტურებული იყო შესაბამისი ამონანერით). ინტერნეტ აუქციონში გამარჯვებულად ითვლება მონაწილე, რომლის მიერ აუქციონის დასრულებამდე შეთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ბიჯი და კანონმდებლობა რამე შეზღუდვას ბიჯების რაოდენობასთან დაკავშირებით არ ითვალისწინება. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ფ. გ-ის მიერ აუქციონში გამარჯვების მიზნით დაფიქსირებული ბიჯების ოდენობა არ წარმოადგენდა დარღვევას და მითუმეტეს აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის საფუძველს.

სასამართლომ ასევე მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ქონების ფასის სრულად გადახდის შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ 2011 წლის 30 აგვისტოს გაცემული იქნა №A... განკარგულება და ამავე თარიღით, იმის გამო, რომ №A... განკარგულებაში არასწორად იქნა მითითებული უძრავი ქონების ყოფილი მესაკუთრის – მ. ჯ-ას პირადი ნომერი, გაცემულ იქნა №A...-განკარგულება, რომელიც საფუძვლად დაედო ქ. თბილისში, ... ში, ე.წ. „...“, ...-ში მდებარე №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთის მესაკუთრედ ფ. გ-ის რეგისტრაციას.

ამასთან, სასამართლოს მითითებით, სადაც არ იყო ის გარემოება, რომ ორივე განკარგულება, გარდა მ. ჯ-ას პირადი ნომრისა, სხვა რაიმე არსებითად განსხვავებულ მითითებას არ შეიცავდა, კერძოდ, ორივე განკარგულების თანახმად, მ. ჯ-ას საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ე.წ. „...“, ..., საკადასტრო კოდი: №..., შემძენი გახდა ფ. გ-ე, რომელმაც ნივთი შეიძინა 142 600 ლარად და თანხა გადაიხადა სრულად. აღსრულება კი განხორციელდა 6. შ-ის სასარგებლოდ. ამასთან, განკარგულე-

ბაში აღნიშნული იყო, რომ რეალიზებული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებდა ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდებოდა ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, ხოლო ნივთის ახალ მესაკუთრეზე გადასვლის მომენტიდან, ძველი მესაკუთრე კარგავდა ყოველგვარ უფლებას ამ ნივთზე.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექ-ნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანა ნიშნავს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ამდენად, სასამართლოს განმარტებით, ცალსახა იყო, რომ №A...-განკარგულება გამოიცა №A... განკარგულებაში დაშვებული ტექ-ნიკური ხარვეზის გამო და მასში რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილებას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, ის გარემოება, რომ განკარგულება გამოიცა ახალი ნომრით და შემდეგ სწორედ იგი დაედო საფუძვლად უძრავი ნივთის ფ. გ-ის საკუთრებად რეგისტრაციას, არ შეიძლებოდა გამხდარიყო №A...- განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველი, მით უფრო, რომ აღნიშნული განკარგულების მიმართ ფ. გ-ის კანონიერი ნდობა სახეზე იყო.

ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩევე მხარის ერთეული მოთხოვნას ასევე ნარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2015 წლის 16 დეკემბრის №5452 ბრძანების ბათილად ცნობა, რომ-ლითაც მ. ჯ-ას უარი ეთქვა საჩივრების განხილვაზე.

სასამართლომ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლზე, რომლითაც რეგლამენტირებულია კრედიტორისა და მოვალის უფლებამოსილებანი. ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან - ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ან პირდაპირ სასამართლოში – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 1 თვის ვადაში.

ამავე კანონის 18<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სააღსრულებო წარმოების მხარესა და დაინტერესებულ პირს, რომელთა კანონიერ ინტერესზედაც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს აღმასრულებლის ქმედება, უფლება აქვთ, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან ერთჯერადად გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კა-

ლენდარული დღის ვადაში. ასეთი გასაჩივრება ავტომატურად ვერ შეაჩერებს გასაჩივრებულ სააღსრულებო ქმედებას. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე უფლებამოსილია თავისი ინიციატივით ან სააღსრულებო წარმოების მხარის/დაინტერესებული პირის შეამდგომლობით შეაჩეროს გასაჩივრებული სააღსრულებო ქმედება. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საჩივარს განიხილავს მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და საჩივრის შემტანს აცნობებს საჩივრის დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე უფლებამოსილია, საქმის სირთულიდან გამომდინარე, არა უმეტეს 15 კალენდარული დღით გააგრძელოს საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების ვადა, რის შესახებაც იგი ატყობინებს საჩივრის შემტანს. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის უარი საჩივრის დაკმაყოფილებაზე დასაბუთებული უნდა იყოს. საჩივრის შემტანი უფლებამოსილია საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი ამ კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების ვადის დარღვევა ჩაითვლება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმად.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 18<sup>3</sup> მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, სააღსრულებო წარმოები-სას ქონების შემძენისათვის საკუთრების უფლების მინიჭების შე-სახებ განკარგულება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივ აქტი და იგი გასაჩივრდება სასამართლოში.

ამდენად, სასამართლომ მიიჩინა, რომ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც მ. ჯ.-ასთვის, კანონით დადგენილი წესით, ცნობილი იყო აღმასრულებლის მიერ 2011 წლის ივნის-ივლისის თვეში განხორციელებული ქმედებების თაობაზე, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარემ, გასაჩივრების ვადის გასვლის საფუძვლით სწორად დატოვა მისი საჩივარი განუხილველად. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ მ. ჯ.-ას მართებულად ეთქვა უარის საჩივრის განხილვაზე №A.... განკარგულების ბათილად ცნობის ნაწილშიც, რამდენადაც სააღსრულებო ნარმოებისას ქონების შემქნისათვის საკუთრების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას.

တბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 2017 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილება საპელა-  
ციონ წესით გაასაჩინობა მ. ჯ.-ამ., რომელმაც გაასაჩინორებული გადაწ-

ყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 დეკემბრის განჩინებით მ. ჯ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად და ყოველმხრივ გამოიკვლია დავასთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება და სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო სრულად დასაბუთებული და იგი იძლეოდა მკაფიო შესაძლებლობას, მონაწილე მხარეებს გაეგოთ, თუ რატომ არ დაუჭირა მხარი სასამართლომ მოსარჩელის პოზიციას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ჯ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, აუქციონის გზით ქონების რეალიზაციის შეწყვეტის საფუძველს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი წარმოადგენდა, რომლითაც დგინდება უძრავი ნივთის დანაშაულებრივი გზით დაუფლების ფაქტი. განაჩენში პირდაპირ ეთდება მითითება, რომ 6. ვერ 2010 წლის 7 მაისს ნოტარიუს ს. ს-ის სანოტარო ბიუროში მ. ჯ-ას სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით 28 000 აშშ დოლარად და 4000 ევროდ დაატვირთინა საკუთარი საცხოვრებელი სახლი, სესხის თანხა კი სრული მოცულობით თავად მიიღო. კასატორი აღნიშნავს, რომ მ. ჯ-ას მხრიდან წარმოდგენილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, სადაც დაფიქსირებული იყო სადაც უძრავი ქონება, რომელზეც მოტყუებით გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით, ხსენებული ფაქტი აღსრულების ეროვნულ ბიუროს ართმევდა შესაძლებლობას, განეხორციელებინა ქონების აუქციონის წესით მესამე პირზე გასხვისება.

კასატორი, აგრეთვე, მიუთითებს, რომ დაზარალებული მ. ჯ-ას უფლებების დარღვევა სახელმწიფო მოხელის უფლებამოსილების

არაჯეროვან შესრულებაში გამოიხატა, კერძოდ, პროკურორმა კ. ს-ემ არ მიმართა სსიპ ალსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდო- მარეს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანო- ნის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, აუქციონის შენ- ყვეტის მოთხოვნით, თუმცა კასატორის მოსაზრებით, მას ისიც უნ- და სცოდნოდა, რომ სადავო ქონებასთან დაკავშირებით, აუქციო- ნი არ ცხადდება. ამასთან, კასატორი მიჩნევს, რომ თავად აღსრუ- ლების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესაც უნდა შეეწყვიტა აუქ- ციონი საქმის განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე.

კასატორის მითიერებით, ის გარემოება, რომ ნ. ვ-ე და მევახშე არ იცნობდნენ ერთმანებოს, არ შეესაბამებოდა სიმართლეს. მევახ- შე ნ. შ-ისა და მისი ბიძაშვილის – ო. შ-ის მიზანს წარმოადგენდა კასატორის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის ნ. ვ- ის დახმარებით ხელში ჩაგდება.

ამასთან, კასატორმა წარმოადგენილ საკასაციო საჩივარში მიუ- თითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხ- ლის პირველ ნაწილზე და სახელმწიფო ბაზეფის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე იშუამდგომ- ლა. კასატორის განმარტებით, იგი არის უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი პენსიონერი, რომელსაც არ გააჩნია სამსა- ხური. ამავდროულად, იგი ირიცხება სოციალურად დაუცველ ოჯახ- თა მონაცემთა ერთიან ბაზაში. კასატორმა საკასაციო საჩივართან ერთად ზემოაღნიშნულ გარემოებათა დამადასტურებელი დოკუ- მენტაცია წარმოადგინა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ- მეთა პალატის 2019 წლის 17 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწი- ლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქ- ნა მიღებული მ. ჯ-ას საკასაციო საჩივარი. ამასთან, კასატორს – მ. ჯ-ას სახელმწიფო ბაჟის გადახდა მოცემულ საქმეზე საბოლოო გა- დაწყვეტილების მიღებამდე გადაუვადდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ- მეთა პალატის 2019 წლის 12 სექტემბრის განჩინებით მ. ჯ-ას საკა- საციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაი- ნიშნა მხარეთა დასწრებით.

2020 წლის 29 იანვარს საკასაციო სასამართლოს შუამდგომლო- ბით მომართა მ. ჯ-ამ, რომელმაც სარჩელის უზრუნველყოფის ღო- ნისძიების სახით სადავო უძრავ ქონებაზე (ს/კ №...), მდებარე – ქ. თბილისი, ..., ქ.ნ. „...“, ..., ყადაღის დადგება მოითხოვა. განმცხადებ- ლის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ 08.11.2019 განჩი- ნებით ყადაღა მოხსნა აღნიშნულ უძრავ ქონებას, რის გამოც ხე-

ლახალი საფრთხე დადგა მათი საცხოვრებლის იპოთეკით დატვირთვისა და გასხვისებისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 31 იანვრის განჩინებით მ. ჯ-ას შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ორნისძების გამოყენების შესახებ და კამაყოფილდა; ყადაღა დაედო ფ. გ-ის (პ/ნ №...) საკუთრებაში არსებულ საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებას (ს/კ №...), მდებარე – ქ. თბილისი, ..., ე.ნ. „....“ , ....

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ მ. ჯ-ას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 დეკემბრის განჩინება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2011 წლის 23 თებერვალს მ. ჯ-ასა და ნ. შ-ს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მ. ჯ-ამ ნ. შ-ისაგან ისესხა 75 000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარი სამი თვის ვადით. სესხის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა მ. ჯ-ას კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ე.ნ. „....“, ..., დაზუსტებული ფართობი: 1087.00 კვ.მ, ნაკვეთის ნინა ნომერი: ..., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 334 კვ.მ (სარდაფი ფართობით: 178 კვ.მ).

საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ 2011 წლის 23 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, 2011 წლის 7 ივნისს ნოტარიუსის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი მოსარჩელე მ. ჯ-ას საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის თაობაზე (მისამართი: ქ. თბილისი, ..., ე.ნ. „....“, ..., არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: №..., დაზუსტებული ფართობი: 1087.00 კვ.მ, ნაკვეთის ნინა ნომერი: ..., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 334 კვ.მ (სარდაფი ფართობით: 178 კვ.მ). აღნიშნული სააღსრულებო ფურცლის თანახმად, აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობამ 2011 წლის 7 ივნისის მდგომარეობით შეადგინა (ძირითადი თანხის, პროცენტის, პირგასამტებლოს გათვალისწინებით) 85 955 (ოთხმოც

დახუთი ათას ცხრაას ორმოცდათხუთმეტი) აშშ დოლარი, ამასთან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ალსრულებამდე პირგასამტებლოს სახით განისაზღვრა ძირითადი თანხის 0.3%.

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ 2011 წლის 13 ივნისს კერძო აღმასრულებელ ფ. უ-ა და ნ. შ-ს შორის დადებულ იქნა სააღსრულებო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა ნოტარიუს რ. ჩ-ჩ-ის მიერ 2011 წლის 7 ივნისს გაცემული №110569152 სააღსრულებო ფურცლის აღსრულება.

თბილისის სააღსრულებო ბიუროს კერძო აღმასრულებლის მიერ, სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, მ. ჯ-ას გაეგზავნა 2011 წლის 14 ივნისის №A...-004/001 წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, რომლის თანახმად, მას ეცნობა, რომ 7 (შვიდი) დღის ვადაში უნდა გადაეხადა სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული თანხა. ამავე გადაწყვეტილებით მას განემარტა, რომ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, განხორციელდებოდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იძულებითი მოქმედებები. მ. ჯ-ას განემარტა, რომ შეფასებიდან ერთი თვის ვადაში ჩატარდებოდა პირველი იძულებითი აუქციონი ელექტრონული წესით (ვებგვერდის მითითებით). მას, ასევე, ეცნობა, რომ იძულებითი აღსრულების ცალკეულ ღონისძიებათა შესახებ წინასწარ, პერსონალურად, დამატებით არ ეცნობებოდა, მათი მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება კი შეეძლო კერძო აღმასრულებლისაგან აუქციონის შესახებ – ოფიციალური ვებგვერდიდან (ვებგვერდის მითითებით).

დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 2011 წლის 14 ივნისს კერძო აღმასრულებლის – ფ. უ-ს მიერ მ. ჯ-ას თანდასწრებით შედგენილ იქნა ქონების აღნერა-დაყადაღების აქტი, რომელიც ხელმოწერილ იქნა მ. ჯ-ას მიერ. მითითებული აქტის თანახმად, მ. ჯ-ს განემარტა მიმდინარე სააღსრულებო წარმოების შინაარსი, ქონების აღნერის მიზანი, აღმასრულებლის მოქმედებათა გასაჩივრების წესი და მათი სხვა უფლება-მივალეობა.

2011 წლის 14 ივნისს კერძო აღმასრულებელმა – ფ. უ-ამ №... წერილით მიმართა სასიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა 2011 წლის 7 ივნისს გაცემული №110569152 სააღსრულებო ფურცლის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, მის მიერ 2011 წლის 14 ივნისს დადებული ყადაღის რეგისტრაციაში გატარება, მოვალის – მ. ჯ-ას კუთვნილ უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ..., ე.ნ. „..., დაზუსტებული ფართობი: 1087.00 კვ.მ, ნაკვეთის წინა ნომერი: ..., შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 334 კვ.მ (სარდაფი ფარ-

თობით: 178 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით: №....

დადგენილია, რომ 2011 წლის 27 ივნისს კერძო აღმასრულებელ-მა – ფ. უ-ამ №A...-008/001 წერილით მიმართა შპს „...ს“ და მოითხოვა მოსარჩელე მ. ჯ-ას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ..., ე.წ. „..., დაზუსტებული ფართობი: 1087.00 კვ.მ, ნაკვეთის წინა ნომერი: ..., შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 334 კვ.მ (სარდაფი ფართობით: 178 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით: №..., მოქმედი საბაზრო ღირებულებით შეფასება. აღნიშნული მიმართვის საფუძველზე, 2011 წლის 29 ივნისს შპს „...ს“ და ფ. უ- შორის დაიდო №11/06-29/09 ხელშეკრულება ქონების შეფასებაზე.

შპს „...ს“ 2011 წლის 4 ივლისის №11/07-04/09 უძრავი ქონების აუდიტორული შეფასების (საექსპერტო დასკვნის) თანახმად, მ. ჯ-ას საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონება მისამართზე: ქ. თბილისი, ..., ე.წ. „..., შეფასდა 230 000 (ორას ოცდაათი ათასი) ლარად.

საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ 2011 წლის 9 ივლისს კრედიტორმა – ნ. შ-მა განცხადებით მიმართა კერძო აღმასრულებელს – ფ. უ-ს და მის მიერ წარდგენილი, 2011 წლის 7 ივნისის №110569152 სააღსრულებო ფურცლის აღსრულების შეჩერება, ხოლო 2011 წლის 29 ივლისს წარდგენილი განცხადებით შეჩერებული სააღსრულებო წარმოების განახლება მოითხოვა.

2011 წლის 3 აგვისტოს კერძო აღმასრულებელმა – ფ. უ-ამ განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მის წარმოებაში არსებულ №... სააღსრულებო საქმესთან დაკავშირებით (კრედიტორი: ნ. შ-ი, ხოლო მოვალე: მ. ჯ-ა) მოითხოვა მოვალის კუთვნილი უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ე.წ. „..., დაზუსტებული ფართობი: 1087.00 კვ.მ, ნაკვეთის წინა ნომერი: ..., შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 334 კვ.მ (სარდაფი ფართობით: 178 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №..., იძულებითი რეალიზაციისთვის სააუქციონო მომსახურების განევა.

ელექტრონული აუქციონების ვებგვერდზე ... წლის ... აგვისტოს გამოცხადებულ იქნა ... (ლოტი №..., განაცხადის №..., საქმის №...) ელექტრონული აუქციონი უძრავი ქონების (ს/კ №...) რეალიზაციის მიზნით, რომელიც დასრულდა ... წლის ... აგვისტოს.

დადგენილია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2011 წლის 30 აგვისტოს №A... და №A...- განკარგულებების თანახმად, მოვალის – მ. ჯ-ას საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ე.წ. „..., საკადასტრო კოდი: №..., შემძენი გახდა ფ. გ-ე, რომელმაც ნივთი შეიძინა 142 600 ლარად და თანხა გადაიხადა სრულად. აღსრუ-

ლება კი განხორციელდა 6. შ-ის სასარგებლოდ. ამასთან, განკარგულებაში აღნიშნულია, რომ რეალიზებული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება ნივთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, ხოლო ნივთის ახალ მესაკუთრეზე გადასვლის მომენტიდან, ძველი მესაკუთრე კარგავს ყოველგვარ უფლებას ამ ნივთზე.

2011 წლის 30 აგვისტოს №A...- განკარგულების საფუძველზე, 2011 წლის 23 სექტემბერს, ქ. თბილისში, ..., ე.ნ. „...“,... ში მდებარე №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთის მესაკუთრედ დარეგისტრირდა ფ. გ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2012 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების თანახმად, მ. ჯ-ას სარჩელი, 2011 წლის 23 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და პირველდელი მდგომარეობის აღდგენისა და საკუთრების უფლების აღიარების გზით უძრავი ქონების უკან დაბრუნება-რესტიტუციის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 დეკემბრის განჩინებით მ. ჯ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2012 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 მაისის განჩინებით მ. ჯ-ას საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

დადგენილ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ 2015 წლის 20 ნოემბერს მ. ჯ-ამ განცხადებით (საჩივრით) მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს 2011 წლის 30 აგვისტოს №A...- განკარგულების ბათილად ცნობისა და აუქციონის შედეგების გაუქმების მოთხოვნით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2015 წლის 16 დეკემბრის №5452 ბრძანებით მ. ჯ-ას უარი ეთქვა საჩივრის განხილვაზე იმ საფუძვლით, რომ აღმასრულებლის ქმედების ნაწილში გასული იყო გასაჩივრების ვადა, ხოლო საკუთრების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულება საჩივრდებოდა სასამართლო წესით.

საკასაციო სასამართლო უპირველესად ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 2011 წლის 23 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისა და საკუთრების უფლების აღიარების გზით უძრავი ქონების უკან დაბრუნება-რესტიტუციის თაობაზე, მოსარჩელე მ. ჯ-ა სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში აწარმოებდა დავას, თუმცა სარჩელი ზემოაღნიშნული მოთხოვნე-

ბით, არ იქნა დაკმაყოფილებული. ამასთან, საგულისხმოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელისათვის სამოქალაქო სამართლნარმოების წარუმატებლად დასრულებამ იმ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ძალაში დატოვება გამოიწვია, რომელიც საბოლოოდ საფუძვლად დაედო ნოტარიუსის მიერ 2011 წლის 7 ივნისის სააღსრულებო ფურცლის გაცემას. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა ისჯება კანონით. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღმრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მიერადაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს. შესაბამისად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ძალაში დატოვებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი წარმოადგენს სააღსრულებო წარმოების განსახორციელების საფუძველს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენს სადაც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შენარჩუნება, თუმცა რამდენადაც სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე ძალაშია, მ. ჯ-ას ინტერესის დაკმაყოფილება მოცემული დავის ფარგლებში პრაქტიკულად შეუძლებელია. განსახილველი დავის კასატორის სასარგებლოდ გადაწყვეტის, კერძოდ, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სადაც განკარგულებების, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის სადაც ბრძანებისა და ... წლის ... აგვისტოს ჩატარებული აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის შემთხვევაშიც კი, ყოველთვის იარსებებს ნოტარიუსის მიერ გაცემული სანოტარო ფურცლის საფუძველზე სააღსრულებო წარმოების ხელახალი დაწყების საფუძველი, მანამ, სანამ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტორის

ინტერესების დაქმაყოფილების მიზნით, სრულყოფილად არ გაი-  
მართება სააღსრულებო წარმოება.

ამასთან, საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქარ-  
თველოს უზენაეს სასამართლოში გამართულ სასამართლო სხდო-  
მებზე მ. ჯ-ას სასამართლოს მხრიდან არაერთხელ დეტალურად  
განვიხმარტა არსებული მდგომარეობა. კასატორს, აგრეთვე, მრავალ-  
ჯერ შეეთავაზა მესამე პირთან – ფ. გ-ესთან შეთანხმების მიღწე-  
ვა. საგულისხმოა, რომ საკასაციო პალატამ მიმართა ყველა შესაძ-  
ლო შესაძლებლობას სადავო ურთიერთობის პროცესის ორივე მო-  
ნაწილისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი გზით გადაწყვეტის  
მიზნით მ. ჯ-ასა და სადავო უძრავი ქონების შემძენის, მესამე პი-  
რის – ფ. გ-ის ინტერესთა ურთიერთდაახლოებისა და ურთიერთდა-  
ბალანსებისათვის. თავად ფ. გ-ემაც გამოთქვა მზაობა, მ. ჯ-ასათ-  
ვის სადავო უძრავი ქონებიდან გამოყეო კონკრეტული ფართობის  
მქონე მინის ნაკვეთი, იმისათვის, რომ მ. ჯ-ას შეძლებოდა მასზე  
განთავსებული საცხოვრებელი სახლის გამოყენება. საკასაციო პა-  
ლატამ კასატორს ამგვარი შეთავაზების შემდგომაც გამოიყო გარ-  
კვეული დრო წამოყენებულ წინადადებაზე დასაფიქრებლად, თუმ-  
ცა მ. ჯ-ამ მესამე პირის შეთავაზებაზე პრინციპული უარი განაც-  
ხადა. ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ საკასაციო პა-  
ლატამ მიმართა ყველა შესაძლო ღონისძიებას, იმისათვის, რომ მ.  
ჯ-ას სადავო უძრავი ქონების გარკვეულ ნაწილზე მაინც შეენარ-  
ჩუნებინა საკუთრების უფლება, თუმცა – უშედეგოდ.

საკასაციო პალატა მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შე-  
სახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც ანესრიგებს საერთო სა-  
სამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის  
პირების), არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისი-  
ისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასა-  
მართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს  
მიერ მიღებული აქტების და ამ კანონით გათვალისწინებული აღ-  
სასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების წესა და პირო-  
ბებს. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „ნ“ პუნქტის შესაბამისად,  
ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება სა-  
ნოფრარო აქტები. ამავე კანონის 14<sup>7</sup> მუხლის პირველი პუნქტის თა-  
ნახმად, კერძო აღმასრულებელი ახორციელებს ამ კანონის მე-2  
მუხლის „ა“, „ბ“ და „ე“-თ ქვეპუნქტიებით გათვალისწინებული აქ-  
ტების (გადაწყვეტილებების), აღნიშნული მუხლით გათვალისწი-  
ნებული სანიტარო აქტებისა და გირავნობის მოწმობების აღსრუ-  
ლებას. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კერ-  
ძო აღმასრულებელი ყადაღადადებული ქონების საჯარო აუქცი-  
ონზე რეალიზაციის მიზნით, კრედიტორის შესაბამისი განცხადე-

ბის საფუძველზე, დამოუკიდებლად ახორციელებს ამ კანონით დადგენილ აუქციონის მოსამზადებელ პროცედურებს, ხოლო მე-7 პუნქტის შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიურო ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კერძო აღმასრულებლის სააუქციონო მომსახურების განვითი შესახებ განაცხადის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აგმაყოფილებს განაცხადს ან უარს ამ-ბობს მის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს „სააღსრულებო წარმოება-თა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტზე, რომლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ინფორმირება ხდება სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. ამავე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, მოვალეს იძულებითი აღსრულების ღონისძიების კონკრეტული დრო და ადგილი დამატებით არ ეცნობება. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თანხის გადახდევინების, უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხვის, ქონების გადაცემის ან სხვა ისეთი კატეგორიის საქმეებზე, როდესაც აღსრულება უნდა განხორციელდეს მოვალის ქონებაზე ან ამ ქონების ხარჯზე, ნინადადების ჩაბარებასთან ერთად (ან თუ ნინადადების ჩაბარება დროულად ვერ ხდება) აღმასრულებელი დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების მოძიებას, აღწერას და მასზე ყადაღის დადებას ამ კანონით დადგენილი წესით. ამავე კანონის 69-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იძულებით აუქციონის ამ კანონით დადგენილი წესით ატარებს აღსრულების ეროვნული ბიურო ან სხვა პირი მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ მოვალე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ქონების მესაკუთრედ, მაშინ აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას იძულებითი აუქციონის დანიშნვის შესახებ.

საკასაციო პალატა აგრეთვე მიუთითებს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანებით დამტკიცებული „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმებისა და წესის“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, აუქციონის ჩატარების თაობაზე აღსრულების ეროვნული ბიურო აქვეყნებს ინტერნეტ განცხადებას, ხოლო ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიურო ვალდებულია აუქციონის შესახებ სპეციალური საჯარო განცხადება განათავსოს ვებგვერდზე: [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ან/და [www.nbe.gov.ge](http://www.nbe.gov.ge). აუქციონის ჩატარების შესახებ მხარეებს (შესაბამისი საგადასახადო ორგანოს გარდა) პერსონალურად არ ეცნობებათ. მათი ინფორმირება ხორციელდება ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, მოცემულ

შემთხვევაში, დადგენილია, რომ 2011 წლის 23 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, 2011 წლის 7 ივნისს ნოტარიუსმა გასცა სააღსრულებო ფურცელი, მოსარჩელე – მ. ჯ-ას საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის თაობაზე (მისამართი: ქ. თბილისი, ..., ე.ნ. „..., არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: №..., დაზუსტებული ფართობი: 1087.00 კვ.მ, ნაკვეთის ნინა ნომერი: ..., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 334 კვ.მ (სარდაფი ფართობით: 178 კვ.მ). სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, კერძო აღმასრულებელმა მ. ჯ-ას გაუგზავნა 2011 წლის 14 ივნისის №A...-004/001 ნინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, რომელიც მ. ჯ-ას პირადად ჩაპარდა 2011 წლის 14 ივნისს. აღნიშნული ნინადადებით ადრესატს განემარტა, რომ მას 7 (შვიდი) დღის ვადაში უნდა გადაეხადა სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული თანხა, მას ასევე განემარტა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე, მე-18 მუხლების შინაარსი და ისიც, რომ იძულებითი აღსრულების ცალკეულ ღონისძიებათა შესახებ წინასწარ, პერსონალურად, დამატებით არ ეცნობებოდა. ამასთან, მათი მიმდინარეობის დროის, ადგილის, მდგომარეობის შესახებ მას დეტალური ინფორმაციის მიღება აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალური ვებგვერდიდან, ხოლო საჭირო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება კერძო აღმასრულებლისგანაც შეეძლო. ამავე თარიღით, კერძო აღმასრულებელმა – ფ. უ-ამ მ. ჯ-ას თანდასწრებით შეადგინა ქონების აღნერა-დაყადალების აქტი, რომელიც ხელმოწერილ იქნა მ. ჯ-ას მიერ. მ. ჯ-ას განემარტა მიმდინარე სააღსრულებო წარმოების შინაარსი, ქონების აღნერის მიზანი, აღმასრულებლის მოქმედებათა გასაჩივრების წესი და სხვა უფლება-მოვალეობანი.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ 2011 წლის 3 აგვისტოს კერძო აღმასრულებელმა ფ. უ-ამ განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მის წარმოებაში არსებულ №... სააღსრულებო საქმესთან დაკავშირებით (კრედიტორი: ნ. შ-ი, მოვალე: მ. ჯ-ა) მოვალის კუთვნილი უძრავი ქონების იძულებითი რეალიზაციისთვის სააუქციონო მომსახურების განევა მოითხოვა. ელექტრონული აუქციონების ვებგვერდზე ... წლის ... აგვისტოს გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი უძრავი ქონების (ს/კ №...) რეალიზაციის მიზნით, რომელიც დასრულდა ... წლის ... აგვისტოს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2011 წლის 30 აგვისტოს №A...-... და №A...-... განკარგულებების თანახმად, მოვალე მ. ჯ-ას საკუთრებაში არსებული უძრავი

ქონების (ს/კ №...) შემძენი გახდა ფ. გ-ე. 2015 წლის 20 ნოემბერს მ. ჯ-ამ განცხადებით (საჩივრით) მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, 2011 წლის 30 აგვისტოს №A...-.... განკარგულების ბათოლად ცნობისა და აუქციონის შედეგების გაუქმების მოთხოვნით. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 16 დეკემბრის №5452 ბრძანებით მ. ჯ-ას უარი ეთქვა საჩივრის განხილვაზე იმ საფუძვლით, რომ აღმასრულებლის ქმედების ნაწილში გასული იყო გასაჩივრების ვადა, ხოლო საკუთრების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულება საჩივრდებოდა სასამართლო წესით.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააღსრულებო წარმოება და აუქციონი არ ჩატარებულა კანონით დადგენილი წესით, მისი სათანადოდ ინფორმირების გარეშე. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მოსაზრებას, რომ კერძო აღმასრულებელმა და შემდგომში აღსრულების ეროვნულმა ბიურომ კანონის მოთხოვნათა დაცვით, სწორად განახორციელეს სააღსრულებო ფურცლის აღსრულებისათვის საჭირო პროცედურები, მოსარჩევეს ჰქონდა შესაძლებლობა, კანონით დადგენილი საშუალებებით გაცნობოდა აღსრულებასთან დაკავშირებით მომავალში განსახორციელებელ ცალკეულ ქმედებას და ვებგვერდის საშუალებით მიეღო ინფორმაცია აუქციონის მიმდინარეობის შესახებ. ამასთან, უსაფუძვლოა მ. ჯ-ას მოსაზრება აუქციონის შეჩერების აუცილებლობის თაობაზე, ვინაიდან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტი იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებლად მიიჩნევს აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტას, შეჩერებას, გადადებას, ქონების ყადაღისაგან გათვალისუფლებას, ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პროკურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ პროკურორის მხრიდან ასეთი მიმართვა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიურში წარდგენილი არ ყოფილა.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანებით დამტკიცებული „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმებისა და წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინტერნეტ აუქციონის დროს ფასის

მატება ხდება ვაჭრობის ბიჯით, რაც ჩანს „ონლაინ“ რეუიმში, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ინტერნეტ აუქციონში გამარჯვებულად ითვლება მონანილე, რომლის მიერ აუქციონის დასრულებამდე შეთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ბიჯი. საკასაციო პალატა მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ ვინაიდან კანონმდებლობა ბიჯების რაოდენობასთან დაკავშირებით შეზღუდვას არ ითვალისწინებს, მოცემულ შემთხვევაში, ფ. გ-ის მიერ აუქციონში გამარჯვების მიზნით დაფიქსირებული ბიჯების ოდენობა არ წარმოადგენდა დარღვევას და მით უფრო აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის საფუძველს. ამდენად, სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის ეტაპზე კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დარღვევას ადგილი არ ჰქონია და ფ. გ-ე, როგორც აუქციონის ერთადერთი მონანილე, ფასის შემთავაზებელი, სწორად გამოცხადდა გამარჯვებულად.

საკასაციო პალატა მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლზე, რომლის თანახმად, აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ქონების ფასის სრულად გადახდის შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანა ნიშნავს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

დადგენილია, რომ 2011 წლის 30 აგვისტოს №A... განკარგულებით მ. ჯ-ას საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების (მდებარე: ქ. თბილისში, ... ში, ე.ნ. ...., საკადასტრო კოდი: №...) შემძენი გახდა ფ. გ-ე. ამავე თარიღით, გამოცემულ იქნა №A... - განკარგულება, ვინაიდან №A... განკარგულებაში არასწორად იქნა მითითებული უძრავი ქონების ყოფილი მესაკუთრის - მ. ჯ-ას პირადი ნომერი. საკასაციო პალატა მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ იმ პირობებში, როდესაც №A... - განკარგულება მხოლოდ ქონების ძველი მესაკუთრის პირადი ნომრის მითითებით განსხვავდება №A... განკარგულებისაგან, არსებობდა მის საფუძველზე, თბილისში, ... ში (ე.ნ. ...., ს/კ №...) უძრავი ნივთის მესაკუთრედ ფ. გ-ის რეგისტრაციის განხორციელების წინაპირობა, №A... - განკარგულება გამოცემულია №... განკარგულებაში დაშვე-

ბული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით და მასში რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილებას ადგილი არ ჰქონია. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ ის გარემოება, რომ განკარგულება გამოცემულია ახალი ნომრით და შემდეგ სწორედ იგი დაედო საფუძვლად უძრავი ნივთის ფ. გ-ის საკუთრებად რეგისტრაციას, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს №... განკარგულების ბათილად ცნობას.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ან პირდაპირ სასამართლოში ასეთი ქმედების განხორციელებიდან 1 თვის ვადაში. ამავე კანონის 18<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საალსრულებო წარმოების მხარესა და დაინტერესებულ პირს, რომელთა კანონიერ ინტერესზედაც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს აღმასრულებლის ქმედება, უფლება აქვთ, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან ერთჯერადად გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

საკასაციო პალატა საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ მ. ჯ-ასათვის კანონით დადგენილი წესით ცნობილი იყო აღმასრულებლის მიერ 2011 წლის ივნის-ივლისის თვეში განხორციელებული ქმედებების თაობაზე, შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიუროს სადაც 2015 წლის 16 დეკემბრის №5452 ბრძანება, აღმასრულებლის ქმედებების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გასელის გამო, მ. ჯ-ას საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, კანონიერია. ამასთანავე, აღნიშნული ბრძანება კანონიერია მ. ჯ-ასათვის №A... განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ საჩივრის განხილვაზე უარის თქმის ნაწილშიც, ვინაიდან „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 18<sup>3</sup> მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, საალსრულებო წარმოებისას ქონების შემცნისათვის საკუთრების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და იგი გასაჩივრდება სასამართლოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2011 წლის 30 აგვისტოს №A... განკარგულება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავ-

მჯდომარის 2015 წლის 16 დეკემბრის №5452 ბრძანება მ. ჯ-ას საჩივრების განხილვაზე უარის თქმის შესახებ გამოცემულია კანონის სრული დაცვით. შესაბამისად, არ არსებობს მათი ბათილად ცნობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი. ამასთანავე, იმ პირობებში, როდესაც კანონიერად არის მიჩნეული აღმასრულებლის ქმედებები და სადაც განკარგულება, რომელიც აუქციონის შედეგს წარმოადგენს, უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა აუქციონის შედეგების გაუქმების თაობაზეც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ მ. ჯ-ას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 დეკემბრის განჩინება.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათვისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზედაც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. მოსარჩელის მდგომარეობის მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი – მ. ჯ-ა უნდა გათვისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლზე, რომლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რამდენადაც მოსარჩელის – მ. ჯ-ას სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული, არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 31 იანვრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-  
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-  
ნილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე  
მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ჯ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-  
მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 დეკემბრის განჩი-  
ნება;
3. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინის-  
ტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 31 იანვრის განჩინებით გა-  
მოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც  
ყადაღა დაედო ფ. გ-ის (პ/ნ №...) საკუთრებაში არსებულ საჯარო  
რეესტრში მის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებას (ს/კ №...),  
მდებარე – ქ. თბილისი, ..., ე.ნ. „...“, ...;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-  
რდება.

## **სააღსრულებო პიუროს განკარგულების კანონიერება**

### **გადაცვეტილება საქართველოს სახელი**

№ბა-10(კ-20)

9 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ქადაგიძე,  
6. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათი-  
ლად ცნობა

### **აღნერილობითი ნაწილი:**

2016 წლის 30 დეკემბერს შპს „...ომ“ სასარჩელო განცხადებით  
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2016 წლის 31 აგვისტოს №A12032236-027/057 განკარგულების 10 ტონიან ცისტერნასა და ცისტერნა რეზერვუარზე საკუთრების უფლების გადაცემის ნაწილში ბათილად ცნობა მოითხოვა. სარჩელის საფუძვლად მიუთითა ის გარემოება, რომ აუქციონზე გასხვისებული ქონება წარმოადგენდა შპს „...ოს“ საკუთრებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 22 მარტის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე შპს „...ოს“ სარჩელისა გამო, მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე, საქმის წარმოება შეწყდა დაუშვებლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 22 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „...ომ“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 1 აგვისტოს განჩინებით შპს „...ოს“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 22 მარტის განჩინება და საქმე შპს „...ოს“ სარჩელის დასაშვებობის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 თებერვლის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირებად ჩართულ იქნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ შემოსავლების სამსახური; შპს „ზ...ი“; სს „ს...ი“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით შპს „...ოს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 05 ნოემბრის №14/04-4625 ბრძანებით ყადაღადა დაედო სს „ს...ის“ ქონებას (მატერიალურ ან/და არამატერიალურ აქტივებს).

2009 წლის 30 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) სს „ს...ის“ დაყადაღებული ქონების ღია აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 იანვრის ბრძანებით (საქმე №3/4179-09) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შუამდგომლობა დაქმაყოფილდა და დადგინდა გადასახადის გადამხდელის სს „ს...ის“ ყადაღადადებული ქონების ღია აუქციონის წესით რეალიზაცია. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2012 წლის 10 ივლისს გაცემული იქნა №3/4179-09 სააღსრულებო ფურცელი, მოვალე სს „ს...ის“ მიმართ, კრედიტორი – სსიპ შემოსავლების სამსახური.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 იანვრის №3/4179-09 ბრძანებასა და 2012 წლის 10 ივლისის №3/4179-09 სააღსრულებო ფურცელში მითითებული მოთხოვნის იძულებით აღსრულების მიზნით აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ დაიწყო სააღსრულებო ნარმოება №A 12048790.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2010 წლის 29 დეკემბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება (საქმე №3/1165-08), რომლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელი დაქმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხე – სს „ს...ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 56 633 883.25 აშშ დოლარის ექვივალენტის გადახდა და ლარში. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2012 წლის 17 მაისს გაცემული იქნა სააღსრულებო ფურცელი (საქმე №3/1165-08), სადაც მოვალედ მიეთითა – სს „ს...ი“, კრედიტორად – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2012 წლის 22 მაისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნარმომადგენელმა განცხადებით მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს, ნარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება საქმეზე №3/1165-08 და 2012 წლის 17 მაისის №3/1165-08 სააღსრულებო ფურცელი და მოითხოვა სს „ს...ის“ მიმართ არსებული

მოთხოვნის იძულებით აღსრულება.

სსიპ აღმასრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა 2012 წლის 23 მაისს №A12032236-004/001 და 2013 წლის 02 აპრილს №A12032236-004/002 წინადადებებით მიმართა სს „ს...ს“ და აცნობა, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში იყო A12032236 სააღსრულებო საქმე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2012 წლის 17 მაისს გაცემული №3/1165-08 სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, სს „ს...ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრო 56 633 883.25 აშშ დოლარის ექვივალენტის გადახდა ლარში. ამასთან, მოვალეს მიეცა წინადადება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, დაკისრებული თანხა გადაეხადა ნებაყოფლობით, 7 დღის ვადაში და თანხა ჩაერიცხა აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე.

სს „ს...ის“ გენერალურმა დირექტორმა 2013 წლის 10 აპრილს №01/09 წერილით მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელს და აცნობა, რომ სს „ს...ი“ იმყოფებოდა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში და მოკლებული იყო შესაძლებლობას კრედიტორული დავალიანების დაფარვა განეხორციელებინა ნებაყოფლობით. ამასთან, აცნობა, რომ სს „ს...ს“ გააჩნდა სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანება 22 714 460 ლარის ოდენობით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 5 ნოემბრის №19/04-4625 ბრძანების საფუძველზე საწარმოს (მატერიალურ ან/და არამატერიალურ აქტივებს) ქონებას დაედო ყადაღა.

2016 წლის 24 მაისს 17:00 საათზე თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის გ. ჩ-ის მიერ შედგა აქტი მოვალის ქონების აღნერისა და დაყადაღების შესახებ. მოვალის ქონების აღნერისა და დაყადაღების შესახებ აქტში აღინიშნა, რომ აღმასრულებელმა მოახდინა ...ს რაიონის, სოფელ ...ში მდებარე მოვალე სს „ს...ის“ (...) კუთვნილი ქონების აღნერა-დაყადაღება, რომელთა შორის მიეთოთა: ცისტერნა 10 ტონიანი და ცისტერნა რეზერვუარი.

სს „ს...ის“ დაყადაღებული მოძრავი ქონება, მათ შორის, ცისტერნა 10 ტონიანი და ცისტერნა რეზერვუარი, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2016 წლის 22 აგვისტოს გასხვისდა საჯარო აუქციონის გზით. 2016 წლის 31 აგვისტოს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ გამოცემული იქნა განკარგულება №A12032236-027/057, რომლის თანახმად, მოვალე სს „ს...ის“ (...) საკუთრებაში რიცხული ქონების, მათ შორის, 1 ცალი 10 ტონიანი ცისტერნის და 1 ცალი ცისტერნა რეზერვუარის შემძნი 22.08.2016 წელს დასრულებულ, იძულებით საჯარო აუქ-

ციონზე გახდა შპს „ზ...ი“ (...). ამავე განკარგულებაში მიეთითა, რომ აღსრულება განხორციელდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების, მათ შორის №A12032236 სააღსრულებო წარმოების კრედიტორის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარგებლოდ.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ შპს „...ომ“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის გ. ჩ-ის მიერ 2016 წლის 24 მაისს შედგენილ ნივთის აღნერისა და დაყადაღების შესახებ აქტში მითითებული მოძრავი ნივთებიდან: 10 ტონიანი ცისტერნის, ცისტერნა რეზერვუარის და ამწე მექანიზმის დირესთან ერთად, ყადაღისგან გათავისუფლება, იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული ქონება მის საკუთრებას წარმოადგენდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 03 აგვისტოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/18495-16), შპს „...ომ“ სარჩელი დაკამაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ შპს „...ომ“ 2016 წლის 24 მაისის აღნერისა და დაყადაღების შესახებ აქტში მითითებული 10 ტონიანი ცისტერნისა და ცისტერნა რეზერვუარის ყადაღისგან გათავისუფლების მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სარჩელი აღძრა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღნიშნული ქონების გასხვისების შესახებ საჯარო აუქციონის გამოცხადების შემდგომ. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება 10 ტონიანი ცისტერნისა და ცისტერნა რეზერვუარის ყადაღისგან გათავისუფლების შესახებ მიღებული იქნა მას შემდეგ (2017 წლის 03 აგვისტო), რაც აღნიშნულ ქონებაზე დასრულდა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოცხადებული იძულებითი საჯარო აუქციონი (... წლის ...) და მიღებული იქნა განკარგულება (2016 წლის 31 აგვისტო) აუქციონზე გამარჯვებული პირისთვის, შეძენილ მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მინიჭების შესახებ. ამდენად, მესამე პირის შპს „...ოს“ ქონება ყადაღისგან გათავისუფლდა მისი რეალიზების შემდგომ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებდა, სწორედ, ისეთი სამართლუროთიერთობის მოწესრიგების სპეციალურ წესს, რომლის დროსაც ყადაღადადებული ქონება რეალიზებული იქნა მანამდე, ვიდრე მოხდებოდა მესამე პირის სარჩელის საფუძველზე მისი ყადაღისგან გათავისუფ-

ლება. ასეთ შემთხვევაში, კანონმდებელმა მესამე პირს მიანიჭა უფლება მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება მოვალისგან, რომლის ვალდებულების გამოც მოხდა მისი ქონების გასხვისება. გასათვალისწინებელია, რომ კანონმდებელი მესამე პირის ქონების გასხვისებას სააღსრულებო წარმოების შედეგების გაუქმებას არ უკავშირებდა, მიუხედავად იმისა, რომ ცხადია, ასეთი მოქმედებით იღახებოდა მესამე პირის ინტერესები. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ კანონის ამგვარი ჩანაწერით კანონმდებელმა გაითვალისწინა აუქციონში გამარჯვებული პირის, როგორც კეთილსინდისიერი შემძენისა და კრედიტორის, როგორც შის სასარგებლოდ არსებული მოთხოვნის იძულებითი აღსრულებით დაინტერესებული პირის ინტერესები და მიიჩნია, რომ მათ ინტერესებს უპირატესობა უნდა მინიჭებოდა მესამე პირის ინტერესებთან შედარებით, რომლის უფლებაც რეალიზებულ ქონებაზე დადგენილი იქნა მხოლოდ ქონების რეალიზაციის შემდგომ. ამასთან, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ნორმის ამგვარი განმარტება არ ნიშნავდა იმას, რომ ასეთ შემთხვევაში მესამე პირთა ინტერესები დაცული არ იყო, თუმცა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონმა მესამე პირს საკუთარი ინტერესების დაცვის ისეთი კონკრეტული საშუალება განუსაზღვრა, როგორიცაა მოვალისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რაც თავის მხრივ, გამორიცხავდა მისი ინტერესების დაცვას უკვე ჩატარებული აუქციონის ბათილად ცნობისა და გასხვისებული ქონების მესამე პირისთვის დაბრუნების გზით. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩევე მხარის აპელირება იმ გარემოებაზე, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტში მესამე პირების ინტერესების დაცვის ერთერთი საშუალება იყო დადგენილი და მას ჰქონდა არჩევანის უფლება, მოითხოვდა მოვალისგან ზიანის ანაზღაურებას თუ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების საფუძველზე მოითხოვდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2016 წლის 31 აგვისტოს №A 12032236-027/057 განკარგულების ბათილად ცნობას.

საქალაქო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ იმ პირობებში, როდესაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტშა ცალსახად განსაზღვრა, რომ უკვე რეალიზებული ქონების ყადაღისგან გათავისუფლების შემთხვევაში, მესამე პირი უფლებამოსილი იყო მოვალისათვის, რომლის ვალდებულების გამოც მოხდა მესამე პირის ქონების გას-

ხვისება, მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება, მას ალარ ჰქონდა არჩევანის საშუალება საკუთარი ინტერესები დაცვა სხვა, მათ შორის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების საფუძველზე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული სარჩელის წარდგენის გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი დაეკარგებოდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის სპეციალურ ჩანაწერს, რომელიც კონკრეტული სამართალურთიერთობის მომწეს-რიგებელ სპეციალურ ნორმას წარმოადგენდა და უპირატესობა ენიჭება მოქმედი კანონმდებლობის სხვა ზოგად ნორმებთან შედარებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2019 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასასაჩივრა შპს „...ომ“, რომელმაც გასასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკავიყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 ნოემბრის განჩინებით შპს „...ოს“ სააპელაციო საჩივრარი არ დაკავიყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გასასაჩივრა შპს „...ომ“, რომელმაც გასასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკავიყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ სს „ს...ის“ დაყადალებული მოძრავი ქონება, მათ შორის, ცისტერნა 10 ტონიაზე და ცისტერნა რეზერვუარი, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გასხვისდა საჯარო აუქციონის გზით. აღსანიშნავია, რომ სწორედ ის ფაქტი არის და იყო სადაც, რომ დაყადალებული ქონება წარმოადგენდა არა სს „ს...ის“, არამედ შპს „...ოს“ საკუთრებას, რაც დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული 2019 წლის 08 იანვრის უზენაესი სასამართლოს განჩინებითაც.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ დაადგინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ შპს „...ოს“ აუქციონის ჩატარებამდე მიმართული ჰქონდა მოპასუხე მხარის თავმჯდომარისათ-

ვის და ითხოვდა აუქციონის შეჩერებას იმ მოტივით, რომ დაყადა-ლების აქტით დაყადალებული ქონების ნაწილი ცისტერნა 10 ტონიანი, ცისტერნა რეზერვუარი და რკინის ამწე მექანიზმი დირეს-ტან ერთად წარმოადგენდა შპს „...ოს“ საკუთრებას, მაგრამ ადმი-ნისტრაციულმა ორგანომ უარი განაცხადა აუქციონის შეჩერება-ზე. შესაბამისად მოპასუხე მხარისათვის აუქციონის ჩატარებამ-დე იყო ცნობილი, რომ ყიდდა სხვა პირის საკუთრებას.

კასატორის მითითებით, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 104-ე, 105-ე და 107-ე მუხლის მოთხოვ-ნები, ვინაიდან, გადაწყვეტილება დაეყრდნო ისეთ ფაქტობრივ გა-რემოვებას, რომელიც არ დასტურდებოდა შესაბამისი მტკიცებულე-ბებით, არასრულყოფილად შეაფასა არსებითი სახის სხვა ფაქტობ-რივი გარემოვება და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

კასატორის განმარტებით, სარჩელი 2017 წლის 22 მარტის თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი იმ მოტივით, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენდა სადაცო განეარგულებით გასხვისებულ ქონებაზე რაიმე უფლების მქონე პირს და შესაბამისად, გასაჩივრებული აქტით არ ილახებოდა მო-სარჩელის კანონით აღიარებული და დაცული ინტერესი. აღნიშნუ-ლი განჩინება აპელანტის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამარ-თლოში და რომლის, 2017 წლის 01 აგვისტოს განჩინებით საჩივარი დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში მიუთი-თა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. კერძოდ, სააპელაციო სა-სამართლომ განმარტა, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებე-ბის შეფასებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, მათ შორის, 2014 წლის 02 მაისის უძრავი ქონების ხასიათის ხელშეკ-რულების და საჯარო რესტრის ამონაზერის თანახმად, მოსარჩე-ლის მიერ დასაბუთებული იყო გასაჩივრებული აქტით მისთვის პირ-დაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ფაქტი ანუ კანონიერ ძალა-ში შესული განჩინებით დასტურდებოდა კასატორისთვის პირდა-პირი და უშუალო ზიანის მიყენების ფაქტი.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის.

კასატორის განმარტებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესა-ხებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედ-ვით, მოვალეს უფლება აქვს სარჩელი აღძრას მოვალის მიმართ, მაგრამ ეს არ წარმოადგენს მის გალდებულებას და არც ერთადერთ საშუალებას მისი უფლებების დასაცავად. კასატორის მოსაზრე-ბით, გასაჩივრებული განჩინებით ხდება უკანონობისათვის კანო-

ნიერი სახის მიცემა, ამ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით სააღ-სრულებო ბიუროს შეუძლია ნებისმიერი ადამიანის ქონება უპრობ-ლემოდ გაასხვისოს სხვისი ვალის გამო, ისე რომ ამ ადამიანს არა-ნაირი შეხება არ ჰქონდეს არც მოვალესთან და არც კრედიტორ-თან, რაც პირველ რიგში ენინააღმდეგება საქართველოს კონსტი-ტუციის მე-19 მუხლს, რომლის თანახმადაც „საკუთრებისა და მემ-კვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“. ასე-ვე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით და განჩინებით, რომელიც მიღებულია სადავო ადმინისტრაციული აქტების შემ-დგომ დადგენილია, რომ გასხვისებული ქონები წარმოადგენდა შპს „...ოს“ საკუთრებას. რაც შეეხება კეთილსინდისიერი შემძენის, კრედიტორის ინტერესების დაცვას, კასატორის მითითებით, აღ-სანიშნავი არის ის გარემოება, რომ შპს „ზ...ისათვის“ (უნიბილი იყო ის გარემოება, რომ ეს ქონება წარმოადგენდა შპს „...ოს“ საკუთრე-ბას, ამ ფაქტის შესახებ მან შეიტყო იმ დროს, როდესაც აუქციო-ნის შეძენამდე გადაწყვიტა ამ ქონების ნახვა.

კასატორმა ასევე აღნიშნა, რომ სასამართლომ ასევე არ გამოი-ყენა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლი, რომლის თანახმადაც „იგულისხმება, რომ ნივთები, რომლებსაც პო-ულობენ მოვალესთან, მას კუთვნის“. კასატორის მითითებით, გან-სახილველ შემთხვევაში სადავო ქონებები არც მოვალესთან ინა-ხებოდა, არც მის კუთვნილ ტერიტორიაზე მდებარეობდა და არც არავითარი შეხება არ ჰქონდა ამ ნივთებთან, ეს ქონება არ შედიო-და ასევე თავის დროზე შემოსავლების სამსახურის მიერ აღსრუ-ლების ბიუროში წარდგენილ დაყადალების აქტში, ასევე არც მოვა-ლეს თავის დროზე, როდესაც წარადგინა მის საკუთრებაში არსე-ბული ქონებების ნუსხა არ მიუთითებია, რომ ზემოთ აღნიშნული ქონებები წარმოადგენს მის საკუთრებას. შესაბამისად აღსრულე-ბის ეროვნულმა ბიურომ ამ ქონებების დაყადალებისას და რეალი-ზაციისას დაარღვია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქარ-თველოს კანონის მოთხოვნები, რაც სადავო აქტის ბათილად ცნო-ბის საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2020 წლის 30 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნანი-ლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქ-ნა მიღებული შპს „...ოს“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2020 წლის 29 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნანი-ლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებებად იქნა ცნობილი შპს

„...ოს“ საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა – განმარტებების მოსმენის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...ოს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 05 ნოემბრის №14/04-4625 ბრძანებით ყადაღა დაედო სს „ს...ის“ ქონებას (მატერიალურ ან/და არამატერიალურ აქტივებს).

2009 წლის 30 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) სს „ს...ის“ დაყადაღებული ქონების ღია აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 იანვრის ბრძანებით (საქმე №3/4179-09) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და დაფგინდა გადასახადის გადამხდელის სს „ს...ის“ ყადაღადადებული ქონების ღია აუქციონის წესით რეალიზაცია. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2012 წლის 10 ივლისს გაცემული იქნა №3/4179-09 სააღსრულებო ფურცელი, მოვალე სს „ს...ის“ მიმართ, კრედიტორი – სსიპ შემოსავლების სამსახური.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 იანვრის №3/4179-09 ბრძანებისა და 2012 წლის 10 ივლისის №3/4179-09 სააღსრულებო ფურცელში მითითებული მოთხოვნის იძულებით აღსრულების მიზნით აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ დაიწყო სააღსრულებო წარმოება №A12048790.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2010 წლის 29 დეკემბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება (საქმე №3/1165-08), რომლის თანახმად, საქართვე-

ლოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელი დაქმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხე – სს „ს...ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 56 633 883.25 აშშ დოლარის ექვივალენტის გადახდა ლარში. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის მიერ 2012 წლის 17 მაისს გაცემული იქნა სააღსრულებო ფურცელი (საქმე №3/1165-08), სადაც მოვალედ მიეთითა – სს „ს...ი“, კრედიტორად – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2012 წლის 22 მაისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს, წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2010 წლის 29 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება საქმეზე №3/1165-08 და 2012 წლის 17 მაისის №3/1165-08 სააღსრულებო ფურცელი და მოითხოვა სს „ს...ის“ მიმართ არსებული მოთხოვნის იძულებით აღსრულება.

სსპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა 2012 წლის 23 მაისს №A12032236-004/001 და 2013 წლის 02 აპრილს №A12032236-004/002 წინადადებებით მიმართა სს „ს...ს“ და აცნობა, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში იყო A12032236 სააღსრულებო საქმე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2012 წლის 17 მაისს გაცემული №3/1165-08 სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, სს „ს...ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 56 633 883.25 აშშ დოლარის ექვივალენტის გადახდა ლარში. ამასთან, მოვალეს მიეცა წინადადება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, დაკისრებული თანხა გადახდა ნებაყოფლობით, 7 დღის ვადაში და თანხა ჩაერიცხა აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე.

სს „ს...ის“ გენერალურმა დირექტორმა 2013 წლის 10 აპრილს №01/09 წერილით მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელს და აცნობა, რომ სს „ს...ი“ იმყოფებოდა შძმიერ ფინანსურ მდგომარეობაში და მოკლებული იყო შესაძლებლობას კრედიტორული დავალიანების დაფარვა განეხორციელებინა ნებაყოფლობით. ამასთან, აცნობა, რომ სს „ს...ს“ გააჩნდა სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანება 22 714 460 ლარის ოდენობით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 5 ნოემბრის №19/04-4625 ბრძანების საფუძველზე სანარმოს (მატერიალურ ან/და არამატერიალურ აქტივებს) ქრონებას დაედო ყადაღა.

საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის 2

მაისის ნასყიდობის ხელშეკრულების და საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, შპს „...ომ“ შპს „ც...ისაგან“ შეიძინა ...ის რაიონში, სოფელ ...ში მდებარე 10 222 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ქონება/შენობა-ნაგებობები.

2016 წლის 24 მაისს 17:00 საათზე თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის გ. ჩ-ის მიერ შედგა აქტი მოვალის ქონების აღწერისა და დაყადალების შესახებ. მოვალის ქონების აღწერისა და დაყადალების შესახებ აქტში აღინიშნა, რომ აღმასრულებელმა მოახდინა ...ის რაიონის, სოფელ ...ში მდებარე მოვალე სს „ს...ის“ (...) კუთვნილი ქონების აღწერა-დაყადალება, რომელთა შორის მიეთითა შპს „...ოს“ საკუთრებაში არსებული ცისტერნა 10 ტონიანი და ცისტერნა რეზერვუარი.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოვალის ქონების აღწერისა და დაყადალების ოქმის შედგენისთანავე, შპს „...ომ“ განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და ქონებს ყადალისაგან განთავისუფლება მოითხოვა იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული ქონება არა მოვალის, არამედ შპს „...ოს“ საკუთრებას წარმოადგენდა.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს იურიდიული სამსახურის უფროსის 2016 წლის 27 ივლისს №80149 წერილით შპს „...ოს“ უარი ეთქვა მოთხოვნის და კმაყოფილებაზე და განემარტა, რომ შეეძლო მიემართა სასამართლოსათვის, ქონების ყადალისაგან განთავისუფლების მოთხოვნით.

აღნიშნულის შემდგომ, შპს „...ომ“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის გ. ჩ-ის მიერ 2016 წლის 24 მაისს შედგენილ ნივთის აღწერისა და დაყადალების შესახებ აქტში მითითებული მოძრავი ნივთებიდან: 10 ტონიანი ცისტერნის, ცისტერნა რეზერვუარის და ამწე მექანიზმის დირესთან ერთად, ყადალისგან გათავისუფლება მოითხოვა, იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული ქონება მის საკუთრებას წარმოადგენდა.

2016 წლის 22 აგვისტოს სს „ს...ის“ დაყადალებული მოძრავი ქონება, მათ შორის, ცისტერნა 10 ტონიანი და ცისტერნა რეზერვუარი, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გასხვისდა საჯარო აუქციონის გზით. 2016 წლის 31 აგვისტოს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ გამოცემულ იქნა განკარგულება №A 12032236-027/057, რომლის თანახმად, მოვალე სს „ს...ის“ (...) საკუთრებაში რიცხული ქონების, მათ შორის, 1 ცალი 10 ტონიანი ცისტერნის და 1 ცალი ცისტერნა რეზერვუარის შემძენი 22.08.2016 წელს დასრულებულ, იძულებით საჯარო აუქციონზე გახდა შპს „ზ...ი“ (...). ამავე განკარგულებაში მიეთითა, რომ

აღსრულება განხორციელდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების, მათ შორის №A12032236 სააღსრულებო წარმოების კრედიტორის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარგებლოდ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 03 აგვისტოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/18495-16), შპს „...ოს“ სარჩელი 10 ტონიანი ცისტერნის, ცისტერნა რეზერვუარის და ამნე მექანიზმის (დირესთან ერთად) ყადაღისგან გათავისუფლების შესახებ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, გვაქვს მოცემულობა, როდესაც სააღსრულებო წარმოების ფარგლებში ყადაღა დაედო, ხოლო შემდეგ საჯარო აუქციონის გზით გასხვისდა შპს „...ოს“ მოძრავი ქონება. ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, კერძოდ, აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს განკარგულების ბათილად ცნობაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა არა ის გარემოება, რომ სადავო ქონება მოსარჩელის საკუთრებას არ განეკუთვნება, არამედ მის მიერ დაყენებული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, სასამართლოების განმარტებით, მოცემულ ვითარებაში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა დაუშვებელია და დარღვეულ უფლებებში აღდგენა – შესაძლებელია მხოლოდ სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლი მიუთითებს, მესამე პირის ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევაში, სასამართლოსათვის სამოქალაქო წესით მიმართვის საფუძვლებზე (ქონების ყადაღისაგან განთავისუფლების მოთხოვნით), ხოლო მესამე პირის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში, ზიანის თანხის სამოქალაქო წესით მოვალის მხრიდან ანაზღაურების შესაძლებლობაზე, თუმცა აუცილებელია, რომ შესაბამისი ნორმა განმარტებული იყოს არა ამოგლეჯილად და განცალკევებით, არამედ ერთიანი-სისტემური განმარტების მეთოდის გამოყენებით სხვა ნორმებთან ერთობლიობაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში არის აღნიშნული, „კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს კანონმდებლის ნამდვილი მიზნის, განზრახვის ადეკვატურად. სასამართლომ უნდა გა-

მოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს, კერძოდ, ყოველი ნორმა განმარტებული უნდა იქნეს არა ფრაგმენტულად, არამედ სისტემური და ტელეოლოგიური მეთოდებით, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონი უნდა განიმარტოს აღნიშული პრინციპების დაცვით. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა.“

საკასაციო სასამართლო ყურადღება ამახვილებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, ყადაღას ექვემდებარება მოვალის ყველა ნივთი, გარდა ამ კანონის 45-ე მუხლში ჩამოთვლილი ქონებისა, იგულისხმება, რომ ნივთები, რომლებსაც პოულობენ მოვალესთან, მას ეჯუთვნის.

ამდენად, პრეზუმაცია იმისა, რომ ნივთი, რომელსაც მოვალესთან ვიპოვით ეკუთვნის მას, გულისხმობს იმას, რომ ეს ნივთი სწორედ მოვალის მფლობელობაში და საკუთრებაში უნდა იმყოფებოდეს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე და 44-ე მუხლები უნდა შეფასდეს ერთობლიობაში-სისტემურად, ვინაიდან, სტანდარტი, რომელსაც 32-ე მუხლი გვთავაზობს (კერძოდ, მესამე პირის მიერ ქონების ყადაღისაგან განთავისუფლებს) ან მოვალისაგან ზიანის ანაზღაურებს მოთხოვნის შესახებ) შეეხება იმ ტიპის ქონებას (მოძრავი), რომელიც მართალია აღმოჩენილია მოვალესთან, მაგრამ მესამე პირს მასზე გააჩნია უფლებები. მესამე პირის მხრიდან მტკიცების ტვირთის მაღალი სტანდარტის და ამ გარემოების სასამართლოს მიერ დამატებით შეფასების საჭიროება, გამომდინარეობს სწორედ იმ მოცემულობიდან, რომ მოვალემ მესამე პირის საშუალებით რეალურად თავი არ აარიდოს ვალდებულების შესრულებას.

თუმცა, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზე-

მოაღნიშნული განმარტება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მოვალის ქონება იმყოფება მესამე პირის მფლობელობაში და წარდგენილია მტკიცებულებები მესამე პირთან არსებული ქონებაზე მოვალის საკუთრების უფლების ან მესამე პირის მიმართ მოვალის მოთხოვნის უფლების არსებობის შესახებ. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია დაავალდებულოს მოვალე წარმოადგინოს თავისი ქონების ნუსხა და ინფორმაცია ამ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ. ქონების ნუსხაში მოვალემ უნდა მიუთითოს აგრეთვე მესამე პირის მიმართ თავისი მოთხოვნის საფუძველი და მტკიცებულებები. ქონების ნუსხაში უნდა აღინიშნოს ასევე ის ქონება, რომლის მოთხოვნის უფლებაც აქვს მას მესამე პირის მიმართ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მონინააღმდეგე მხარის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მოვალის მიერ ქონების აღწერის ნუსხაში კონკრეტული ქონების მითითება, ათავისუფლებს აღმასრულებელს შესაბამისი ქონების მიმართ დამატებითი შემოწმებისა და მოკვლევის განხორციელების ვალდებულებისაგან. საკასაციო სასამართლო მონინააღმდეგე მხარის ყურადღებას მიაქცევს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტზე და აღინიშნავს, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო ვალდებულია შეამოწმოს მოვალის მონაცემების სისწორე და სისრულე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია სს „ს...ის“ მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის წარდგენილი ქონების ნუსხაში მითითებული იყო – რეზერვუარი (...ი), მაგრამ იმ პირობებში, როდესაც სს „ს...ს“ სოფელ ...ში, რამდენიმე მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ქონება გააჩნდა, შეუძლებელი იყო, აღმასრულებელს დამატებითი მოკვლევის გარეშე იდენტიფიცირება მოეხდინა, თუ კონკრეტულად რომელ რეზერვუარზე იყო მითითება, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მოცემულ შემთხვევაში ყადაღა დაედო არა მხოლოდ რეზერვუარს, არამედ 10 ტონიან ცისტერნასაც. ამასთან, რეზერვუარის სწორად იდენტიფიცირების პირობებშიც, საჭირო იყო ისეთი დამატებითი მტკიცებულებების არსებობა, რომელიც დაადასტურებდა მოვალის მოთხოვნის უფლებას შპს „...ოს“ საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული რეზერვუარის მიმართ, რაც სააღსრულებო ბიუროსათვის წარდგენილი არ ყოფილა, ხოლო შპს „...ოს“ მიერ შესაბამისი ქონების შპს „ც...ისაგან“ 2014 წლიდან შეძენის და ფლობის ფაქტი, მხარეთა მიერ სადაცო არ გამხდარა, უფრო მეტიც, საქმეზე არსებული კანონიერ ძალაში შესული სასამართლო

გადაწყვეტილებით შესაბამისი ქონების მიმართ დადასტურებულია მოსარჩელის საკუთრების უფლება.

ამდენად, სახეზე გვაქვს ვითარება, როდესაც კონკრეტული ქონება იმყოფებოდა არა მოვალის ან მოვალესთან დაკავშირებული მესამე პირის, არამედ განსახილველ საააღსრულებო წარმოებასთან შემხებლობაში არ მყოფი შპს „...ოს“ მიწის ნაკვეთზე და მის საკუთრებაში. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ მოვალესთან აღმოჩენილი ქონების მიმართ და მოვალესთან საერთოდ შემხებლობაში არ მყოფი პირის საკუთრებაში აღმოჩენილი ქონების მიმართ დადგენილი მოთხოვნები, რაც თავის მხრივ, არ იძლევა არსებითად იდენტური მიდგომის განვითარების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შპს „...ოსათვის“ ქონების ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ჩამორთმევა, მისი შედგომი დაბრუნების პირობის გარეშე, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საკუთრების უფლების ხელშეუქებლობას, განსხვავებით, ისეთი მოცემულობისაგან, როდესაც, მესამე პირის ნივთი იმყოფება მოვალესთან ან მოვალეს აქვთ მესამე პირთან არსებული ნივთის მიმართ მოთხოვნის დაყენების უფლება.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2016 წლის 31 აგვისტოს განკარგულება 10 ტონიანი ცისტერნის და ცისტერნა რეზერვუარის საჯარო აუქციონის გზით განკარგვის ნაწილში არის უკანონო და ენინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების და მათი სამართლებრივი ანალიზის შედეგად აშკარაა ის გარემოება, რომ შპს „...ოს“ საკუთრებაში არსებული 10 ტონიანი ცისტერნის და ცისტერნა რეზერვუარის აუქციონზე გატანა და რეალიზება განხორციელდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, საკაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ საქმეში მესამე პირად ჩაბმული შპს „ზ...ის“ დირექტორს არ უარყვაია, სადაც ქონებაზე სხვისი მფლობელობის შესახებ ინფორმაციის, ნივთის აუქციონზე შექენამდე ცოდნის ფაქტი.

საქართველოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინა-აღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში

აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო გამოიტანს გა-დაწყვეტილებას ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ, თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირ-დაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდვას მას.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით საკა-საციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არ-სებობს სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრი-ვი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

ამდენად, შპს „...ოს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე საქმე-ზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...ოს“ სარჩელი სრულად დაკმაყოფილდება. ამასთან, საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მე-ორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელ-მწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. შესაბამი-სად, მოპასუხეს – სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს უნდა დაე-კისროს შპს „...ოს“ მიერ სარჩელზე, კერძო საჩივარზე, სააპელაციო საჩივარზე და საკასაციო საჩივარზე ( $100+50+150+300$ ) გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ჯამში – 600 (ექვსასი) ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:**

1. შპს „...ოს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 ნოემბრის განჩინება და საქ-მეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „...ოს“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუ-როს 2016 წლის 31 აგვისტოს განკარგულება (A12032236-027/057) 10 ტონიანი ცისტერნის და ცისტერნა რეზერვუარის საკუთრების უფლებით გადაცემის ნაწილში;

5. მოპასუხეს – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შპს „...ოს“ სასამართლოდ დაეკისროს საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 600 (100+50+150+300) (ექვსასი) ლარის ანაზღაურება.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩიტოდება.

## საცდაზმულობის მოზიდვით სააღსრულებო წარმოების შენიშვნის კანონიერება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-66(კ-20)

23 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

#### აღწერილობითი ნაწილი:

13.05.2016წ. ნ. ტ-ემ, ლ. კ-ემ და ლ. შ-ემ სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხებების: სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და თბილისის სააღსრულებო ბიურო მიმართ. მოსარჩელეებმა მოითხოვეს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 07.04.2016წ. №1462 ბრძანების ბათილად ცნობა და თბილისის სააღსრულებო ბიურო-სათვის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 18.07.2003წ. გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებით აღსრულების დავალება.

მოსარჩელეთა განმარტებით, თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში იყო დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული 18.07.2003წ. №2/1431 სააღსრულებო ფურცელი, რომლის მიხედვით, მოვალეებს – ა. ნ-ს და რ. ხ-ს, ლ. კ-ის, ნ. ტ-ისა და ლ. შ-ის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ 18 810 აშშ დოლა-

რის გადახდა. ამავე სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად, ვალის დაფარვის ანგარიშში იძულებით აუქციონზე რეალიზაციას ექვემდებარებოდა იპოთეკის საგანი – თბილისში, ...ას შეს. №...-ში მდებარე ბინა, წილობრივი მონაცემებით – .... სააღსრულებო ფურცლი თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღსასრულებლად წარედგინა 22.08.2003წ., რის საფუძველზეც, თბილისის სააღსრულებო ბიუროს 06.10.2003წ. №... განკარგულებით, რ. ხ-ისა და ა. ნ-ის სახელზე რიცხული ბინის მესაკუთრეები გახდნენ კრედიტორები, შესაბამისად, მოვალეების ნაცვლად, კრედიტორები აღირიცხნენ უძრავი ქონების მესაკუთრეებად, რაზეც გაცემულ იქნა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 21.05.2004წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა რ. ხ-ისა და ა. ნ-ის სარჩელი თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააღსრულებო ბიუროს 06.10.2003წ. №... განკარგულება. აღნიშნული განკარგულება შევიდა კანონიერ ძალაში, თუმცა მისი აღსრულებისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით, რ. ხ-ს და ა. ნ-ს 2014 წლის 11 დეკემბრამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება საჯარო რეესტრში არ წარუდგენიათ. შედეგად, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 21.05.2004წ. გადაწყვეტილება სრულად აღსრულდა 12.03.2015წ. – თბილისში, ...ას შეს. №...-ში მდებარე უძრავი ნივთის ... წილზე დარეგისტრირდა მესამე პირთა საკუთრება და აღდგა ამ უძრავ ნივთზე 29.07.2002წ. გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულება, იპოთეკარებად კვლავ დარეგისტრირდნენ მოსარჩელეები.

მოსარჩელეთა განმარტებით, ვინაიდან თბილისის სააღსრულებო ბიურო არ აგრძელებდა აღსრულებას მათზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, 03.06.2015წ. განცხადებით მიმართეს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, 06.10.2003წ. №... განკარგულებით დასრულებული საქმის წარმოების მასალების გადაცემის მოთხოვნით. აღნიშნულის პასუხად ეცნობათ, რომ წარმოების მასალები აღსრულების ეროვნულ ბიუროს არქივის მასალებში არ იძებნება, თუმცა რეალურად, წარმოების მასალა სამსახურში დაცულია. მოსარჩელეები მიუთითებენ, რომ ვინაიდან თბილისის სააღსრულებო ბიურომ არაჯეროვნად აღასრულა სააღსრულებო ფურცელი, აღმასრულებლის განკარგულების ბათილად ცნობის შემდეგ არ გააგრძელა აღსრულება და ამჟამად უარს აცხადებს აღსრულებაზე ხანდაზმულობის მოტივით, მათ მიადგათ ზიანი და იძულებული არიან, მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, მიმართონ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.09.2016წ. საოქმო განჩინებით, ასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ ა. ნ-ი

და რ. ხ-ის, ამავე სასამართლოს 17.03.2017წ. გადაწყვეტილებით 6. ტ-ის, ლ. კ-ისა და ლ. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სასამართლოს 17.03.2017წ. გადაწყვეტილება სააპე-ლაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელეებმა. აპელანტებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გა-დაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.02.2018წ. განჩინებით ა. ხ-ი ცნობილ იქნა გარდაცვლილი რ. ხ-ის უფლებამონაცვლედ. ამავე 11.07.2019წ. განჩინებით 6. ტ-ის, ლ. კ-ისა და ლ. შ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლე-ლად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 17.03.2017წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობ-რივი გარემოებები:

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 11.07.2003წ. №2/1431 გადაწყვეტილებით ა. ხ-ს და რ. ხ-ს სოლიდარულად დაეკისრათ ლ. კ-ის სასარგებლოდ 8098 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (აქე-დან 4800 ძირითადი თანხა, 288 პროცენტი, 3010 პირგასამტებლო), 6. ტ-ის სასარგებლოდ – 7507 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (აქედან 4450 ძირითადი თანხა, 267 პროცენტი, 2790 პირგასამტებ-ლო) და ლ. შ-ის სასარგებლოდ – 3205 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (1900 ძირითადი თანხა, 114 პროცენტი, 1191 პირგასამტებ-ლო) გადახდა. სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ვა-ლის დაფარვის ანგარიში, საჭიროების შემთხვევაში, იძულებით აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცეოდა იპოთეკის საგანი – თბი-ლისში, ...ას შესახვევ №...-ში მდებარე ბინა, ნილობრივი მონაცემებით.... აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე დიდუბე-ჩუღურეთის რაიო-ნულმა სასამართლომ 18.07.2003წ. გასცა სააღსრულებო ფურცელი.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 11.07.2003წ. №2/1431 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩატარებული პირვე-ლი საჯარო აუქციონის შედეგად, 06.10.2003წ. №... განკარგულებით, რ. ხ-ისა და ა. ხ-ის სახელზე რიცხული, თბილისში, ...ას შესახვევ №...-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის (ლიტ. „ა“), ძირითადი ფართი ... კვ.მ) მესაკუთრეები გახდნენ ლ. კ-ე, 6. ტ-ე და ლ. შ-ე. აღნიშნული განკარ-გულების საფუძველზე, ლ. კ-ე, 6. ტ-ე და ლ. შ-ე დარეგისტრირდნენ საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მესაკუთრეებად.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 21.05.2004წ. გა-დაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააღსრულე-ბო ბიუროს 06.10.03წ. №01/14126 განკარგულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 07.11.2005წ. №104320-05 მიმართვით, საჭიროების

გასვლის შემდეგ, თბილისის სააღსრულებო ბიუროს დაუბრუნდა №01/03-01-5611 სააღსრულებო წარმოების მასალები (კრედიტორები: ლ. კ-ე, ნ. ტ-ე, ლ. შ-ე; მოვალეები: რ. ხ-ი და ა. ნ-ი). აღნიშნული წერილი 08.11.2005წ. ჩაბარდა სააღსრულებო ბიუროს კანცელარიის თანამშრომელს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 25.08.2014წ. №... გადაწყვეტილებით გაუქმდა ლ. კ-ის, ნ. ტ-ისა და ლ. შ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, თბილისში, ...ას შესახვევ №...-ში მდებარებინაზე (ლიტ. „ა“, წილობრივი მონაცემები ...). რეგისტრაციის გაუქმებას საფუძვლად დაედო ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 21.05.2004წ. გადაწყვეტილება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 20.01.2015წ. №... გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნულ ბინაზე დარეგისტრირდა რ. ხ-ისა და ა. ნ-ის საკუთრების უფლება (საფუძველი: 25.02.1999წ. დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება).

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 05.02.2015წ. №... გადაწყვეტილების შესაბამისად, ხსნებულ უძრავ ქონებაზე რ. ხ-ისა და ა. ნ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან ერთად, რეგისტრირებულ მონაცემებში აისახა იპოთეკის უფლება (საფუძველი: 29.07.2002წ. გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება).

თბილისის სააღსრულებო ბიუროს 01.03.2016წ. №2099 წერილით კრედიტორების: ნ. ტ-ის, ლ. კ-ისა და ლ. შ-ის რწმუნებულს ეცნობა, რომ ვინაიდან გასულია აღსასრულებელი გადაწყვეტილების საფუძველზე იძულებითი აღსრულების გატარების – გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა, არ არსებობს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 11.07.2003წ. №2/1431 გადაწყვეტილების ხელახლა აღსრულებისათვის საქმის განახლების სამართლებრივი წინაპიროებები. თბილისის სააღსრულებო ბიუროს 07.04.2016წ. №1462 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა ნ. ტ-ის, ლ. კ-ისა და ლ. შ-ის საჩივარი, თბილისის სააღსრულებო ბიუროს 01.03.2016წ. №2099 წერილის გაუქმებისა და სააღსრულებო წარმოების განახლების თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების სამართლებრივ დასაბუთებაში საპელაციო პალატამ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც ანესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვე

ტილებების აღსრულების წესსა და პირობებს. სასამართლომ მიუ-  
თითა, რომ აღნიშნული კანონის 20.1 მუხლის შესაბამისად, სააღ-  
სრულებო ნარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის (დედ-  
ნის) გარეშე, ხოლო 20.2 მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცე-  
ლი გაიცემა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამ კანონით ექვემდე-  
ბარება აღსრულებას. სააღსრულებო ფურცელი გაიცემა კრედიტორ-  
ზე. ამავე კანონის 25.1 მუხლის თანახმად, აღსრულების ეროვნული  
ბიუროს მიერ სააღსრულებო ნარმოების დაწყების ერთ-ერთ საფუძ-  
ველს წარმოადგენს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტო-  
რის წერილობითი განცხადება და სააღსრულებო ფურცელი. ამავე  
კანონის 34.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, აღსრულება შენ-  
ყდება, თუ გავიდა აღსასრულებელი გადაწყვეტილების იძულებითი  
აღსრულების ხანდაზმულობის ვადა, ხოლო ამავე პუნქტის „პ“ ქვე-  
პუნქტის თანახმად, აღსრულება შენყდება, თუ თანხის გადახდევი-  
ნებასთან დაკავშირებულ საქმეზე სააღსრულებო ნარმოების დაწ-  
ყებიდან გასულია 10 წელი, გარდა აღმინდების გადახდევინების შე-  
სახებ, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, დასახიჩრებით ან  
ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის და-  
კარგით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ, დანაშაულით  
ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის  
ანაზღაურების შესახებ მოთხოვნებისა, აგრეთვე სახელმწიფო, ავ-  
ტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერ-  
თულის ბიუჯეტის სასამართლოდ ან საწინააღმდეგოდ წარმოებუ-  
ლი სააღსრულებო საქმეებისა.

სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო  
კოდექსის 267-ე მუხლზე, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების  
იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძა-  
ლაში შესალის შემდეგ. ამსათანავე, სამოქალაქო კოდექსის 142-ე  
მუხლის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გა-  
დაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის  
ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხან-  
დაზმულობას ექვემდებარება. თუ დადასტურება შეეხება პერიო-  
დულად განმეორებად მოქმედებებს, რომლებიც მომავალში უნდა  
შესრულდეს, მაშინ მათ მიმართ გამოიყენება 129-ე მუხლის მეორე  
ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონით დადგენილია  
იძულებით ღონისძიებათა აღსრულების წესი, იმ შემთხვევაში, რო-  
დესაც მოვალე სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებულ ვალ-  
დებულებას წებაყოფლობით არ აღსრულებას. ამსათანავე, უფლე-  
ბის დარღვევის შემთხვევაში, კანონით დადგენილია ხანდაზმულო-  
ბის ვადა, რომლის განმავლობაშიც პირს აქვს შესაძლებლობა, მო-

ითხოვოს უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებული უფლების სანდაზმულობის ვადის გასვლა მოპასუხეს ათავისუფლებს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების ვალდებულებისგან. ამგვარი უფლების სანდაზმულობა მოსარჩევეს ართმევს უფლებას, მოითხოვოს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის პროცედურის შესაბამისად.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, იძულებითი აღსრულება თბილისის სააღსრულებო ბიუროს 06.10.036. №... განკარგულების ბათილად ცნობის შემდეგ არ დაწყებულა, მოპასუხის მხრიდან დაუშვებელი იყო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის გამოყენება. სასამართლოს განმარტებით, თბილისის სააღსრულებო ბიუროს 06.10.036. №... განკარგულების ბათილად ცნობით, გაბათილებული განკარგულების შედეგები სამართლებრივად გაუქმდა, შესაბამისად, კვლავ აღსასრულებელი იყო დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 11.07.2003 2/1431 გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულება, თანხის გადახდევინების თაობაზე. ამ პირობებში, კვლავ კრედიტორებს დარჩათ ექსკლუზიური უფლებამოსილება, მოეთხოვათ სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება, თუმცა აღნიშნული კრედიტორებს არ განუხორციელებიათ, საქმეს არ ერთვის მტკიცებულება იმისა, რომ კრედიტორებმა დადგენილ ვადაში მიმართეს თბილისის სააღსრულებო ბიუროს, აღსრულების გაგრძელების მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, იძულებით აღსასრულებლად მიქცეული ბინა (მდებარე: თბილისში, ...ას შესახვევი №..., ლიტ „ა“, წილი 06.10.036. №... განკარგულების საფუძველზე, 2003 წლიდან საჯარო რეესტრში აღრიცხული იყო ლ. კ-ის, ნ. ტ-ისა და ლ. შ-ის საკუთრებად. ამდენად, აღნიშნული პირები, როგორც კრედიტორები, არ იყვნენ შეზღუდულები, წარდგენილი სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ორნისძიებების განხორციელების მიზნით, თავად წარედგინათ საჯარო რეესტრში ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 21.05.2004წ. გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააღსრულებო ბიუროს 06.10.036. №... განკარგულება. ამგვარად, კრედიტორები ხელს შეუწყობდნენ იძულებითი ორნისძიებების განხორციელებას სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების სანდაზმულობის ვადის

ფარგლებში. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, 2003 წლის 22 აგვისტოდან 10 წლის ვადის ამონურვის შემდეგ, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 11 ივლისის №2/1431 გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების მოთხოვნა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2019წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრება 6. ტ-ემ, ლ. კ-ემ და ლ. შ-ემ. კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ დავის გადასაწყვეტად არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 142-ე, 121-ე, 131-ე, 135-ე, 138-ე მუხლები, არასწორად განმარტა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „ე“, „კ“ ქვეპუნქტები, გამოიყენა „საჯარო რესტრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის შედეგად, საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებისა და 394-ე მუხლის „ე“, „ე!“ ქვეპუნქტების თანახმად, განჩინების გაუქმებისა საფუძველია. კასატორები მიიჩნევენ, რომ მათი საკასაციო საჩივარი დასაშებია ასკ-ის 34.3 მუხლის „ა“, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საფუძვლებით, საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას: უნდა განისაზღვროს აღსასრულებელი გადაწყვეტილების ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „ე“, „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად. მითითებული ქვეპუნქტებით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის საკითხებზე საქართველოს უზრუნველყოფითი სამართლოს მანამდე გადაწყვეტილება არ მიუღია. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რამაც არ-სებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

კასატორები მიიჩნევენ, რომ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 18.07.2003წ. გაცემული №2/1431 სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა გასული არ არის. კასატორები მიუთითებენ, რომ სამოქალაქო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამავე კოდექსის 142.1 მუხლის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული

მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება. ამას-თან, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, აღსრულება შეწყდება, თუ გავიდა აღ-სასრულებელი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ხანდაზ-მულობის ვადა, ხოლო „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღსრულება შეწყდება, თუ თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმე-ზე სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან გასულია 10 წელი. კასა-ტორები მიუთითებენ, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონი, ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტად, პირველ შემ-თხვევაში ზოგადად ადგენს „იძულებითი აღსრულების“ დაწყების მომენტს, ხოლო მეორე შემთხვევაში, მიუთითებს სააღსრულებო წარმოების დაწყების მომენტზე. მოცემულ შემთხვევაში, კრედი-ტორებს თავიანთი უფლების დარღვევის შესახებ საჯარო რეესტრის მეშვეობით შეეძლოთ შეეტყოთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოვალე-ებმა ნაწილობრივ აღასრულეს ვაკე-საბურთალოს რაიონული სასა-მართლოს 21.05.2004წ. სასამართლო გადაწყვეტილება, 2014 წლის 11 დეკემბერს. სწორედ ამ დროს გაუქმდა ადრე არსებული კრედი-ტორების რეგისტრაცია, თუმცა საჯარო რეესტრის მონაცემებით, რ. ხ-ისა და ა. ნ-ის რეგისტრაციის აღდგენას და იპოთეკის უფლების აღდგენას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნულის გამო, ლ. კ-ეს, ნ. ტ-ეს და ლ. შ-ეს სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე მოთხოვნის რეალი-ზაციის უფლება სრულად მიეცათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც იპოთე-კით დატვირთულ ნივთზე საჯარო რეესტრის ჩანაწერით აღდგა რ. ხ-ისა და ა. ნ-ის საკუთრების უფლება. ამდენად, კასატორების მო-საზრებით, სამოქალაქო კოდექსის 131-ე მუხლის მიზნებისათვის, მათი მოთხოვნის წარმოშობის მომენტად, აღმასრულებლის 06.10.2003წ. ... განკარგულების ბათილად ცნობის შემდგომ, ითვლე-ბა დრო 2015 წლის 12 მარტიდან. აღნიშნულ არგუმენტაციას ამყა-რებს სამოქალაქო კოდექსის 131-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედება-ზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეე-ლო განეხორციელებინა ეს მოქმედება. მოცემულ შემთხვევაში, სა-აღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულების განახლების მოთხოვნას კრედიტორები რეალურად ვერ განახორციელებდნენ 2015 წლის 12 მარტამდე, ვინაიდან თბილისის დიდუბე-ჩულურეთის რაიონული სასამართლოს 18.07.2003წ. 2/1431 სააღსრულებო ფურ-ცლისა და თბილისის სააღსრულებო ბიუროს 06.10.2003წ. №01/ 14-126 განკარგულების საფუძველზე, ისინი ისედაც აღრიცხვულნი იყვნენ უძრავი ნივთის მესაკუთრებად, რაც იმას ნიშნავს, რომ მა-თი უფლება აღსრულებაზე რეალიზებული იყო, ანუ ასეთი უფლე-

ბის დარღვევას მათ მიმართ ადგილი ფაქტოპრივად არ ჰქონდა, ხოლო სააღსრულებო ბიუროს 06.10.2003წ. №01/14126 განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ რ. ხ-ისა და ა. ხ-ის სასარგებლოდ 21.05.2004წ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პრეროგატივა და საჯარო რეესტრში შესაბამისი რეგისტრაციის გაუქმების უფლება მინიჭებული ჰქონდათ ამ საქმეში რ. ხ-სა და ა. ხ-ს, რომლებმაც ეს უფლება სრულად და კანონიერად 2015 წლის 12 მარტამდე არ განახორციელება.

კასატორების განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 135-ე მუხლის თანახმად, დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია, ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელების სახელზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულების განახლების უფლება („მოთხოვნის უფლება“) წარმოიშვა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რ. ხ-ისა და ა. ხ-ის მიერ აღსრულებულ იქნა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 21.05.2004წ. გადაწყვეტილება, შესაბამისად, სააღსრულებო ბიუროს 06.10.2003წ. 01/14-126 განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ სასამართლოს 21.05.2004წ. გადაწყვეტილების აღსრულებამდე – 2015 წლის 12 მარტამდე, თბილისის დოდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 18.07.2003წ. 2/1431 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულების განხორციელების ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებული იყო.

კასატორების განმარტებით, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 21.05.2004წ. გადაწყვეტილებით აუქციონის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი, აღსრულების ბიურომ კი რეაგირება არ მოახდინა მათ განცხადებებზე, აღსრულების განახლების შესახებ და აღსრულების მიზნით არც ხელახლი აუქციონი დანიშნა. სწორედ ამიტომ, კრედიტორები იძულებული გახდნენ, 16.12.2005წ. ადმინისტრაციული სარჩელი შეეტანათ სასამართლოში, მოპასუხე თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს 30.12.2005წ. განჩინებით სარჩელზე დადგინდა ხარვეზი, ხოლო შემგომში, საქმეს მსვლელობა არ მოჰყოლია.

კასატორები მიუთითებენ, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ამ აქტით დადგენილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას გულისხმობს. მოცემულ შემთხვევაში, ის სამართლებრივი შედეგები, რაც დადგა თბილისის სააღსრულებო ბიუროს 06.10.2003წ. 01/14-126 განკარგულებით, ამ განკარგულების ბათილად ცნობის გამო, გაუქმებულად ითვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორების დაკვეთა თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, 18.07.2003წ. №2/1431 სააღსრულებო ფურცლის აღსრულე-

ბის შესახებ, სწორედ თბილისის სააღსრულებო ბიუროს (და არა კრე-დიტორის) ვალდებულებაში შედიოდა. ამ სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულების გაგრძელებისა და შესაბამისი მოვალე-ობის შესრულების შეხსენების მიზნით, კრედიტორებს არ ევალე-ბოდათ ბიუროსთვის ახალი განცხადების წარდგენა, მით უფრო, რომ ამ სააღსრულებო ფურცლის კრედიტორებისთვის დაბრუნებას, ან/და აღსრულებისთვის კრედიტორების მიერ წინასწარ გადახდილი საზღაურის დაბრუნებას, აღსრულების შეწყვეტას ადგილი არ ჰქონია. ამდენად, კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამარ-თლოს დასკვნა, თითქოს კვლავ კრედიტორებს რჩებათ ექსკლუზიური უფლებამოსილება, სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების მოთხოვნისათვის, უსაფუძვლოა და არ უნდა იქნეს გა-ზიარებული. სააღსრულებო ფურცელი კვლავ სააღსრულებო ბიუ-როს წარმოებაშია და მასზე წარმოება არ შეწყვეტილა.

კასატორების მოსაზრებით, საფუძველს მოკლებულია, სააღ-სრულებო ფურცლით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულე-ბის ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საჯარო რეესტრი-სათვის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 21.05.2004წ. გადაწყვეტილების წარდგენის ვალდებულების მათვის დაკისრე-ბა. სასამართლოს კანონიერ ძალში შესული გადაწყვეტილების აღ-სრულების მოთხოვნის უფლება კანონით კრედიტორის ვრეროგა-ტივაა, ხოლო ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 21.05.2004წ. გადაწყვეტილების მიხედვით, კრედიტორებს რ. ხ-ი და ა. ხ-ი წარმოადგენდნენ. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს 06.10.03წ. განკარგულების ბათილად ცნობით, გაბათილებული განკარგულების შედეგები სა-მართლებრივად გაუქმდა, შესაბამისად, კვლავ აღსასრულებელი იყო დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 11.07.2003წ. №2/1431 გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულება თანხის გა-დახდევინების თაობაზე, თუმცა სასამართლომ სააღსრულებო ბი-უროსთვის აღსასრულებლად ერთხელ უკვე ჩაბარებული სააღსრუ-ლებო ფურცლის აღსრულების მოთხოვნის ვალდებულება, კრედი-ტორებს დააკისრა, მაშინ, როდესაც მითითებული განკარგულების გაუქმების მიზეზი, სწორედ სააღსრულებო ბიუროს მიერ ცუდად ჩატარებული სააღსრულებო მოქმედება გახდა და შესაბამისად, ეს მოქმედება, მას ამ განკარგულების ბათილად ცნობის შემდეგ, თავადვე უნდა დაესრულებინა, მით უფრო იმ პირობებში, როდე-საც სააღსრულებო ბიუროს მხრიდან ადგილი არ ჰქონია სააღსრუ-ლებო წარმოების შეწყვეტას ან/და აღსრულებისთვის მიღებული გასამრჯელო/საზღაურის კრედიტორისთვის დაბრუნებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 03.02.2020წ. განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. ტ-ის, ლ. კ-ისა და ლ. შ-ის საკასაციო საჩივარი. ამავე სასამართლოს 04.03.2020წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ტ-ის, ლ. კ-ის და ლ. შ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმესთან დაკავშირებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 11.07.2003წ. №2/1431 გადაწყვეტილებით ა. ნ-ს და რ. ხ-ს სოლიდარულად დაეკისრათ ლ. კ-ის სასარგებლოდ 8098 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (აქედან 4800 ძირითადი თანხა, 288 პროცენტი, 3010 პირგასამტებლო), ნ. ტ-ის სასარგებლოდ – 7507 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (აქედან 4450 ძირითადი თანხა, 267 პროცენტი, 2790 პირგასამტებლო) და ლ. შ-ის სასარგებლოდ – 3205 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (1900 ძირითადი თანხა, 114 პროცენტი, 1191 პირგასამტებლო) გადახდა. სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ვალის დაფარვის ანგარიშში, საჭიროების შემთხვევაში, იძულებით აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცეოდა იპოთეკის საგანი – თბილისში, ...ას შესახვევ №...-ში მდებარე ბინა, ნილობრივი მონაცემებით.... აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 18.07.2003წ. გასცა სააღსრულებო ფურცელი.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 11.07.2003წ. №2/1431 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩატარებული პირველი საჯარო აუქციონის შედეგად, 06.10.2003წ. №... განკარგულებით, რ. ხ-ისა და ა. ნ-ის სახელზე რიცხული, თბილისში, ...ას შესახვევ №...-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის (ლიტ. „ა“, ძირითადი ფართი ... კვ.მ) მესაკუთრები გახდნენ ლ. კ-ე, ნ. ტ-ე და ლ. შ-ე. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე, ლ. კ-ე, ნ. ტ-ე და ლ. შ-ე 24.10.2003წ. დარეგისტრირდნენ საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მესაკუთრებად.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 21.05.2004წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ა. ნ-ის და რ. ხ-ის სარჩელი, ბათილად იქნა ცნობილი ზემოაღნიშნული აუქციონის შედეგი – თბილისის სააღსრულებო ბიუროს 06.10.03წ. №01/14126 განკარგულე-

ბა. სასამართლომ ჩათვალა, რომ დარღვეული იყო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის მოთხოვნა: იძულებითი აუქციონის ოქმში არ იყო მითითებული მასში მონაწილე პირთა ვინაობა და ოქმი არ იყო ხელმონერილი მათი მხრიდან. ამასთან, არასრულყოფილად იყო შედგენილი 05.08.2003წ. აუდიტის დასკვნა – შეფასებული იყო არა იპოთეკით დატვირთული ფართი, არამედ ამავე მისამართზე მდებარე 23 კვ.მ ფართის ერთი ოთახი. ამასთან, აუქციონზე გაიყიდა არა მხოლოდ ერთი ოთახი, არამედ – დამხმარე ფართი და ავტოსადგომიც.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 25.08.2014წ. №... გადაწყვეტილებით გაუქმდა ლ. კ-ის, ნ. ტ-ისა და ლ. შ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, თბილისში, ...ას შესახვევ №...-ში მდებარე ბინაზე (ლიტ. „ა“, ნილობრივი მონაცემები ...). რეგისტრაციის გაუქმებას საფუძვლად დაედო ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 21.05.2004წ. გადაწყვეტილება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 23.01.2015წ. №...-03 გადაწყვეტილებით, თბილისში, ა. ...ას შეს. №...-ში მდებარე 175 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობაზე დარეგისტრირდა ა. ნ-ისა და რ. ხ-ის საკუთრების უფლება (საფუძველი: 25.02.1999წ. დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება), ხოლო 30.01.2015წ. №... გადაწყვეტილებით, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ამავე უძრავ ნივთზე დარეგისტრირდა ნ. ს-ის საკუთრების უფლება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის 05.02.2015წ. №... გადაწყვეტილებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განცხადების საფუძველზე, ბათილად იქნა ცნობილი ზემოაღნიშნული რეგისტრაციის შესახებ 23.01.2015წ. №...-03, 30.01.2015წ. №... გადაწყვეტილებები. ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა, რომ 23.01.2015წ. და 30.01.2015წ. გადაწყვეტილებების მიღების დროს არ იქნა გათვალისწინებული უძრავ ნივთზე იპოთეკის უფლების არსებობა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ზემოაღნიშნული 05.02.2015წ. №... გადაწყვეტილების საფუძველზე, გაუქმდა საკუთრების უფლების რეგისტრაცია თბილისში, ა. ...ას შეს. №...-ში მდებარე 175 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობაზე, ხოლო სააგენტოს 12.03.2015წ. გადაწყვეტილებით უძრავ ნივთზე კვლავ დარეგისტრირდა რ. ხ-ისა და ა. ნ-ის საკუთრების უფლება (საფუძველი: 25.02.1999წ. ნასყიდობის ხელშეკრულება). ამასთან, მითითებულ რეგისტრირებულ მონაცემებში აისახა ნ. ტ-ის, ლ. შ-ისა და ლ. კ-ის იპოთეკის უფლება (საფუძველი: 29.07.2002წ. გაფორმებული სეს-

ხისა და იპოთეკის ხელშეკრულება).

03.06.2015წ. ლ. კ-ემ, ნ. ტ-ემ და ლ. შ-ემ განცხადებით მიმართეს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის – ზ. თ-ის 06.10.2003წ. №... განკარგულებით დასრულებული სააღსრულებო წარმოების მასალების გადაცემის მოთხოვნით. 05.06.2015წ. №49437 წერილით სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ განმცხადებლებს აცნობა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს არქივის მასალებში არ იძებნება სააღსრულებო წარმოება, სადაც კრედიტორები არიან ლ. კ-ე, ნ. ტ-ე და ლ. შ-ე, ხოლო მოვალეები – ა. ნ-ი და რ. ხ-ი.

08.06.2015წ. ლ. კ-ემ, ნ. ტ-ებ და ლ. შ-ემ კვლავ მიმართეს განცხადებით სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვეს ინფორმაცია: როდის შევიდა თბილისის სააღსრულებო ბიუროში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 18.07.2003წ. გაცემული №2/1431 სააღსრულებო ფურცელი, ვინ ჩაატარა წარმოება აღნიშნულ სააღსრულებო ფურცელზე და სააღსრულებო საქმის განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში, მოთხოვნილ იქნა შესაბამისი მტკიცებულების გადაცემა.

29.09.2015წ. ლ. კ-ემ, ნ. ტ-ებ და ლ. შ-ემ განცხადებით მიმართეს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 18.07.2003წ. გაცემული №2/1431 სააღსრულებო ფურცლის ხელახლა აღსრულება, ხოლო 26.02.2016წ. აღნიშნულმა პირებმა განმეორებით (შეხსენების მიზნით) მიმართეს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 18.07.2003წ. გაცემული №2/1431 სააღსრულებო ფურცლის აღსრულების დაჩქარება მოითხოვეს. 26.02.2016წ. განცხადების პასუხად, თბილისის სააღსრულებო ბიურომ 01.03.2016წ. №2099 წერილით ნ. ტ-ის, ლ. კ-ისა და ლ. შ-ის რწმუნებულს აცნობა, რომ გასულია აღსასრულებელი გადაწყვეტილების საფუძველზე იძულებითი ღონისძიებების გატარების – გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების ხანდაზმულობის ვადა, შესაბამისად, არ არსებობს სააღსრულებო საქმის განახლების სამართლებრივი წინაპირობები (თბილისის სააღსრულებო ბიურომ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „ე“, „კ“ ქვეპუნქტებზე).

თბილისის სააღსრულებო ბიუროს 07.04.2016წ. №1462 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა ნ. ტ-ის, ლ. კ-ისა და ლ. შ-ის საჩივარი, თბილისის სააღსრულებო ბიუროს 01.03.2016წ. №2099 წერილის გაუქმების, სააღსრულებო წარმოების დაწყების დავალებისა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 18.07.2003წ. №2/1431 გადაწყვეტილების ხელახლა აღსრულების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე მოსარჩეულეთა ინტერესი უკავშირდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის აღსრულებას. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო მოთხოვნის უარყოფის საფუძვლად მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „ე“ და „კ“ ქვეპუნქტებზე და მიიჩნევს, რომ გასულია აღსასრულებლი სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა, ამასთან, თანხის გადახდევნებასთან დაკავშირებულ საქმეზე სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან გასულია 10 წელი. ამდენად, დავის გადაწყვეტის მიზნით, განსახილველ შემთხვევაში, ერთი მხრივ, უნდა დადასტურდეს კანონით დადგენილ ვადაში სააღსრულებო წარმოების დაწყების ფაქტი, ხოლო მეორე მხრივ, სააღსრულებო წარმოების დაწყებულად მიჩნევის შემთხვევაში – აღსრულების ვადის გასვლის გამო სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძვლის არსებობა. საკასაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს – აქვს თუ არა ადგილი სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის აღსრულების შეუძლებლობას და სწორად მიუთითა თუ არა სადაც საკითხთან მიმართებაში სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „ე“, „კ“ ქვეპუნქტებზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონებში, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში მითითებული ვადების მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესები. სამოქალაქო კოდექსის ნორმების მიზნებისათვის, ხანდაზმულობა უკავშირდება მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობიდან ხანგრძლივი დროის გასელას, რაც გაელენას ახდენს მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაფასებელია – განპირობებულია თუ არა ურთიერთობის მონაწილის მხრიდან კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში სათანადო ზომების შიულებლობა, უფლების რეალიზებისადმი ინტერესის დაკარგვით. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ხანდაზმულია თუ არა მოთხოვნა, უნდა დადგინდეს ხანდაზმულობის დამადასტურებელ და გამომრიცხავ გარემოებათა დამდგენი მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევის გზით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128.1 მუხლის შესაბამისად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკვების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა, ხოლო 128.3 მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის

თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 142.1 მუხლის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების ვადა წარმოადგენს კრედიტორის უფლებადამცავ ნორმას, რამდენადაც უფლება მოთხოვნაზე, თუნდაც ის შეეხებოდეს სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებულ მოთხოვნას, არ შეიძლება უფლების მომპოვებელ პირს გააჩნდეს დროში შეუზღუდავად. კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ეს უფლება უნდა შეწყდეს. სწორედ სამოქალაქო კოდექსის მითითებული მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც გასულია აღსასრულებელი სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 142.1 მუხლით გათვალისწინებული ათვლიანი ვადის ათვლა უკავშირდება შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას („ბუნებრივია, 10- წლიანი ვადის ათვლა იწყება მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ (სუს 28.07.2017წ. №ას-871-813-2017 განჩინება). მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 11.07.2003წ. №2/1431 გადაწყვეტილებით დადასტურდა 29.07.2002წ. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნა: ა. ნ-ს და რ. ხ-ს სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელეთა სასარგებლოდ თანხის ანაზღაურება, ამასთანავე, სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ვალის დაფარვის ანგარიშში, საჭიროების შემთხვევაში, იძულებით აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცეოდა იპოთეკის საგანი – თბილისში, ...ას შესახვევ №...-ში მდებარე ბინა, წილობრივი მონაცემებით.... აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 18.07.2003წ. გასცა სააღსრულებო ფურცელი. ამდენად, უდაოვა, რომ გადაწყვეტილება, რომლითაც დადასტურდა მოსარჩელეთა (კრედი-

ტორთა) უფლება, კანონიერ ძალაში შევიდა 2003 წელს. ამასთანავე, აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე სააღსრულებო ფურცელი გაცემული და სააღსრულებო ბიუროში წარდგენილა იმავე – 2003 წელს, ანუ სამოქალაქო კოდექსის 142.1 მუხლით გათვალისწინებულ ვადაში და ამ ვადის დაცვით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 142.1 მუხლისა და შესაბამისად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია არა ის გარემოება, რომ 2003წ. მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან გასულია 10 წელზე შეტი, არამედ ის, რომ სააღსრულებო ფურცელი გაიცა და იძულებითი აღსრულების მიზნით თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარედგინა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან დადგენილ ვადაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლზე, რომლითაც გათვალისწინებულია ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე საკუთარი მოთხოვნის დაცვის მიზნით ავლენს ნებას და მიმართავს შესაბამის ღონისძიებებს დარღვეული უფლების აღსადგენად, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკაფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორიცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. ამასთანავე, სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლის თანახმად, თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასამართლოს 11.07.2003წ. №2/1431 გადაწყვეტილებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცელის კანონით დადგენილ ვადაში აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენით შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა, რამდენადაც უფლებამოსილმა პირმა საკუთარი მოთხოვნის დაცვის მიზნით განახორციელა შესაბამისი ღონისძიება. ამდენად, მოპასუხის მხრიდან, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტზე მითითებას და ამ საფუძვლით აღსრულების შეწყვეტას საკასაციო სასამართლო არასწორად და დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან შეუსაბამოდ მიიჩნევს.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ 142.1 მუხლით განსაზღვრული ათწლიანი ხანდაზმულობის ვადის გარდა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის რეალიზაციის დაწყების ვადას გულისხმობს, არსებობს აგრეთვე სააღსრულებო წარ-

მოების მიმდინარეობის კანონით განსაზღვრული ვადა, რომლის გას-  
ვლაც იწვევს უკვე დაწყებული სააღსრულებო წარმოების შეწყვე-  
ტია. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „კ“  
ქვეპუნქტის თანახმად, სააღსრულებო წარმოება წყდება, თუ თან-  
ხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე სააღსრულებო წარ-  
მოების დაწყებიდან გასულია 10 წელი, გარდა ალიმენტის გადახდე-  
ვინების შესახებ, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, დასახიჩ-  
რებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩე-  
ნალის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ, და-  
ნაშაულით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევით მიყენებუ-  
ლი ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნებისა, აგრეთვე საქარ-  
თველოს სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველი  
ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ ან სანინააღმდეგოდ წარმოე-  
ბული სააღსრულებო საქმეებისა (მნიშვნელოვანია, რომ კანონის 34.1  
მუხლს „კ“ ქვეპუნქტი დაემატა 7.12.2010წ. განხორციელებული ცვლი-  
ლებით, ხოლო 34.1 მუხლის „კ“ ქვეპუნქტში 17.06.2011წ. და  
15.07.2020წ. განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, უცვლელად  
დარჩა ჩანაწერი: „თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქ-  
მეზე სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან გასულია 10 წელი“. ცვლი-  
ლება განიცადა ამ ნორმით გათვალისწინებულმა საგამონაკლისო შემ-  
თხვევებმა, რომლებზეც არ ვრცელდება 34.1 მუხლით გათვალისწი-  
ნებული აღსრულების შეწყვეტის წესი).

როგორც აღინიშნა, 2003 წლის კანონიერ ძალაში შესული სასა-  
მართლო გადაწყვეტილების აღსრულების ინტერესის არსებობა  
მოსარჩევეთა მხრიდან დადასტურდა იმავე წელს სააღსრულებო  
ფურცლის წარდგენით თბილისის სააღსრულებო ბიუროში. შესაბა-  
მისად, გამოირიცხა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანო-  
ნის 34.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აღსრულე-  
ბის შეწყვეტის საფუძვლის არსებობა. რაც შეეხება სააღსრულებო  
ფურცლის თბილისის სააღსრულებო ბიუროში წარდგენიდან 10  
წლის გასვლას და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის  
34.1 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აღსრულების  
შეწყვეტის საფუძვლის წარმოშობას, საკასაციო სასამართლოს მო-  
საზრებით, სააღსრულებო წარმოების განხორციელებაზე უფლე-  
ბამოსილი ორგანო ამ შემთხვევაშიც არასწორად ახდენს საქმეს-  
თან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მისადაგებას კა-  
ნონის 34.1 მუხლის „კ“ ქვეპუნქტთან და სააღსრულებო ფურცლის  
წარდგენიდან კანონიერ ძალაში არსებული გადაწყვეტილების 10  
წლის განმავლობაში აღუსრულებლობას უსაფუძვლოდ უკავშირებს  
იმ ფაქტს, რომ მითითებულ პერიოდში მოსარჩევებს, როგორც  
2003 წლის სააღსრულებო ფურცელთან მიმართებაში კრედიტო-

რებს, აღსრულების ინტერესი არ გამოუხატავთ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2010 წლის 7 დეკემბრამდე მოქმედი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, სააღსრულებო მოქმედებების დაწყების საფუძველს წარმოადგენდა იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადება და სააღსრულებო ფურცელი, ხოლო 25.07.2008წ. ცვლილებამდე მოქმედი რედაქციის კანონის 25.2 მუხლის შესაბამისად, აღსრულების დაწყების ეტაპზე სასამართლო აღმასრულებელი უზრუნველყოფდა აღსრულების შესახებ უწყების ჩაბარებას მოვალის, კრედიტორისა და სხვა მონაწილე პირებისათვის. აღსრულების დაწყების შესახებ მხარეთა ინფორმირების ვალდებულების შესახებ ჩანაწერს შეიცავდა ასევე 2008 წლიდან 2010 წლის 7 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25.4 მუხლი, ხოლო 2010 წლის 7 დეკემბრის ცვლილების განხორციელების შემდეგ, მსგავსი შინაარსის შემცველია კანონის 25.6 მუხლი. საყურადღებოა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 2011 წლის 28 დეკემბერს განხორციელებული ცვლილების შემდეგ დაემატა 25<sup>1</sup> მუხლი, რომელიც გამოყოფს თანხის გადახდევინების საქმეებზე სააღსრულებო წარმოების ეტაპებს: ა) აღსრულების დაწყება; ბ) ქონებაზე ყადაღის დადება; გ) აუქციონის ჩატარება; დ) კრედიტორისათვის თანხის გადაცემა. ამავე ცვლილებების შემდეგ, კანონის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსრულების დაწყების შესახებ სააღსრულებო წარმოების მხარეთა ინფორმირება ხდება ამ მუხლის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლო უწყების ჩაბარებისათვის დადგენილი წესით“. ამასთან, 25-ე მუხლს დაემატა მე-7 პუნქტი, რომელიც ასახავს სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან არაუგინეს 5 დღის ვადაში მოვალისათვის მისანოდებელი ინფორმაციის შინაარსს (25.7 მუხლის „ა-ე“ ქვეპუნქტები). საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 30.09.2008წ. №221 ბრძანებით დამტკიცებულ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ ინსტრუქციის“ 12.3 მუხლზე, რომლის თანახმად, აღმასრულებლისთვის გადაცემულ თითოეულ სააღსრულებო დოკუმენტთან დაკავშირებით იხსნება სააღსრულებო წარმოება დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომრით, ხოლო 12.8 მუხლის თანახმად, სააღსრულებო წარმოების დასრულების შესახებ დგება შესაბამისი დოკუმენტი აღნიშვნით: „აღსრულებული“, „შეწყვეტილი“ ან „დაბრუნებულია“.

ზემოაღნიშნული ნორმების ერთობლივი განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ მართალია, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“

კანონის შესაბამისად, კრედიტორის წერილობითი განცხადება და სააღსრულებო ფურცელი ქმნის სააღსრულებო მოქმედების დაწყების საფუძველს, თუმცა აღნიშნული ავტომატურად არ ნიშნავს სააღსრულებო წარმოების დაწყებას. საამისოდ აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს შესაბამის სააღსრულებო მოქმედებებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი, თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ სააღსრულებო საქმეზე ათწლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლას უკავშირებს სააღსრულებო წარმოების დაწყების მომენტს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, შესაფასებელია – უნდა ჩაითვალოს თუ არა სააღსრულებო წარმოება დაწყებულად 2003 წელს გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე, იმ პირობებში, როდესაც 2004 წელს მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებით, მითითებული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე თავდაპირველად განხორციელებული აღსრულების (აუქციონის) შედეგები გაუქმდა, ხოლო სააღსრულებო ბიუროს, მითითებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მასთან არსებულ 2003 წლის სააღსრულებო ფურცელზე წარმოება ხელახლა არ დაუწყია და კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სააღსრულებო მოქმედებები არ განუხორციელება.

საკასაციო პალატა საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 21.05.2004ნ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააღსრულებო ბიუროს 06.10.03ნ. №01/14126 განკარგულება. სასამართლომ ჩათვალა, რომ დარღვეული იყო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მოთხოვნები, იძულებითი აუქციონის ოქმი არ შეიცავდა სათანადო მონაცემებს, ამასთანავე, არასრულყოფილად იყო შედგენილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების შეფასების შესახებ აუდიტის დასკვნა. ამდენად, 21.05.2004ნ. სასამართლო გადაწყვეტილებით თბილისის სააღსრულებო ბიუროს 06.10.03ნ. №01/14126 განკარგულების ბათილად ცნობამ გამოიწვია თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდ ერთი შერივ, აუქციონით რეალიზებულ უძრავ ნივთზე საჯარო რეესტრში ლ. კ-ის, ნ. ტ-ისა და ლ. შ-ის სახელზე 24.10.2003ნ. რეგისტრირებული საკუთრების უფლების გაუქმება, ხოლო მეორე მხრივ, შესაბამისი სააღსრულებო წარმოების ხელახლა დაწყება და აუქციონის ჩატარებისას გამოვლენილ ხარვეზების აღმოფხვრისკენ მიმართული ქმედებების განხორციელება, რაც კანონისმიერი ქმედების სავალდებულობის პრინციპიდან გამომდინარე, წარმოადგენს აღმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ 21.05.2004ნ. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ

ძალაში შესვლის შემდეგ, 2004 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში, აღ-სრულების ეროვნულ ბიუროში დაიწყო წარმოება 2003 წელს გაცე-მულ სააღსრულებო ფურცელთან დაკავშირებით. ამდენად, საკასა-ციონ სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ თბილისის სააღსრუ-ლებო ბიუროს 06.10.036. №... განკარგულების ბათილად ცნობის შემ-დეგ აღსრულების ეროვნულ ბიუროში იძულებითი აღსრულება არ დაწყებულა, შესაბამისად, ათწლიანი ხანდაზმულობის ვადის ათველა, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვერ დაუკავშირდება მხო-ლოდ სააღსრულებო ფურცლის 2003 წელს წარდგენის ფაქტს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააღსრულებო წარმოების ხელახლა დაწყება და სააღსრულებო მოქმედებების განხორციელება დამოკიდებუ-ლი იყო მოსარჩელეთა აქტივობაზე, მათი მხრიდან აღსრულების შეხსეებაზე. საკასაციო სასამართლო პრინციპულად მიიჩნევს იმ გარემოებებს, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ აუქციონის შედეგები ბათილად ცნო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოების პროცესში კანონის დარღვევის საფუძვლით, შე-საბამისად, იმ პირობებში, როდესაც კრედიტორების (კასატორე-ბის) მხრიდან არ არსებობდა დამატებითი ნების გამოვლენის ვალ-დებულება (მათ შორის, 2003 წელს გაცემულ სააღსრულებო ფურ-ცელთან დაკავშირებული ხელახალი აღსრულების მიზნით შესაბა-მისი სააღსრულებო საფასურის გადახდის ვალდებულება, რასაც თავადვე ადასტურებს ადმინისტრაციული ორგანო), სააღსრულე-ბო წარმოება, აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის პირობებ-ში, უნდა დასრულებულიყო იმავე წარმოების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვედა ინსტანციის სასა-მართლოს მსჯელობას ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამარ-თლოს 21.05.2004წ. გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულე-ბის კასატორებისათვის (კრედიტორებისათვის) გადაკისრების თა-ობაზე და აღნიშნავს:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312.1 მუხლის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სის-რულის პრეზუმუცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწო-რად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. დადგენილია, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს 06.10.036. №01/14126 განკარ-გულების საფუძველზე, ლ. კ-ე, ნ. ტ-ე და ლ. შ-ე 2003 წლის 24 ოქ-ტომბრიდან დარეგისტრირდნენ საჯარო რეესტრში უძრავი ქონე-ბის მესაკუთრეებად. შესაბამისად, კრედიტორები 2003 წლიდან 2015 წლის მარტამდე (საჯარო რეესტრში იპოთეკის უფლების აღ-დგენამდე), რეგისტრაციის საფუძველზე იყვნენ უძრავი ნივთის მესაკუთრეები და მათ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს

21.05.2004წ. გადაწყვეტილების აღსრულების მიმართ არ გააჩნდათ კანონიერი ინტერესი, მითითებული გადაწყვეტილების აღსრულებასთან მიმართებაში ისინი არ წარმოადგენდნენ არც კრედიტორებს და არც მოვალეებს, შესაბამისად, დაუშვებელია, მოსარჩევებს დაეკისროთ საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედების განხორციელების გალდებულება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს სახელით მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მათ უპირობო და სავალდებულო შესრულებას. სასამართლო აქტების ეფექტური აღსრულების განხორციელების აუცილებლობა დადგენილია როგორც ეროვნული, ისე ევროპული სასამართლო პრაქტიკით. საქართველოს კონსტიტუციის 62.1 მუხლის თანახმად, სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა. ამასთან, საქართველოს საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში ცალკე მითითებული არ არის, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა აღნიშნული უფლება, როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი მე-6 მუხლის გაგებით, კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა ხელს შეუწყობდა სასამართლოს საბოლოო, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებლობას ერთი მხარის საზიანოდ. გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებებით, მაგრამ ზიანს არ უნდა აყენებდეს მე-6 მუხლით დაცული უფლების არს (Hornsby c. Grèce, 19 mars 1997, §40, Recueil 1997-II; „აპოსტილი საქართველოს წინააღმდეგ, N40765/02, §37, 28 ნოემბერი, 2006 წელი; დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ, №8252/08, §43, 12 ივნისი, 2012 წელი; შპს „ამატ. ჯი“ და მებალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, №2507/03, §47, 27 სექტემბერი, 2005 წელი; შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს

წინააღმდეგ, №28537/02, გ 42, 27 სექტემბერი, 2005 წელი).

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილების გადაწყვეტილების აღუსრულებლობა უსაგნოს ხდის სააღსრულებო წარმოებას, რასაც შედეგად მოსდევს სახელმწიფო ბრივი თვალსაზრისით მძიმე შედეგი – მართლმსაჯულების აღუსრულებლობა. „...ჯეროვანი და ეფექტური მართლმსაჯულება მიიღწევა არა მხოლოდ სასამართლოს მიერ კონკრეტული კონფლიქტების გადაწყვეტის, არამედ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების დროული აღსრულების უზრუნველყოფით..“ (სუს 07.03.2013წ. №ბს-727-711(კ-12) განჩინება). „...სააღსრულებო სისტემის არსებობის მიზანი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული, აღსრულებას დაქვემდებარებული აქტების სისრულეში მოყვანაა. სააღსრულებო სამართლის უმთავრეს პრინციპს კი სწრაფი, ეფექტიანი და რაც უმთავრესია, კანონშესაბამისი აღსრულების განხორციელება წარმოადგენს. სააღსრულებო სისტემას წაეყინება ეფექტიანი აღსრულების მოთხოვნა იმდენად, რამდენადაც კრედიტორმა ისედაც დიდი დრო დაკარგა უფლების აღსაზღვრად და მოთხოვნის აღსასრულებლად... აღსრულების პროცესი მოქნილობით უნდა ხასიათდებოდეს და უსაფუძვლო დაბრკოლებებს არ უნდა ქმნიდეს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში..“ (სუს 24.04.2014წ. №ბს-476-464(კ-13) გადაწყვეტილება).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი დღის ნესრიგში აყენებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან მისი აღსრულების უზრუნველყოფის საკითხს. ამასთან, კანონით მკაცრად არის განსაზღვრული აღსრულების ეროვნული ბიუროს ფუნქციები და მოიცავს სასამართლო გადაწყვეტილების კანონთან ზუსტი შესაბამისობით აღსრულებას. მოცემულ შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ სააღსრულებო ბიურომ ვერ უზრუნველყო მისთვის კანონით დაკისრებული ფუნქციის შესრულება – აღსრულებას დაქვემდებარებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანა. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ 21.05.2004წ. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის გათვალისწინებით, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ხელახლა ჩაატარა სათანადო სააღსრულებო მოქმედებები. ამ პირობებში, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ აღსრულების

შეწყვეტის საფუძვლებზე უკანონოდ მითითება, მოსარჩელეებს ართმევს მათ ინტერესში არსებულ სააღსრულებო ფურცელზე წარმოების ჩატარების უფლებას, რაც ამავე კანონის 34.3 მუხლიდან გამომდინარე, გამორიცხავს იმავე გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოების განახლების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ აღსრულების შეწყვეტის საფუძვლების მითითება (თუნდაც ისინი ნამდვილად არსებობდეს) თავისთავად არ ადასტურებს აღსრულების შეწყვეტას, აღნიშნული საჭიროებს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას, რამდენადაც დაინტერესებული პირისათვის შედეგს იწვევს შესაბამის საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და არა თავისთავად გადაწყვეტილების მიღების საფუძვლის არსებობა. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ 07.04.2016წ. სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მიუთითა კანონით გათვალისწინებულ აღსრულების შეწყვეტის საფუძვლებზე (34.1 მუხლის „ე“, „კ“ ქვეპუნქტები), თუმცა საქმის მასალებით არ დასტურდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ან მიღებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების უზრუნველყოფა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინააღმდევება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად (ცნობის შესახებ თუ ადმინისტრაციული აქტი ენინააღმდევება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. ამავე კოდექსის 33<sup>2</sup> მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და

ის პირდაპირ და უშეუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და მითითებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიჩნევს, რომ არსებობს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 07.04.2016 წ. № 1462 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად (ცნობისა და მოპასუხისათვის ქმედების განხორციელების დავალების საფუძველი). ამდენად, ნ. ტ-ის, ლ. კ-ის და ლ. შ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ივლისის განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.3 მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლონდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს ნ. ტ-ის, ლ. კ-ისა და ლ. შ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის, სააპელაციო სასამართლოში გადახდილი 150 ლარის და საკასაციო სასამართლოში გადახდილი 300 ლარის (სულ 550 ლარის) ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ნ. ტ-ის, ლ. კ-ისა და ლ. შ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყ-

ფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ივლისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ნ. ტ-ის, ლ. კ-ისა და ლ. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2016 წლის 7 აპრილის №1462 ბრძანება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაევალოს ქ. თბილისის დიდუბე-ჩულურეთის რაიონულ სასამართლოს მიერ 2003 წლის 18 ივლისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულება;

5. სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს ნ. ტ-ის, ლ. კ-ისა და ლ. შ-ის სასამარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელთა მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 550 ლარის ოდენობით;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩიტოდება.

## სანდაზმულობის მოტივით სააღსრულებო ფურცლის დაპრუცების კანონიერება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-100(კ-20)

23 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 11 აგვისტოს სს „...მა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს იძულებითი სააღსრულებო წარმოების დასაწყებად წარედგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2011 წლის 1 აპრილს გაცემული №2/3192-10 სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმადაც, გ. ქ-ს დაეკისრა თანხის გადახდა სს „ბ...ის“ სასარგებლოდ. საქმის მორიგებით დასრულების გამო, მოვალე გ. ქ-ს უნდა გადაეხდა ყოველთვიურად 225,66 ლარი 2010 წლის 30 ივნისიდან 2012 წლის 30 მაისამდე.

2017 წლის 4 მაისს გ. ქ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 2 ივნისის №2415 ბრძანებით დაქმაყოფილდა გ. ქ-ის განცხადება და გაუქმდა თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებული №17026194 სააღსრულებო საქმის ფარგლებში აღმასრულებლის მიერ განხორციელებული ყველა სააღსრულებო მოქმედება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 2 ივნისის №2415 ბრძანების ბათიალად ცნობა და თბილისის სააღსრულებო ბიუროსათვის კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2011 წლის 1 აპრილს გაცემული №2/3292 სააღსრულებო ფურცლის აღსრულების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2017 წლის 21 ნოემბრის საოქმო განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირად ჩაება გ. ქ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით სს „...ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის მიერ სარჩელის აღდევრისას გადახდილი სახელმწიფო ბაზი – 100 ლარის ოდენობით, ჩაითვალა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად; მოსარჩელეს – სს „...ს“ მესამე პირის – გ. ქ-ის სასარგებლოდ დაკისრა საადვოკატო მომსახურებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება 200 ლარის ოდენობით; არ დაკმაყოფილდა მესამე პირის – გ. ქ-ის შუამდგომლობა სასამართლოში ადვოკატის მომსახურებისათვის დამატებით განეული ხარჯების მოსარჩელისათვის დაკისრების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩინება სს „...მა“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 17 აპრილის განჩინებით სს „...ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 07 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა მორიგება სს „ბ...ასა“ და გ. ქ-ს შორის, რომლის თანახმადაც, ამ უკანასკნელმა აღიარა მითითებულ ბანკთან არსებული საკრედიტო ვალდებულებები 2008 წლის 30 ივნისის საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებიდან გამომდინარე და მორიგების აქტით მან აიღო ვალდებულება 5 416 ლარი ბანკისთვის აენაზღლაურებინა ამავე მორიგების აქტით შედგენილი გრაფიკის შესაბამისად, კერძოდ, 2010 წლის 30 ივნისიდან 2012 წლის 30 მაისის ჩათვლით ყოველთვე გ. ქ-ს უნდა გადაეხადა 225,66 ლარი. მორიგების აქტის თანახმად, გ. ქ-ს ასევე უნდა აენაზღლაურებინა მოსარჩელე სს „ბ...ის“ მიერ სასარჩელო განცხადების წარდგენასთან დაკავშირებით იურიდიული მომსახურებისათვის გადახდილი ჰონორარი 216 ლარის ოდენობით, 2010 წლის 30 ივნისამდე. ამასთან, მითითებული კრედიტის დაფარვის ვადისა და სს „ბ...ის“ მიერ განეული ხარჯის ანაზღლაურების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ბანკი დაუყოვნებლივ მიმართავდა სასამართლოს სააღსრულებო ფურცლის მისაღებად საკრედიტო ვალდებულებების იძულებითი აღსრულების წესით დაკმაყოფილების მიზნით. როგორც მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ განჩინებით მხარეებს განემარტათ, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ დაიშვებოდა.

დადგენილია, რომ ზემოხსენებულ სასამართლო საქმესთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლომ 2011 წლის 1 აპრილს გასცა №2/3192-10 სააღსრულებო ფურცელი. მითითებული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, კრედიტორმა საქართველოს იუსტიციის აღსრულების ეროვნულ ბიუროს 2017 წლის 1 მარტს მიმართა, რის გამოც ადმინისტრაციულმა ორგანომ შესრულა გარკვეული სააღსრულებო მოქმედებები. კერძოდ, მოვალეს გაუგზავნა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, მოვალე დაარეგისტრირა მოვალეთა რეესტრში, განახორციელა მისი ქონების მოძიება მარეგისტრირებელ ორგანო-

ებსა და საბანკო დაწესებულებებში, მოვალის ქონებას დაადო ყადაღა და აცნობა ქონებრივი ნუსხის წარმოდგენის თაობაზე.

გ. ქ-ის 2017 წლის 4 მაისის განცხადებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსის მოადგილის 2017 წლის 5 მაისის №35241 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარემ 2017 წლის 2 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება დაწყებული სააღსრულებო საქმისწარმოების ფარგლებში სააღსრულებო მოქმედებების გაუქმების თაობაზე. ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 2 ივნისის №2415 ბრძანებით თბილისის სააღსრულებო ბიუროს დაევალა უზრუნველყოფა №17026194 სააღსრულებო საქმეში კრედიტორისათვის წარმოების დაწყებაზე უარის თქმა და სააღსრულებო ფურცლის უკან დაპრუნება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს იყო თუ არა მორიგების დამტკიცების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების აღსრულების თაობაზე მოთხოვნა ხანდაზმული და არსებობდა თუ არა სააღსრულებო ფურცლის კრედიტორისათვის უკან დაპრუნების საფუძველი.

სააპელაციო პალატის განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლზე. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის დავა შეეხება სახელშეკრულებო მოთხოვნას, რომელზეც ვრცელდება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა და თუ დავა დასრულდება მხარეთა მიერ სასამართლოში მიღწეული მორიგებით, მაშინ სასამართლოს განჩინება ამ საფუძვლით საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ უტოლდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნის ხანდაზმულობის დამადასტურებელ გადაწყვეტილებას. მითითებული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების პირობების საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნათა მიმართ მოქმედებს 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, ნაცვლად სახელშეკრულებო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადისა. აღსანიშნავია, რომ ხსენებული დანაწესიდან გამონაკლისს ადგენს ამავე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ დადასტურება შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებს, რომლებიც მომავალში უნდა შესრულდეს, მაშინ მათ მიმართ გამოიყენება 129-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობა.

ამდენად, ვალდებულების ერთდროული ან ნაწილ-ნაწილ შესრულება მხარეთა შეთანხმებაზე ან შესასრულებელი ვალდებულების არსზეა დამოკიდებული და ამის შესაბამისად განისაზღვრება ხანდაზმულობის ვადაც. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლა წარმოადგენს სპეციალური მოწესრიგების საგანს და მისი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება, როგორც პირის უფლების დარღვევა.

აქედან გამომდინარე, თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თითოეული პერიოდისათვის (რაც განსახილველ შემთხვევაში დაყოფილია თვეების მიხედვით) თავიდან იწყება. ამასთან, ასეთი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის 3 წელი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე სწორად აღნიშნა, რომ პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს ვალდებულება, რომელიც კანონით ან ხელშეკრულებით გარკვეული დროის მონაკვეთში უნდა შესრულდეს განსაზღვრული პერიოდულობით, რასაც განსახილველ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, კერძოდ, საქმეში არსებული მასალებით დადგინდა, რომ საკრედიტო ვალდებულების 5 416 ლარის ანაზღაურების ვალდებულება გ. ქ-მა იყისრა 2010 წლის 7 ივნისს დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, კერძოდ, 2010 წლის 30 ივნისიდან 2012 წლის 30 მაისამდე ყოველთვე კრედიტორისათვის უნდა გადაეხადა 226 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების აქტით გ. ქ-მა 2010 წლის 7 ივნისიდან სს „პ...ის“ მიმართ იყისრა ვალდებულება გარკვეული პერიოდებით (2 წლის განმავლობაში ყოველთვე) გადაეხადა საკრედიტო თანხა, იმ შემთხვევაში თუ იგი არ გადაიხდიდა სასამართლოს მიერ დადასტურებულ მოთხოვნას ყოველი თვის განსაზღვრულ რიცხვში, კრედიტორს უფლებამოსილება ჰქონდა თითოეული შეუსრულებელი მოთხოვნიდან 3 წლის განმავლობაში მოეთხოვა ამ პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების შესრულება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 20 იანვრის №ას-446-1139-03 გადაწყვეტილების თანახმად, „სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პერიოდულად განმეორებითი მოქმედების შესრულების ვადა დადგა და მოსარჩელემ გაიგო თავისი უფლების დარღვევის შესახებ“. ამავე გადან-

ყვეტილების მიხედვით, „მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 142-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფლება აქვს მოითხოვოს მოპასუხისაგან გადაწყვეტილებით დაკისრებული მოვალეობის შესრულება, თუ იმ მომენტიდან, როდესაც მოპასუხეს უნდა შეესრულებინა მოქმედება, სარჩელის შეტანამდე არ გასულა სამ წელზე მეტი“.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, თავად გ. ქ-მა დაადასტურა, რომ მას 2010 წლის 30 სექტემბრის შემდეგ სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულება აღარ შეუსრულებია. ამის მიუხედავად, აღნიშნულ მორიგების აქტთან დაკავშირებით მხოლოდ 2011 წლის 1 აპრილს გაიცა სააღსრულებო ფურცელი და ამ უკანასკნელის აღსრულების მოთხოვნით, კრედიტორმა სააღსრულებო ბიუროს – მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართა მხოლოდ 2017 წლის 1 მარტს, ბოლო შესასრულებელი ვალდებულების შესრულების თარიღის გასვლიდან 3-წლიანი ვადის დარღვევით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აპელანტის მტკიცება იმის თაობაზე, რომ გ. ქ-ის მიერ ნაკისრი ვალდებულება წარმოადგენდა არა პერიოდულად, არამედ ერთჯერადად შესასრულებელ ვალდებულებას და განსახილველ საკითხთან დაკავშირებით უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა, დაუსაბუთებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 17 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „...მა“.

კასატორის განმარტებით, სასამართლოების მიერ მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის არსებული სამართალურთიერთობა განმარტებულ იქნა, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილი), შიუხედავად იმისა, რომ სააღსრულებო ფურცელი ამოწერილ იქნა ერთიან ვალდებულებაზე, რაც არამართებულია.

სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი, მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება; ხოლო მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ დადასტურება შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომლებიც მომავალში უნდა შესრულდეს, მაშინ მათ მიმართ გამოიყენება 129-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობა. მითითებული

ლი მუხლის მიხედვით კი, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომელიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალ-დებულებებიდან, სამი წელია.

კასატორის განმარტებით, იმისათვის, რომ ურთიერთობაზე გავ-რცელდეს ზემოაღნიშნული მუხლის მოქმედება, სახეზე უნდა იყოს შემდეგი გარემოებები: 1. მოთხოვნა წარმომობილი უნდა იყოს პე-რიოდულად შესასრულებელი ვალდებულებისგან (მსგავს შემთხვე-ვებში სასამართლოსთვის წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნაც ასევე წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ მოთხოვნას და არ შეიძლება მისი ერთიანად დაკისრება მოვალეზე (მაგ. სარჩო/ალიმენტი); 2. ვალდებულება უნდა შესრულდეს მომავალში და არ უნდა იყოს შესაძლებელი ერთიანად, წინასწარ მომავალში გადა-სახდელი თანხის გადახდევინება. სამართლებრივი ურთიერთობა არ უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ კრედიტორმა ერ-თიანად მოსთხოვოს მოვალეს მომავალში შესასრულებელი ვალ-დებულების შესრულება (მაგალითად, მომავალში გადასახდელი ალიმენტის, სარჩოს გადახდა ერთიანად); 3. მოცემულ შემთხვევა-ში, სააღსრულებო ფურცელი გაცემულ იქნა 2011 წლის 1 აპრილს (№2/3192-10) რომლითაც განისაზღვრა, რომ მოვალის ვალდებუ-ლება იყო დარჩენილი დავალიანების სრულად/ერთიანად გადახ-და. ვალდებულება აღარ იყო მომავალში შესასრულებელი პერიო-დულად, არამედ იყო ერთიანი – 5,416.00 ლარიდან დარჩენილი და-ვალიანება.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად გამოიყე-ნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქ-ტიკა, დადგენილი პრაქტიკა ეხება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებს, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ყოფილა სადაც. პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებთან დაკავ-შირებით სასამართლოს პრაქტიკის არარსებობის პირობებშიც, კა-ნონში პირდაპირ არის მითითებული თუ რა ხანდაზმულობის ვადე-ბი ვრცელდება მისი მოთხოვნის მიმართ; მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულება არ ყოფილა პერიოდული სახის. შესაბამისად, სადა-ვო სამართალურთიერთობაზე სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილის მოქმედების გავრცელება უნდა ჩაითვალოს იმ კანონის გამოყენებად, რაც არ იყო რელევანტური არსებულ სიტუ-აციაში.

კონკრეტულ შემთხვევაში, კლიენტის ერიცხებოდა დავალიანე-ბა სს „ბ...ის“ მიმართ, საკრედიტო ბარათის დავალიანება ვადის გას-ვლის შემდეგ წარმოადგენს ერთიანად გადასახდელ თანხას და არა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, ბანკს პქნდა შე-საძლებლობა ერთიანად მოეთხოვა მოვალისთვის ვალდებულების

შესრულება და ნაწილ-ნაწილ გადახდაზე კლიენტთან მორიგება წარმოადგენდა მხოლოდ ბანკის კეთილ ნებას. შესაბამისად, ვინაიდან 1. კრედიტორის მოთხოვნა დადასტურებულია სასამართლოს მიერ, და 2. კრედიტორის პქონდა უფლება პირველივე ვადაგადაცილების შემდეგ დამატებითი ვადის განსაზღვრის გარეშე მოეთხოვა დარჩენილი დაგალიანება სრულად, მხარეებს შორის არსებული სამართალურთიერთობა არ შეიძლება ჩაითვალოს პერიოდულად შესასრულებლად.

კასატორის მითითებით, სასამართლოებმა ასევე არ გაამახვილეს ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ სააღსრულებო ფურცელი ამონერილია ერთიან თანხაზე (ვალდებულების შესრულების დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორი უფლებამოსილია დაიწყოს იძულებითი აღსრულება გრაფიკის ბოლომდე გათვალისწინებული გადასახდელი თანხის ნაწილში, მიუხედავად იმისა, დადგა თუ არა კონკრეტული (მომავალი) გადახდის თარიღი). აღნიშნული შეუძლებელია პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში (სარჩო/ალიმენტი). პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების არსებობისას, კრედიტორი ვერ მოითხოვს მომავალში გადასახდელ თანხას ერთიანად, არამედ შეუძლია იძულებითი აღსრულება დაიწყოს, აღსრულების დაწყების მომენტში უკვე გადასახდელი თანხის ნაწილში.

სასამართლო დავის პროცესში განხორციელდა მოპასუხესთან მორიგება და ბანკი დათანხმდა, რომ მოვალეს დავალიანება დაეფარა ეტაპობრივად. თუმცა, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.3. პუნქტის მიხედვით, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილი იყო მიემართა სასამართლოსთვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით, ხოლო საკრედიტო ვალდებულება სარეზოლუციო ნაწილის 1.1 პუნქტის მიხედვით განისაზღვრა 5,416.00 ლარით. შესაბამისად, მოვალის მიერ დავალიანების დარღვევის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილი იყო იძულებითი სააღსრულებო ნარმოება დაეწყო დარჩენილი დავალიანების ნაწილში სრულად, რის შემდეგაც საკრედიტო ვალდებულებები განიხილებოდა, როგორც სრულად ვადამოსული და არა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება. შესაბამისად, სასამართლოს მიერ მოხდა ერთიანი დავალიანების დასტურება, რაც ასევე გამორიცხავს პერიოდულობის ხასიათს.

აღსრულების ეროვნული ბიურო, თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოები სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლს არასწორად განმარტავნ სიტყვასიტყვითი, ვიწრო გაგებითაც კი და აიგივებენ პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებასთან (ალიმენტი, სარჩო და ა.შ.). აღნიშნული ნორმის მიზანია,

სარჩოს/ალიმენტის გადამხდელი დაიცვას მისი მიმღებისგან, რა დროსაც მისი მოუთხოვნელობა იგივდება მის არსაჭიროებასთან და რომ სამ წელზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ ალიმენტის/სარჩოს მიმღებმა არ დააყენოს მისი გადამხდელი გამოუვალი სიტუაციის წინაშე (მაგალითისთვის, მოითხოვოს 10 წლის განმავლობაში გადასახდელი თანხა ერთიანად, მაშინ როდესაც გადახდის დროისათვის ამის საჭიროება არ ჰქონდა ალიმენტის მიმღებს). ტერმინის – პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინების მიზანი კი ის არის, რომ ალიმენტის/სარჩოს მიმღებს ჰქონდეს ყოველთვიურად გარკვეული თანხის მიღების უფლება/შესაძლებლობა. ნორმის ვიზრო განმარტებას და მის საკრედიტო ურთიერთობებზე გავრცელებას მივყავართ არალოგიკურ დასკვნამდე, რომ თუ კრედიტის გადახდის ვალდებულება განანილვადდა თუნდაც ორ თვეზე (კრედიტორის თანხმობით, ან სასამართლოს მიერ) და ვალდებულების არსებობა დადასტურდა სასამართლოს მიერ, კრედიტორს აქვს სამწლიანი ვადა იძულებითი სააღსრულებო წარმოების დასაწყისად მორიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ხოლო თუ კრედიტორმა სასამართლო ეტაზზე არ გაუწია შეღავათი კლიენტს და სრულად მოითხოვა მასზე თანხის დაკისრება, კრედიტორი ხელსაყრელ მდგომარეობაშია და შეუძლია 10 წლის განმავლობაში მოსთხოვოს კლიენტს თანხის გადახდა. ყოველივე აღნიშნულს კი მივყავართ მსესხებლების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებისკენ.

ამასთან, კასატორის მითითებით, სადავო ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ისე იქნა გამოცემული, რომ ბანკი, როგორც უდავოდ დაინტერესებული მხარე არ იქნა მოწვეული საკითხის განხილვისას და არ ეცნობა მიმდინარე წარმოების შესახებ. ბანკის თვის შემთხვევით გახდა ცნობილი სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 18 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სს „...ის“ საკასაციო საჩივარი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძ-

ვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ სს „...ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სს „ბ...ასა“ და გ. ქ-ს შორის 2010 წლის 07 ივნისს დამტკიცდა მორიგება შემდეგი პირობებით: 1.1. მოპასუხე გ. ქ-ი აღიარებს და ვალდებულებას იღებს სს „ბ...ის“ სასარჩელო განცხადებით მოთხოვნილ 2008 წლის 30 ივნისის საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საკრედიტო ვალდებულებებს, რაც გამოიხატება ამ უკანასკნელზე 5 416 (ხუთი ათას ოთხას თექვსმეტი) ლარის დაკისრებაში, აუნაზღაუროს სს „ბ...ას“ შემდეგი გრაფიკის შესაბამისად: 2010 წლის 30 ივნისიდან 2012 წლის 30 მაისის ჩათვლით ყოველთვე 225,66 ლარი. 1.2.. მოპასუხე გ. ქ-ი ასევე აანაზღაურებს მოსარჩელე სს „ბ...ის“ მიერ სასარჩელო განცხადების წარდგენასთან დაკავშირებით იურიდიული მომსახურებისათვის გადახდილ პონორარს, 216 (ორას თექვსმეტი) ლარის ოდენობით, 2010 წლის 30 ივნისამდე. 1.3. აღნიშნული მორიგების აქტის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული კრედიტის დაფარვის ვადისა და სს „ბ...ის“ მიერ განეული ხარჯის აანაზღაურების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ბანკი დაუყოვნებლივ მიმართავს სასამართლოს სააღსრულებო ფურცლის მისაღებად საკრედიტო ვალდებულებების იძულებითი აღსრულების წესით დაკმაყოფილებას მიზნით.

2017 წლის 1 მარტს სს „ბ...ის“ წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 01 აპრილის №2/3192-100 სააღსრულებო ფურცლის აღსრულება.

დადგენილია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 07 მარტის №A17026194-005/001 და 2017 წლის 13 მარტის №A17026194-005/002 წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, ასევე, ამავე ბიუროს 2017 წლის 13 მარტის №A17026194-007 შეტყობინება ქოხებრივი წესის წარდგენის თაობაზე გ. ქ-ს არ ჩაბარებია. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 16 მარტის №A17026194-009 განკარგულების საფუძველზე განხორციელდა საჯარო შეტყობინება და გამოქვეყნდა „წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ“.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 13 მარტის №A17026194-008/001 წერილით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვ-

ნულ სააგენტოს წარედგინა მოთხოვნა – ყადაღა დაედოს გ. ქ-ის სახელზე რიცხულ: 1. შპს „...“ -ის 60% ნილს; 2. შპს „...ის“ 0% ნილს; 3. შპს „გ...ის“ 33% ნილს. აღნიშნულის შესახებ შესაბამის კომპანიებს ეცნობათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 27 მარტის №A17026194-010/001, №A17026194-010/002 და №A17026194-010/003 წერილებით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 03 აპრილის №A17026194-011/001 წერილით გ. ქ-ს ეცნობა მის სახელზე რეგისტრირებულ ქონებაზე (8 ცალი ცეცხლსასროლი იარაღი) ყადაღის დადების შესახებ და მასვე დაევალა ამ ქონების დაუყოვნებლივ თბილისის სააღსრულებო ბიუროში წარდგენა. დადგენილია, რომ მითითებული წერილი გ. ქ-ს არ ჩაბარდა.

2017 წლის 04 მაისს გ. ქ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს და მოითხოვა მის მიმართ არსებული სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა, კრედიტორის მოთხოვნის ხანდაზმულის მოტივით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 02 ივნისის N2415 სადავო ბრძანებით გაუქმდა აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს – თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებული A17026194 სააღსრულებო საქმის ფარგლებში, აღმასრულებლის მიერ განხორციელებული ყველა სააღსრულებო მოქმედება. ამავე ბრძანებით აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილეს – თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსს, დაევალა უზრუნველეყო A17026194 სააღსრულებო საქმეში კრედიტორისათვის წარმოების დაწყებაზე უარის თქმა და სააღსრულებო ფურცლის, თანდართული დოკუმენტაციით, უკან დაბრუნება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიურომ 2017 წლის 05 ივნისს №A17026194-016/001 წერილით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა გ. ქ-ის ქონებაზე ამავე ბიუროს №A17026194-008/001 მიმართვის საფუძველზე დადებული ყადაღის მოხსნა.

ამონანერით მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან დგინდება, რომ 2017 წლის 08 მაისს სს „ბ...ა“ შეერწყა სს „...ს“ და ფუნქციონირება განაგრძო ამ უკანასკნელის სახელით.

დადგენილია, რომ სს „...ის“ წარმომადგენელმა მითითებული რე-

ორგანიზაციისა და სს „ბ...ის“ უფლებამონაცვლეობის თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროს ინფორმაცია მიაწოდა 2017 წლის 17 მაისის №19291 განცხადებით.

სადაც აქტი და ზოგადად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 1 აპრილის – 2/30192-10 სააღსრულებო ფურცლის აღსრულების შეუძლებლობის თაობაზე ეფუძნება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტს.

მითითებული ნორმის საფუძველზე, სააღსრულებო ფურცელი/აღსასრულებელი გადაწყვეტილება, რომლითაც არ მოხდა ან ნაწილობრივ მოხდა აღსრულება, უბრუნდება კრედიტორს, თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელია ფაქტობრივი გარემოებების ან/და სამართლებრივი საფუძვლის გამო. განსახილველ შემთხვევაში სააღსრულებო ფურცლის აღსრულება შეუძლებლადაა მიჩნეული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფუძვლით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს და ქვედა ინსტანციის სასამართლოების შეფასებას ხანდაზმულობის მოტივით სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების საფუძვლების არსებობის თაობაზე და თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების არასწორი განმარტების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის სტანდარტული ვადების პარალელურად, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას (სკ-ის 142-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის თანახმად, 1. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება; 2. თუ დადასტურება შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომლებიც მომავალში უნდა შესრულდეს, მაშინ მათ მიმართ გამოიყენება 129-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული ნორმის კონსტრუქციის, რომელიც თავის მხრივ, იყოფა ორ ნაწილად და ადგენს ხანდაზმულობის ორ ვადას:

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნისათვის პირველი ნაწილით განსაზღვრუ-

ლია 10 წელი, ხოლო მეორე ნაწილი მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლზე და განსაზღვრავს ხანდაზმულობის სამწლი-ან ვადას.

ყურადღება უნდა მიექცეს ასევე ნორმაში არსებულ ჩანაწერს: „სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნა“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ნორმის ორივე ნაწილი შეეხება როგორც „სასამართლო გადაწყვეტილებას“, ასევე „მორიგების დამტკიცების თაობაზე სასამართლო განჩინებას“. შესაბამისად, ნორმის გამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა ტიპის პროცესუალური დოკუმენტია წარმოდგენილი, არამედ რას შეეხება „დადასტურება“. აღნიშნული კი მიუთითებს იმაზე, რომ სადაც სამართალურთიერთობის გადაწყვეტის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლად სწორადაა მითითებული სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლზე, რა თვალსაზრისითაც სასამართლოთა პოზიცია თანხვედრაშია, თუმცა საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ არასწორადაა შეფასებული მხარეთა შორის წარმოშობილი სამართალურთიერთობის შინაარსი, რამაც განაპირობა სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილის არასწორი გამოყენება.

სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის კონსტრუქციაზე მითითებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით, ამავე მუხლის მეორე ნაწილი მიეკუთვნება ე.წ „სპეციალურ ნორმას“ და მისი გამოყენება ხდება ერთ შემთხვევაში, როცა დადასტურება შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომელიც მომავალში უნდა შესრულდეს. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების ერთმანეთისგან გამიჯვნის კრიტერიუმია ის, თუ რა სახის ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებს შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებით/განჩინებით დადასტურებული მოთხოვნა. შესაბამისად, საკითხის შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია დადგინდეს, რა სახის სამართლებრივი ურთიერთობაა მხარეთა შორის შემდგარი და სასამართლოს მიერ დადასტურებული აქტის სამართლებრივი ბუნების შესწავლა.

როგორც უკვე აღინიშნა, დადგენილია, რომ სს „ბ...ასა“ და გ. ქ-ს შორის 2010 წლის 07 ივნისს დამტკიცდა მორიგება შემდეგი პირობებით: 1.1. მოპასუხე გ. ქ-ი აღიარებს და ვალდებულებას იღებს სს „ბ...ის“ სასარჩელო განცხადებით მოთხოვნილ 2008 წლის 30 ივნისის საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საკრედიტო ვალდებულებებს, რაც გამოიხატება ამ უკანასკნელზე 5

416 (ხუთი ათას ოთხას თექვსმეტი) ლარის დაკისრებაში, აუნაზ-ლაუროს სს „ბ...ას“ შემდეგი გრაფიკის შესაბამისად: 2010 წლის 30 ივნისიდან 2012 წლის 30 მაისის ჩათვლით ყოველთვე 225,66 ლარი.

1.2. მოპასუხე გ. ქ-ი ასევე აანაზღაურებს მოსარჩელე სს „ბ...ას“ მიერ სასარჩელო განცხადების წარდგენასთან დაკავშირებით იუ-რიდიული მომსახურებისათვის გადახდილ პონორარს, 216 (ორას თექვსმეტი) ლარის ოდენობით, 2010 წლის 30 ივნისამდე. 1.3. აღ-ნიშნული მორიგების აქტის პირველი და მეორე პუნქტებით გათვა-ლისწინებული კრედიტის დაფარვის ვადისა და სს „ბ...ის“ მიერ გა-წეული ხარჯის აანაზღაურების ვადის დარღვევის შემთხვევაში ბან-კი დაუყოვნებლივ მიმართავს სასამართლოს სააღსრულებო ფურ-ცლის მისაღებად საკრედიტო ვალდებულებების იძულებითი აღ-სრულების წესით დაკამაყოფილების მიზნით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნა-ნილის თანახმად, თუ მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე ან მხარეები მორიგებიან, მოსამართლე გამო-იტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. მორიგე-ბის შემთხვევაში, ამავე განჩინებით სასამართლო დაამტკიცებს მორიგების პირობებს. იგივე წესი გავრცელდება სასამართლო გან-ხილვის წებისმიერ სტადიაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა მორიგების შემთხვევაში წყდება სამართალწარმოება, უქმდება საქმეზე მი-ლებული ყველა გადაწყვეტილება და მტკიცდება მორიგება. ასეთი მორიგება უკვე მხარეთა შორის გამოხატული ახალი ნებაა, რაც გუ-ლისხმობს მხარეთა შორის ახალი გარიგების დადებას.

საქმის წარმოების მორიგებით დამთავრება წარმოადგენს მხა-რისათვის მინიჭებული დისპოზიციური უფლების გამოვლინებას, რომელიც მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გარიგე-ბის სახით მიიღება. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ მორიგების შემთხვევაში მხარეები სარგებლობენ ნების ავტონომიურობის და თავისუფლების პრინციპით და თავადვე განსაზღვრავენ შეთან-ხმების შინაარსს. სასამართლოს განჩინება ამ შემთხვევაში ასრუ-ლებს მხოლოდ შეთანხმების კანონიერების კონტროლის მექანიზ-მის ფუნქციას.

საკასაციო სასამართლო დავის სამართლებრივი ანალიზის სრულყოფილი განხორციელების მიზნით, აქვე საჭიროდ მიიჩნევს „სასამართლო აქტით დადასტურებული მორიგება“ გაიმიჯნოს „მა-ტერიალურ-სამართლებრივი მორიგებისგან“. მატერიალურ-სამარ-თლებრივი მორიგების ძირითადი მახსიათებელია ის, რომ მხარეე-ბი, როგორც წესი, რჩებიან იმავე სამართალურთიერთობის ფარ-გლებში, ხოლო მორიგება არის გზა, რომლითაც ხდება სამართა-

ლურთიერთობის გარკვეული დეტალების დაზუსტება, დაკონკრეტება და, ზოგადად, მას არა აქვს ვალდებულებად გარდაქმნის ეფექტი. თეორიასა და პრაქტიკაში „მატერიალურ-სამართლებრივ მორიგებას“ ხშირად „დამაზუსტებელი“ გარიგების სახით მოიხსენიებენ. იმ პირობებში, როდესაც სასამართლო აქტით მორიგების დადასტურების შემთხვევაში, „მატერიალურ-სამართლებრივი მორიგებისგან“ განსხვავებით, მხარეთა შორის იდება ახალი ხელშეკრულება, მორიგება წარმოადგენს მხარეთა მიერ ახალ გარემოებაზე შეთანხმებას, რის შემდეგაც მხარეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება მორიგებაში ასახული პირობების საფუძველზე.

ამრიგად, სასამართლო მორიგების სამართლებრივი მნიშვნელობა ხასიათდება ორი დამოუკიდებელი მიზნით: 1. მატერიალური და 2. პროცესუალური.

მატერიალური ნიშნით მორიგება მიეკუთვნება გარიგების ყველაზე გავრცელებულ სახეს – ხელშეკრულებას და წარმოადგენს ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენის ფორმას, რომელიც წარმოიშობა ორ ან მეტ სუბიექტს შორის და ცვლის ან წყვეტს მათ შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას. როგორც ყველა ხელშეკრულება, მორიგებაც ეფუძნება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარეებს აქვთ უფლება, თავად გადაწყვიტონ, დადონ თუ არა და რა პირობებით დადონ ეს შეთანხმება, თავად განსაზღვრონ შეთანხმების შინაარსი და სამართლებრივი ეფექტი. ამავე თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მათვე ეკისრებათ შეთანხმებიდან გამომდინარე რისკები.

ამდენად, მორიგების პირობებში მხარეთა შორის წარმოიშობა ახალი სამართალურთიერთობის საფუძველი, ახალი ორმხრივი ხელშეკრულება და მხარეთა უფლებამოსილებაც სწორედ ახალი ხელშეკრულებით განისაზღვრება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო განჩინებით დადასტურებული მორიგების შედეგად, პროცესის მოხანილეთა შორის ჩამოყალიბდა სამართალურთიერთობის ახალი საფუძველი, დაიდო ახალი ხელშეკრულება, საიდანაც წარმოიშვა მათი მოთხოვნები და ვალდებულებები. სწორედ ამ ხელშეკრულების შინაარსია განმსაზღვრელი სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის გამოყენების თვალსაზრისით.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების ერთმანეთისგან გამიჯვნის კრიტერიუმია ის, თუ რა სახის ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებს შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებით/განჩინებით დადასტურებული მოთხოვნა, შეეხება თუ არა აღნიშნული „პე-

რიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას“.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ „პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებასა“ და „ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულებას“ შორის ფორმალური ნიშნით მსგავსების გამო, მათი ურთიერთგამიჯვნა ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია გარკვეულ სირთულესთან, თუმცა, გარიგების ამ ორი სახის გამიჯვნის თვალსაზრისით, გადამწყვეტი უნდა იყოს ის იმანენტური, კონსტიტუციური ნიშნები, რაც მახასიათებელია მხოლოდ „პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებისთვის“ და რაც არ არის დამახასიათებელი „ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების“ ინსტიტუტისთვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება სახეზეა მხოლოდ მაშინ და იმ პირობებში, თუ ეს ვალდებულება დროის სხვადასხვა მონაკვეთში რეგულარულად თავიდან წარმოიშობა და ეს წარმოადგენს მოთხოვნის ბუნებას (მაგ: ქირავნობა, იჯარა, სარჩოს, ალიმენტის გადახდის ვალდებულება და ა.შ.).

ვალდებულების სახეობა დამოკიდებულია ასევე მოთხოვნის წარმოშობის მომენტზე, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია ვალდებულების შესრულების დროით და იმ მომენტით, თუ რამდენი ვალდებულება უნდა შესრულდეს. ვალდებულების შესრულების რამდენი მომენტიც არსებობს, არსებობს იმდენივე ვალდებულება და შესაბამისად, წარმოიშობა იმდენივე მოთხოვნა, ამასთან, როგორც აღინიშნა, მოთხოვნა შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომელთა განხორციელებაც უნდა მოხდეს მომავალში.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ცალკეული/თითოეული შესრულების პერიოდული ქრონოლოგიური განმეორება არ არის მოთხოვნის ბუნების ნაწილი, პრინციპულია, რომ ვალდებულება დროის სხვადასხვა მონაკვეთში თავიდან წარმოიშვას და მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობა არ იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ კრედიტორმა ერთიანად, წინსწრებით მოითხოვოს მოვალისაგან მომავალში შესასრულებელი ვალდებულებები, რა ნაწილშიც საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პოზიციას.

პერიოდულად (რეგულარულად) განმეორებად შესრულებაში მოიაზრება ისეთი შემთხვევები, რომლებიც გულისხმობს (ცალკეული შესრულების რეგულარულ, პერიოდულ განმეორებადობას, რომელსაც საწყისი ეტაპიდანვე გააჩნია მოთხოვნის უფლება (BGH NJW2001,1065, VersR 1957, 450,451).

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ერთიანი ვალდებულების მხოლოდ დროში განიღვდებული შესრულება საკმარისი არ არის

სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოყენებისთვის. იმისთვის, რომ მოხდეს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის გამოყენება, აუცილებელია დადგინდებს, რომ მხარეთა შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობა მიეკუთვნება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას.

საკასაციო სასამართლო კვლავაც ყურადღებას მიაქცევს სს „ბ...ასა“ და გ. ქ-ს შორის 2010 წლის 07 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსს და მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული მორიგებისთვის (ხელშეკრულებისთვის) არ არის დამახსიათებელი ის ძირითადი ნიშნები, რაზეც ზემოთ მიეთითა. საკრედიტო ხელშეკრულებისგან განსხვავებით, რომელშიც აღინიშნება თანხისა და პროცენტის გადახდის ვალდებულება, შეთანხმებით განსაზღვრულია, რომ გ. ქ-ს უნდა გადაეხადა 5 416 (ხუთი ათას ოთხას თექვსმეტი) ლარი და აენაზღაურებინა იურიდიული მომსახურებისათვის განეულ ხარჯი. ამავე შეთანხმებით, ბანკი იტოვებს უფლებას, გადახდის გრაფიკის პირველივე დარღვევის შემთხვევაში, მოითხოვოს თანხის სრული ოდენობით ანაზღაურება. ამდენად, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებისგან განსხვავებით, სახეზეა ერთი ვალდებულება, რომელსაც ფიზიკური პირი იხდის ნაწილ-ნაწილ-ცალკეული/თითოეული გადახდის პერიოდული ქრონოლოგიური განმეორება არის ერთი მოთხოვნიდან ნაწარმოები და ვალდებულებისათვის არ არის დამახსიათებელი დროის სხვადასხვა მონაკვეთში თავიდან ნარმოშობა.

საკასაციო სასამართლო, მხარეთა შორის შემდგარი გარიგებიდან გამომდინარე, გამორიცხავს ვალდებულებათა სიმრავლეზე მითითებას და თვლის, რომ სახეზეა ერთიანი ვალდებულების დროში განიღვადებული შესრულება, რის გამოც ვალდებულება ვერ შეფასდება „პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად“ და მის მიმართ გამოყენებადია არა სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილი, არამედ ამავე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხ-

ლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლება-მოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ, თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33<sup>1</sup> მუხლი ადგენს, რომ თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან. ამდენად, იმისთვის, რომ სასამართლომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედება უკანონოდ მიიჩნიოს, უნდა დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედების (უმოქმედობის) კანონშეუსაბამობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 02 ივნისის №2415 ბრძანება, რომლითაც გაუქმდა თბილისის სააღსრულებო ბიუროს ნარმოებაში არსებული A17026194 სააღსრულებო საქმის ფარგლებში აღმასრულებლის მიერ განხორციელებული ყველა სააღსრულებო მოქმედება, თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსს დაევალა ამავე სააღსრულებო საქმეში კრედიტორისათვის სააღსრულებო ნარმოების დაწყებაზე უარის თქმა და სააღსრულებო ფურცლის, თანდართული დოკუმენტებით უკან დაბრუნება, ენინააღმდეგება „სააღსრულებო ნარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტს და ემყარება სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის არასწორ გამოყენებას, რის გამოც სახეზეა კანონშეუსაბამობის მოტივით მისი ბათილად ცნობის საფუძველი. იმავე მოსაზრებაზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს სს „...ის“ მოთხოვნას – მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაევალოს განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2011 წლის 01 აპრილს გაცემული №2/3192-10 სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით და თვლის, რომ სარჩელი ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის შესაბამისად,

იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს სს „...ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის, სააპელაციო სასამართლოში გადახდილი 150 ლარის და საკასაციო სასამართლოში გადახდილი 300 ლარის (სულ 550 ლარის) ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს :**

1. სს „...ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 17 აპრილის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 2 ივნისის №2415 ბრძანება და მოპასუხეს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაეგალოს განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2011 წლის 01 აპრილს გაცემული №2/3192-10 სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით;
5. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაეკისროს სს „...ის“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 550 ლარის ოდენობით;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სარჩელის უძრუნველყოფა

### სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერება

განხილება  
საქართველოს სახელი

№ბს-541-538(უს-17)

03 აგვისტო, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბ. ბ-ის წარმომადგენლის 6.  
მ-ის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-  
ციულ საქმეთა პალატის 04.04.2017წ. განჩინებაზე

#### აღწერილობითი ნაწილი:

04.09.2013წ. მ. ც-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუ-  
მის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების ხელვაჩაურის მუნი-  
ციპალიტეტის გამგეობის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკ-  
რებულოს, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭა-  
რის ა/რ მთავრობის, საქართველოს მთავრობის, საჯარო რეესტრის  
ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის,  
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრა-  
ციონ სამსახურის მიმართ და სასარჩელო მოთხოვების დაზუსტე-  
ბის შემდეგ მოითხოვა: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეო-  
ბის 06.03.2009წ №01-13/76 მიმართვის (მ. ც-ის საკუთრებაში არსე-  
ბულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 922.8 კვ.მ მიწის ნაკვეთის  
ნაწილში), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის  
სარეგისტრაციო სამსახურის 12.03.2009წ. №...-06 გადაწყვეტილე-  
ბის (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების  
– 922.8 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), ხელვაჩაურის მუნიციპალი-  
ტეტის საკრებულოს 09.10.2009წ. №10-1 განკარგულების (მ. ც-ის  
საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 922.8 კვ.მ  
მიწის ნაკვეთის ნაწილში), აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის  
სამინისტროს 15.10.2009წ. №01-22/3586 მიმართვის (მ. ც-ის საკუთ-  
რებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 922.8 კვ.მ მიწის  
ნაკვეთის ნაწილში), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის 19.10.2009წ. №...-03 გადაწყვეტილების (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 922.8 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), აჭარის ა/რ მთავრობის 15.09.2009წ. №82 განკარგულების და აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 22.09.2009წ. №140 ბრძანების (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 922,8 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), აჭარის ა/რ და კომპანია „...-ს“ შორის 28.09.2009წ. გაფორმებული შეთანხმების აქტის (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 922,8 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და კომპანია „...-ს“ შორის 29.10.2009წ. დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 922,8 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 27.10.2009წ. №728 ბრძანების (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 922,8 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 29.10.2009წ. გამოცემული №...-ა საკუთრების უფლების მოწმობის (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 922,8 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის 04.11.2009წ. №...-03 გადაწყვეტილების (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 922,8 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 17.04.2012წ. №...-03 გადაწყვეტილების (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 922,8 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 02.05.2012წ. №...-03 გადაწყვეტილების (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 922,8 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 03.05.2012წ. №...-05 გადაწყვეტილების (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 922,8 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 07.06.2012წ. №...-05 გადაწყვეტილების (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 922 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 11.02.2009წ. №01-22/410 მიმართვის (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან

ზედდების – 46.1 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის 19.02.2009წ. №...-03 გადაწყვეტილების (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 46.1 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის 02.06.2010წ. №684 განკარგულების (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 46.1 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), უძრავი ქონების გადაცემის 09.08.2010წ. ხელშეკრულების (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 46.1 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის 19.08.2010წ. №...-07 გადაწყვეტილების (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 46.1 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 13.06.2012წ. №...-03 გადაწყვეტილების (მ. ც-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ზედდების – 46.1 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში), აჭარის ა/რ ფინასთა და ეკონომიკის სამინისტროს 21.02.2012წ. №01-10/951 მიმართვის, „ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 07.11.2013წ. №271 ბრძანების, „სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 05.08.2013წ. №...-07 გადაწყვეტილების, „სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 08.09.2013წ. №...-08 გადაწყვეტილების, „ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 23.10.2013წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისთვის ქ.ბათუმში, ... დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ ...) მ. ც-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

მოსარჩევემ აღნიშნა, რომ მ.გ-ისგან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. .... შეიძინა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 968 კვ.მ მიწის ნაკვეთი. აღნიშნული მიწის ნაკვეთის შეძენასთან დაკავშირებით 2009-2010 წლებში მ. გ-ის, ტ. შ-ისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ მოსარჩევემ აწარმოა სასამართლო დაგა მიწის კუთვნილებასთან დაკავშირებით. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 03.09.2009წ. გადაწყვეტილებით მ. ც-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მ.

გ-ესა და ტ. შ-ს შორის მ. ც-ის კუთვნილ მიწაზე გაფორმებული 27.05.2008წ. ნასყიდობის ხელშეკრულება, გაუქმდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ტ. შ-ის სახელზე განხორციელებული რეგისტრაცია და დაევალა სარეგისტრაციო სამსახურს მ. ც-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მითითებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რომელმაც თავის მხრივ სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიმართა საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურს. საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურის 05.08.2013წ. გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, სარეგისტრაციო სამსახურმა შეჩერების საფუძვლად მიუთითა ზედდება ორ საკადასტრო ერთეულთან (სახელმწიფოსთან და კერძო მესაკუთრესთან). სახელმწიფოს მიერ პირველადი რეგისტრაციების განხორციელების დროს (19.02.2009წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის №...-03 გადაწყვეტილების და 12.03.2009 №...-06 გადაწყვეტილების მიღების დროს) სადაც მიწის ნაკვეთი უკვე რეგისტრირებული იყო და სახელმწიფოსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს უფლება არ ჰქონდათ აღნიშნული მიწის ნაკვეთი დაერეგისტრირებინათ მათ საკუთრებაში, ხოლო თავის მხრივ საჯარო რეესტრმა მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით განახორციელა რეგისტრაციები. სარეგისტრაციო სამსახური სადაც რეგისტრაციის განხორციელებამდე ვალდებული იყო სხვა პირზე რეგისტრაციის არსებობა დაედგინა, აღნიშნულის გადამოწმების გარეშე რეგისტრაციის განხორციელებით კი მოსარჩელეს ფაქტიურად წაერთვა საკუთრების უფლება სადაც ნაკვეთზე მოსარჩელემ აღნიშნა, რომ აღმინისტრაციული ორგანოების მიერ დარღვეულია სზაკ-ის მე-5, 95-ე, 96-ე მუხლების, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის, სკ-ის 327.3, 183-ე, 59-ე, 54-ე, ზაკ-ის 54-ე, მე-4, მე-5, მე-13, 53-ე, 60<sup>1</sup>, 65-71-ე მუხლები, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 12.11.2013წ. განჩინებით სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ პ. ბ-ი და კომპანია „...“.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 06.06.2014წ. გადაწყვეტილებით მ. ც-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად მ. ც-ის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ... დასახლებაში მდებარე უძრავი ქონების გადაფარვის ნანიშნში (არა უმეტეს 922,8 კვ.მ) ბათილად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის მუ-

ნიციპალიტეტის გამგეობის 06.03.2009წ. №01-13/76 მიმართვა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის 12.03.2009წ. №...-06 გადაწყვეტილება, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად მ. ც-ის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ... დასახლებაში მდებარე უძრავი ქონების გადაფარვის ნაწილში (არაუმეტეს 46,1 კვ.მ) ბათილად იქნა ცხობილი აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 11.02.2009წ. №01-22/410 მიმართვა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის 19.02.2009წ. №...-03 გადაწყვეტილება, აჭარის ა/რ რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, დანარჩენი მოთხოვნის ნაწილში მ. ც-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მ. ც-ის, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის, ბ. ბ-ის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.10.2014წ. განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა და გაიზარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება და დასკვნება საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის, მ.ც-ის, ბ.ბ-ის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.09.2016წ. განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილ-

და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებობის, მ. ც-ის, ბ. ბ-ის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის და ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის საკასაციო საჩივრები, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.10.2014წ. განჩინება, 23.09.14წ. წინმსწრები საოქმო განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

15.02.2017წ. მ. ც-ის წარმომადგენლებმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინეს დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი. საბოლოოდ მოთხოვნები დაზუსტდა 31.03.2017წ. სასამართლო სხდომაზე და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ნაწილობრივ გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 06.06.2014წ. გადაწყვეტილება (სადაც საკითხის გადაუწყვეტლად საქმის ადმინისტრაციული ორგანოებისათვის დაპრუნების ნაწილში) და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სრულად დაემაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ: მ. ც-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთთან (ს/კ ...) ზედდების ნაწილში ბათილად იქნეს ცნობილი: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის 12.03.2009წ. №...-06 გადაწყვეტილება საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 09.10.2009წ. №10-1 განკარგულება; აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 15.10.2009წ. №01-22/3586 მიმართვა; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის 19.10.2009წ. №...-03 გადაწყვეტილება საკუთრების უფლების აქტი, რომელიც გაფლომდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და კომპანია „...“ შორის; 29.10.2009წ. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და კომპანია „...“ შორის დადგებული ნასყიდობის ხელშეკრულება; აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 27.10.2009წ. №728 ბრძანება; აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 22.09.2009წ. ბრძანება №140; 28.09.2009წ. შეთანხმების აქტი, რომელიც გაფლომდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და კომპანია „...“ შორის; 29.10.2009წ. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 29.10.2009წ. გამოცემული №1063-ა „საკუთრების უფლების მოწმობა; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის 04.11.2009წ. №...-03 გადაწყვეტილება საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ; „...“-სა და ბ. ბ-ს შორის 17.04.2012წ. დადგებული ნასყიდობის ხელშეკრულება (922 კვ.მ. მ. ც-ის საკუთრების უფ-

ლების გადაფარვის ნაწილში); საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 02.05.2012ნ. №...-03 გადაწყვეტილება; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 03.05.2012ნ. №...-05 გადაწყვეტილება საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 07.06.2012ნ. №...-05 გადაწყვეტილება საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ; 19.02.2009ნ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის №...-03 გადაწყვეტილება; საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის 02.06.2010ნ. №684 განკარგულება ქონების გადაცემის შესახებ; 09.08.2010ნ. უძრავი ქონების გადაცემის ხელშეკრულება; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის 19.08.2010ნ. №...-07 გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 13.06.2012ნ. №...-03 გადაწყვეტილება საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ; აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 21.02.2012ნ. მიმართვა №01-10/951; ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 17.04.2012ნ. №...-03 გადაწყვეტილება საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ; აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 04.05.2012ნ. მიმართვა №01-10/2102; აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 07.11.2013ნ. №271 ბრძანება; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 05.08.2013ნ. №...-07 გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 08.09.2013ნ. №...-08 გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 23.10.2013ნ. გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 05.03.2015ნ. გადაწყვეტილება №...-03 იპოთეკის რეგისტრაციის შესახებ. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალოს გამოსცეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი მიწის ნაკვეთზე (ს/კ ...) მ. ც-ის (3/6 ...) საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე (არსებულ მოთხოვნებს დაემატა მ. ც-ის საკუთრების უფლების გადაფარვის ნაწილში (922 კვ.მ. ) „...“ – სა და ბ. ბ-ს შორის 17.04.2012ნ. დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და 05.36.24.091 საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ქონე-

ბაზე სს „...“ სასარგებლოდ იპოთეკის უფლების რეგისტრაციის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 05.03.2015წ. №...-03 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნები). ამასთან, სააპელაციო წესით საქმის განხილვისას, საქმეში ასკ-ის 16.1 მუხლის შესაბამისად, მესამე პირად ჩაერთო სს „...“, ხოლო მონინააღმდეგე მხარე (მესამე პირი) ბ. ბ-ი დასახელებულ იქნა მოპასუხედ.

03.04.2017წ. მ. ც-ის წარმომადგენლებმა განცხადებით მიმართეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება კერძოდ, მოპასუხებ. ბ-ის კუთვნილი მინის ნაკვეთების (მდებარე ქ.ბათუმში, ... დასახლებაში, ს/კ ..., ფართობი 19 518 კვ.მ. და ქ.ბათუმში, ... დასახლებაში, ს/კ ..., ფართობი 15 482 კვ.მ.) დაყადალება და მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსათვის ნებისმიერი ტრანზაქციის აკრძალვა მოპასუხებ. ბ-ის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთებზე (მდებარე ქ.ბათუმში, ... დასახლებაში, ს/კ ..., ფართობი 19 518 კვ.მ. და ქ.ბათუმში, ... დასახლებაში, ს/კ ..., ფართობი 15 482 კვ.მ.).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.04.2017წ. განჩინებით მ. ც-ის წარმომადგენლების განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ დაყადალება დაედო ბ. ბ-ის (პ/ნ №...) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი ..., ქალაქი ბათუმი, ... დასახლება, მახასიათებლები: ზონა ბათუმი ..., სექტორი ..., კვარტალი ..., ნაკვეთი ..., ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება: არსასაოფლო-სამეურნეო, დაზუსტებელი ფართობი: 19 518.00 კვ.მ., ნაკვეთის ნინა ნომერი ..., განაცხადის №..., 23.07.2013წ.) სარეგისტრაციოდ წარდგენილი უძრავი ქონების ზედდების (922.8 კვ.მ.) ნაწილში. სხვა ნაწილში (ბ. ბ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (ს/კ ..., მისამართი - ქალაქი ბათუმი, ... დასახლება, დაზუსტებელი ფართობი: 15 482.00 კვ.მ., ნაკვეთის ნინა ნომერი ...) ყადაღის დადებისა და მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ბ. ბ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (ს/კ ..., ფართობი 19 518 კვ.მ.; ს/კ ..., ფართობი 15 482 კვ.მ.) ნებისმიერი ტრანზაქციის აკრძალვის შესახებ განცხადება არ დაკმაყოფილდა.

18.04.2017წ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა ბ. ბ-ის წარმომადგენელმა 6. მ-ემ და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.04.2017წ. განჩინების ნაწილობრივ გაუქმება მოითხოვა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.04.2017წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა

მ. ც-ის მოთხოვნა ბ. ბ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (ს/კ ...., დაზუსტებული ფართობი 19 518.00 კვ.მ.) სარეგისტრაციოდ წარდგენილი უძრავი ქონების ზედდების (922.8 კვ.მ.) ნაწილში ყადაღის გამოყენების თაობაზე, დაუსაბუთებელია როგორც სამართლებრივად, ისე ფაქტობრივად. აპელანტის მხრიდან, სასამართლო დავის ფარგლებში, არცერთი ინსტანციის სასამართლოში არ ჰქონია ადგილი როგორც ასკ-ით, ისე სსკ-ით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნას, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მათსავე გამოუყენებელ უფლებაზე აპელირება იმგვარად, რომ თითქოს ბ. ბ-ის ინტერესს წარმოადგენდა სხვა ტრანზაქციების შესრულება კეთილსინდისიერი შემძების სტატუსის შესაქმნელად, სრულიად დაუსაბუთებელი და შეუსაბამო ფაქტია. ბ. ბ-ის მიერ დადებული სამოქალაქო გარიგება იმთავით ვე დაცულია კეთილსინდისიერი შემძების სტატუსით, მის მიერ გადახდილია ნასყიდობის საფასური და კანონის მოთხოვნები დაცულია სრულად. შესაბამისად, მხარის ინტერესში არ შედის სხვა რაიმე თვალმაქცური ტრანზაქციის შესრულება ნამდვილი უფლების დასაცავად. საჩივრის ავტორის მითითებით, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა სამართლებრივი და ფაქტობრივი მონაცემების ერთობლიობა. ბ. ბ-ის პროცესუალური უფლებები არაგონივრულად შეიზღუდა, აპელანტების მიერ მოთხოვნის იმგვარი ტრანსფორმირება მოხდა, რაც ზოგადად სცდება ასკ-ით გათვალისწინებულ ფარგლებს და მოცემულ დავაში სრულად შემოდის დავის სამოქალაქო ელემენტები, მათ შორის სამოქალაქო გარიგების საფუძველზე დადებული ხელშეკრულების საგანთან მიმართებით, რაც სრულიად ლაბავს მხარის პროცესუალურ უფლებებს. სააპელაციო სასამართლო მსჯელობს მოთხოვნის იმ ფარგლებში, რაზედაც საერთოდ არ უმსჯელია არც პირველი ინსტანციის, არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლოებს. აპელანტი მხარისათვის უფლების ამგვარად გაფართოებით ილახება მეორე მხარის ინტერესი, რაც ერთგვარად დისპოზიციურობის პრინციპსაც ერინააღმდეგება და სცდება ოფიციალობის პრონციპს. უზენაესმა სასამართლომ ცალსახად განმარტა, რომ „კეთილსინდისიერი შემძების ინსტიტუტი კანონიერი ნდობის პრინციპს ეფუძნება და გარკვეულწილად ზღუდავს აღმჭურველი აქტის ბათილად ცნობის გამოცხადებას“. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ არამართებულად მოხდა ზოგადად მხარის პროცესუალური სტატუსის შეცვლა და განხორციელდა მატერიალური არსით, სამოქალაქო მოთხოვნით სააპელაციო მოთხოვნის გაზრდა, შედეგად უფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა უზრუნველყოფის გამოყენებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 23.05.2017წ. განჩინებით

ბ. ბ-ის წარმომადგენლის 6. მ-ის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.04.2017წ. განჩინებაზე, როგორც დაუსაბუთებელი, საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ბ-ის წარმომადგენლის 6. მ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 191-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოსთვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადებით მიმართვის უფლება და განსაზღვრულია ამ უფლების რეალიზაციის წესი. კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად.

განსახილველ შემთხვევაში 03.04.2017წ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი განცხადებით მ. ც-ის წარმომადგენლები ითხოვდნენ მოპასუხე ბ. ბ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთების (მდებარე ქ.ბათუმში, ... დასახლებაში, ს/კ ..., ფართობი 19 518 კვ.მ. და ქ.ბათუმში, ... დასახლებაში, ს/კ ..., ფართობი 15 482 კვ.მ.) დაყადალებას და მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ საკენტროსათვის ნებისმიერი ტრნზაქციის აკრძალვას მოპასუხე ბ. ბ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (მდებარე ქ.ბათუმში, ... დასახლებაში, ს/კ ..., ფართობი 19 518 კვ.მ. და ქ.ბათუმში, ... დასახლებაში, ს/კ ..., ფართობი 15 482 კვ.მ.). განმცხადებლების მითითებით, სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე საქმის განხილვამ აჩვენა, რომ ბ. ბ-ის წარმომადგენლების შეთავაზება მორიგების თაობაზე (რაც კონკრეტული შეთავაზების განხორციელებით არ დასრულებულა), ძირითადად მიმართული იყო დროის გაჭინურებისაკენ, იმისათვის, რომ თვალმაქცურად მიღებული ქონებით ბ. ბ-ს მიეღო სარგებელი და მ. ც-ის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვე-

ტილება დარჩენილიყო აღუსრულებელი. აღნიშნული გარემოების არსებობას ადასტურებს ის, რომ ბ. ბ-მა სადავო უძრავი ქონება შეძენის საფასურად მითითებულ ღირებულებაზე ორჯერ მეტად (5. 000 000 აშშ დოლარად) 05.03.2015წ. დატვირთა იპოთეკით და მიიღო სარგებელი 3 500 000 აშშ დოლარის სახით. ამასთან, ბ. ბ-მა იპოთეკის ხელშეკრულებაში განაცხადა, რომ მის საკუთრებასთან დაკავშირებით არანაირი დავა არ მიმდინარეობდა. განმცხადებლების მითითებით, საქმისათვის მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მოთხოვნა იპოთეკის რეგისტრაციის კანონიერების თაობაზე, 2017 წლის 31 მარტიდან ასევე წარმოადგენს დავის საგანს, რაც მაღალი რისკის ქვეშ აყენებს როგორც გამსესხებლის (იპოთეკა-რის) მოთხოვნას, ისე მსესხებლის – ბ. ბ-ის გარანტიებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, არსებობს იმის მაღალი ალბათობა, რომ ბ. ბ-მა, კიდევ ერთხელ, კეთილსინდისიერი შემძენის შესაქმნელად გაასხიეოს სადავო ქონება (მათ შორის, ქონებაში მოქცეული მ. ც-ის ნაწილი) მესამე პირზე, რაც სამომავლოდ რისკის ქვეშ დააყე-ნებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. სარჩელის უზრუნველყოფა მთლიანად მოტივირებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფით, სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსალოდნელი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობით, მისი გარდაუვალობით. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ მართებულად დაკმაყოფილდა მ. ც-ის წარმომადგენელთა შუამდგომლობა ბ. ბ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი ..., ქალაქი ბათუმი, ... დასახლება, მასასიათებლები: ზონა ბათუმი ..., სექტორი ..., კვარტალი ..., ნაკვეთი ..., ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებელი ფართობი: 19 518.00 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი ..., განაცხადის №..., 23.07.2013წ.) სარეგისტრაციოდ წარდგენილი უძრავი ქონების ზედდების (922.8 კვ.მ.) ნაწილში ყადაღის დადების შესახებ, რადგან ყადაღის არსებობის პირობებში მოპასუხეს ერთმევა შესაძლებლობა გასხვისოს ან უფლებრივად დატვირთოს ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც შესაძლოა მოსარჩელის უფლებების არსებობა დადგინდეს. აღნიშნული უძრავი ქონების გასხვისების

შემთხვევაში სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება მნიშვნელოვნად გართულდება ან შეუძლებელი გახდება კეთილსინდისიერი შემძენის უფლებების დაცვის საჭიროების გათვალისწინებით. შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დაუსაბუთებლად, შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების გარეშე განხორციელდა. საკასაციო პალატა მიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების პირობა, ასევე არსებობს გარემობები, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ მოთხოვნის უფლების გამოყენების შესაძლებლობა შეზღუდული არ არის საქმის განხილვის ეტაპით, მეტიც, გადაუდებელ შემთხვევაში, შესაბამისი შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას კანონი ითვალისწინებს სარჩელის აღძრვამდეც (სსკ-ის 192.2 მუხლი). უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზნად ისახავს სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის ან აღსრულების გაძნელების რისკების მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველყოფას. რისკი არის მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის ნიშნებს, იგი ჯერ არ არის რეალიზებული, თუმცა შესაძლოა მომავალში განხორციელდეს. ამრიგად, უსაფუძვლოა საჩივრის ავტორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ რამდენადც აპელანტს არცერთი ინსტანციის სასამართლოში არ მოუთხოვია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, დაუსაბუთებლია გამოყენებელ უფლებაზე აპელირება და შეუსაბამოა ვარაუდთან, რომ ბ. ბის ინტერესს წარმოადგენს სხვა ტრანზაქციების შესრულება კეთილსინდისიერი შემძენის სტატუსის შესაქმნელად.

საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი კანონიერი ნდობის პრინციპს ეფუძნება და გარკვეულ-წილად ზღუდვას აღმჭურველი აქტის ბათილად ცნობის შესაძლებლობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სკ-ის 312-ე მუხლითა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლით განმტკიცებული საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმაცია, როგორც ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელოვანი გამოვლენება, სერიოზულ გარანტიას ქმნის კეთილსინდისიერი შემძენის უფლების დაცვისათვის, პრეზუმაცია ემსახურება კეთილსინდისიერი პირის ინტერესების დაცვას იმ შემთხვევაში, როდესაც ჩანაწერის მიმართ არ არის შეტანილი საჩივარი ან მესამე პირს არ აქვს ინფორ-

მაცია ჩანაწერის ხარვეზის შესახებ. ამდენად, მართებულია მ. ც-ის მოსაზრება, სადაც ნაკვეთის გასხვისებისა და კეთილსინდისიერი შემძენის არსებობის შემთხვევაში, განსახივლელი დავის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან მწინა- ვნელოვნად გართულების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევა-ში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების არგუმენ-ტად ასევე ვერ იქნება გამოყენებული საჩივრის ავტორის მიერ მი-თითებული გარემოება, რომ საქმის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზე არამართებულად მოხდა მხარის პროცესუალური სტატუ-სის შეცვლა და განხორციელდა სამოქალაქო მოთხოვნით სააპე-ლაციო მოთხოვნის გაზრდა, სააპელაციო სასამართლომ დაუშვა მოთხოვნის იმ ფარგლებში მსჯელობა, რაზედაც არ უმსჯელიათ არც პირველი, არც სააპელაციო და არც საკასაციო ინსტანციის სა-სამართლოებს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილ-ველი დავის საგანია სააპელაციო პალატის მიერ სარჩელის უზრუნ-ველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერება და არა მოსარჩელის მიერ მოთხოვნათა დაზუსტების კანონშესაბამისო-ბა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პ. პ-ის საკუთრებაში არსე-ბულ უძრავ ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენე-ბის შესაძლებლობა იარსებებდა მოთხოვნათა დაუზუსტებლობის პირობებშიც, ხოლო ის გარემოება, თუ რამდენად სწორედ მოხდა მხარის საპროცესო სტატუსის შეცვლა და რამდენად სწორად და-უშვა სააპელაციო სასამართლომ დაზუსტებული მოთხოვნები გან-სახილვითად, სკოლდება განსახილვითი საკითხების ფარგლებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

## სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-  
მინისტრუმენტის საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-  
წილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით და

ନୀତିବିଜ୍ଞାନ

1. ბ. ბ-ის წარმომადგენლის ნ. მ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილ-დეს;
  2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ად-მინისტრაციულ სჯემეთა პალატის 04.04.2017წ. განჩინება;
  3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-რდება

## დოკუმენტი განჩინება როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებება

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-1562(უს-18)

9 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
3. როინიშვილი

**დავის საგანი:** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გა-  
უქმების კანონიერება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2017 წლის 21 ივნისს შ. ჩ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა  
ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-  
ლეგიას, მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული საა-  
გენტოს, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, სა-  
ქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო-  
სა და შპს „...ის“ მიმართ.

მოსარჩელებ მოითხოვა ქ. ბათუმში, ... მდებარე 633.00 კვ.მ მი-  
ნის ნაკვეთსა (ს/კ: ...) და 262.00 კვ.მ მინის ნაკვეთზე (ს/კ: ...) მიტო-  
ვების საფუძვლით სახელმწიფოს საკუთრების უფლების აღრიც-  
ხვის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 12.02.2010  
წლის №... და 12.02.2010 წლის №... გადახუცეტილებების ბათილად  
ცნობა, ქ. ბათუმში, ... მდებარე 633.00 კვ.მ (ს/კ: ...) და 262.00 კვ.მ  
მინის ნაკვეთის (ს/კ: ...) სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაციის  
შესახებ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2010  
წლის 12 თებერვლის №01-22/598 და 2010 წლის 12 თებერვლის №01-  
22/599 მიმართვების ბათილად ცნობა, აჭარის ავტონომიური რეს-  
პუბლიკის საკუთრებაში გადაცემის ნაწილში საქართველოს ეკო-  
ნომიკური განვითარების სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის და-  
დებული 2010 წლის 23 დეკემბრის ხელშეკრულების ბათილად გა-  
მოცხადება, ... მდებარე 633.00 კვ.მ (ს/კ: ...) და 262.00 კვ.მ მინის  
ნაკვეთის (ს/კ: ...) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრე-  
ბაში აღრიცხვის ნაწილში, ასევე აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონო-  
მიკის სამინისტროსა და შპს „...“ შორის გაფორმებული ნასყიდო-

ბის ხელშეკრულების ბათილად ცნობა ... მდებარე 633.00 კვ.მ (ს/კ: ...) მიწის ნაკვეთისა და 262.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: ...) ნაწილში და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დავალდებულება ქ. ბათუმში, ... მდებარე 633.00 კვ.მ (ს/კ: ...) მიწის ნაკვეთისა და 262.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: ...) შ. ჩ-ას საკუთრების უფლების აღდგენის შესახებ.

ამასთან, მოსარჩელემ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველ ნაწილსა და ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითებით, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შპს „...ისათვის“ ქ. ბათუმში, ... მდებარე 2500,00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ ...) გასხვისებისა და უფლებრივი დატვირთვის აკრძალვის თაობაზე იშუამდგომლა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 22 ივნისის განჩინებით შ. ჩ-ას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძღლობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 22 ივნისის განჩინებაზე საჩივარი წარადგინა შ. ჩ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 7 ივლისის განჩინებით შ. ჩ-ას საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 22 ივნისის განჩინების გაუქმების თაობაზე, მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და საჩივარი გადაეგზავნა ქუთაისის სააპელაციოს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 სექტემბრის განჩინებით შ. ჩ-ას საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 22 ივნისის განჩინება; შ. ჩ-ას შუამდგომლობა, შპს „...ისათვის“ ქ. ბათუმში, ... მდებარე 2500,00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: ...) გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვის შესახებ, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შპს „...ს“ (ს/კ: ...) აეკრძალა ქ. ბათუმში, ... მდებარე 2500,00 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: ...) 633.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (წინა ს/კ: ...) და 262.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (წინა ს/კ: ...) გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“

ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს: ყადაღის დადება მოპასუხის კუთვნილ ქონებაზე; მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა. 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკითხს იმის შესახებ თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. იმავე მუხლის მე-3 ნაწილით, სასამართლოს შეუძლია გამოიყონს სსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„ი“ პუნქტებში ჩამოთვლილი გარდა, სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით შ. ჩ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩინორა შ. ჩ-ამ, რომელმაც გასაჩინორებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

შპს „...ის“ დირექტორმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რომელითაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით შ. ჩ-ასთვის სასამართლოს სადეპოზიტო ონგარიშზე მოსალოდნებლი ზარალის ანაზღაურების მიზნით დეპოზიტზე 280 443,99 ლარის განთავსების დავალება მოითხოვა, იმ მოტივით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ზიანის მომტანია კომპანიისთვის და სასამართლოს უნდა მოეხდინა სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 სექტემბრის განჩინებით შპს „...ის“ განცხადება დაკმაყოფილდა; შ. ჩ-ას დაევალა, სარჩელის უზრუნველყოფის გამო, შპს „...ისათვის“ მოსალოდნებლი ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ონგარიშზე სს „... ბანკში“ (ანგარიშზე: GE...) 280 443 (ორასოთხმოციათას ოთხას ორმოცდასამი) ლარის შეტანა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში და 05 დღის ვადაში თანხის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში; შ. ჩ-ას განემარტა (წარმომადგენელი ი. ს-ე), რომ განჩინებით დადგენილ ვადაში თანხის სადეპოზიტო ონგარიშზე გადაუცდელობისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსათვის თანხის შეტანის დამადასტურებელი საბუთის წარუდგენლობის

შემთხვევაში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2017 წლის 20 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხება შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მონინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ვალდებულია უზრუნველყოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო დაუყოვნებლივ გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ, რომელიც ექვემდებარება საჩივრის ფორმით გასაჩივრებას. განჩინების გასაჩივრების ვადა 5 დღეა. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის თანახმად, თუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეს დაეკისრა იმ ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება განიცადოს მონინააღმდეგ მხარემ შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულებით, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, მან ასეთი უზრუნველყოფა უნდა განახორციელოს ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების დადებით, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მისაღებია გარანტიის უზრუნველსაყოფად.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 20 სექტემბრის განჩინებით დააქმაყოფილა შ. ჩ-ას წარმომადგენლის საჩივარი, ვინაიდან მიიჩნია, რომ მხარის მიერ წარმოდგენილი იყო დასაბუთებული განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოსაყენებლად, თუმცა, პალატამ მიიჩნია, რომ შპს „...ის“ განცხადება მოსალოდნელი ზიანის თაობაზე, საფუძვლიანი იყო და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის გათ-

ვალისწინებით, შ. ჩ-ას 15 დღის ვადაში უნდა განეხორციელებინა მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენებით შპს „...ი“ ვერ ასრულებს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ასევე, დაინტერესებული პირები უარს აცხადებენ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეძენაზე. რამდენიმე პირის მიერ კი შეწყვეტილ იქნა დადებული ხელშეკრულება.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ შპს „...ის“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის სავარაუდო და რეალური ზიანის განსაზღვისას იხელმძღვანელა განმცხადებლის მიერ ნარდგენილი შპს „D...ის“ 2018 წლის 20 ივნისის დასკვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 სექტემბრის განჩინება, რომლითაც შ. ჩ-ას შუამდგომლობა შპს „...ისათვის“ ქ.ბათუმში, ... მდებარე 2500,00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: ...) გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვის შესახებ დაკმაყოფილდა ნანილობრივ და შპს „...ს“ (ს/კ: ...) აეკრძალა ქ.ბათუმში, ... მდებარე 2500,00 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: ...) 633.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (წინა ს/კ: ...) და 262.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (წინა ს/კ: ...) გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შ. ჩ-ას (წარმომადგენელი ი. ს-ე) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 სექტემბრის განჩინებით დადგენილ ვადაში, 2018 წლის 19 ოქტომბრის მდგომარეობით, არ ნარუდგენია სარჩელის უზრუნველყოფის გამო, შპს „...ისათვის“ მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე სს „.... ბანკში“ (ანგარიშზე: GE...) 280 443 (ორასოთხმოციათას ოთხას ორმოცდასამი) ლარის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 სექტემბრის განჩინების გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ოქტომბრის განჩინებაზე საჩივარი

წარადგინა შ. ჩ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შპს „...ის“ განცხადებაზე უარი თქმა და შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 სექტემბრის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

საჩივრის ავტორის მითითებით, შ. ჩ-ამ ორივე მინის ნაკვეთი შეიძინა 114 800 ლარად. შპს „...ის“ განცხადების საფუძველზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 18 სექტემბრის განჩინებით შ. ჩ-ას დაევალა მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების მიზნით 280 443 ლარის სასამართლოს დეპოზიტზე შეტანა, რაც შეუსაბამო თანხა იმ მინის ნაკვეთების ღირებულების, რომლებიც შ. ჩ-ამ ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედების შედეგად დაკარგა. სასამართლოს მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების თანხა გაცილებით აღემატება იმ სიკეთეს, რომლის დასაბრუნებლადაც ალიძრა სარჩელი. შ. ჩ-ა არის ფიზიკური პირი, რომელსაც არ აქვა საშუალება მოეხდინა სასამართლოს მიერ მოთხოვნილი თანხის დეპოზიტზე განთავსება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებით კი შპს „...ის“ გაასხვისებს მინის ნაკვეთს, რაც შეუძლებელს გახდის წარმეტების საკუთრების დაბრუნებას.

საჩივრის ავტორის განმარტებით, შპს „...მა“ ბათუმში, ... მდებარე 2500 კვ.მ მინის ნაკვეთი პირდაპირი მიყიდვის ფორმით 1 (ერთი) ლარად შეიძინა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსაგან. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – მინის ნაკვეთის გასხვისება და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვა, არანაირად არ ზღუდავდა შპს „...ის“ მიერ ნაკისრი ვალდებულების ანუ სასტუმროს მშენებლობის განხორციელებას. შპს „...ის“ განცხადებაზე დართული წერილებით დასტურდება, რომ სამინისტრო აკონტროლებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას ანუ სასტუმროს მშენებლობის დაწყებას და მის მიმდინარეობას. წერილები არ შეიცავს მითითებას საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე. შპს „...ის“ განცხადება, რომ მას ადგება ზიანი საცხოვრებელი ბინების გაუსხვისებლობით, არ დასტურდება საქმის მასალებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 14 ნოემბრის განჩინებით შ. ჩ-ას წარმომადგენლის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 სექტემბრის და 2018 წლის 19 ოქტომბრის განჩინებზე, საქმის მასალებთან ერთად, გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. ჩ-ას საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტავს, რომ თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართლა-ნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

წარმოდგენილი სარჩელის ფარგლებში დავის საგანია ქ. ბათუმში, ... მდებარე 633.00 კვ.მ მინის ნაკვეთსა (ს/კ: ...) და 262.00 კვ.მ მინის ნაკვეთზე (ს/კ: ...) მიტოვების საფუძვლით სახელმწიფოს საკუთრების უფლების აღრიცხვებს შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 12.02.2010 წლის №... და 12.02.2010 წლის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, ქ. ბათუმში, ... მდებარე 633.00 კვ.მ (ს/კ: ...) და 262.00 კვ.მ მინის ნაკვეთის (ს/კ: ...) სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაციის შესახებ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2010 წლის 12 თებერვლის №01-22/598 და 2010 წლის 12 თებერვლის №01-22/599 მიმართვების ბათილად ცნობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის ნაწილში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის დადებული 2010 წლის 23 დეკემბრის ხელშეკრულების ბათილად გამოცხადება, ... მდებარე 633.00 კვ.მ (ს/კ: ...) და 262.00 კვ.მ მინის ნაკვეთის (ს/კ: ...) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში აღრიცხვის ნაწილში, ასევე აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „...ს“ შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა ... მდებარე 633.00 კვ.მ (ს/კ: ...) მინის ნაკვეთისა და 262.00 კვ.მ მინის ნაკვეთის (ს/კ: ...) ნაწილში და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დაგალდებულება ქ. ბათუმში, ... მდებარე 633.00 კვ.მ (ს/კ: ...) მინის ნაკვეთსა და 262.00 კვ.მ მინის ნაკვეთზე (ს/კ: ...) შ. ჩ-ას საკუთრების უფლების აღდგენის შესახებ.

ამასთან, მოსარჩელემ წარმოდგენილი სარჩელით საქართვე-

ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველ ნაწილსა და ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითებით, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შპს „...ისათვის“ ქ. ბათუმში, ... მდებარე 2500,00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ ...) გასხვისებისა და უფლებრივი დატვირთვის აკრძალვის თაობაზე იშუამდგომლა.

საბოლოოდ, შ. ჩ-ას საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 სექტემბრის განჩინებით, რომლითაც გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 22 ივნისის განჩინება და შ. ჩ-ას შუამდგომლობა, შპს „...ისათვის“ ქ.ბათუმში, ... მდებარე 2500,00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: ...) გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვის შესახებ, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შპს „...ს“ (ს/კ: ...) აეკრძალა ქ.ბათუმში, ... მდებარე 2500,00 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: ...) 633.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (წინა ს/კ: ...) და 262.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (წინა ს/კ: ...) გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

ამასთან, მოპასუხე - შპს „მა“ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლზე მითითებით, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების მიზნით, შ. ჩ-ასთვის სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე 280 443,99 ლარის განთავსების დავალება მოითხოვა, რაც დაკმაყოფილდა კიდევაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 სექტემბრის განჩინებით და შ. ჩ-ას დაევალა, სარჩელის უზრუნველყოფის გამო, მპს „...ისათვის“ მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე სს „... ბანკში“ (ანგარიშზე: GE...) 280 443 (ორასოთხმოციათას ოთხას ორმოცდასამი) ლარის შეტანა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში და 05 დღის ვადაში თანხის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში; შ. ჩ-ას განემარტა (წარმომადგენელი ი. ს-ე), რომ განჩინებით დადგენილ ვადაში თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე გადაუზდელობისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსათვის თანხის შეტანის დამადასტურებელი საბუთის წარუდგენლობის შემთხვევაში, ქუთაისის საპპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2017 წლის 20 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ლონისძიება გაუქმდებოდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ოქტომ-

ბრის განჩინებით კი გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 სექტემბრის განჩინება, რომლითაც შ. ჩ-ას შუამდგომლობა შპს „...ისათვის“ ქ.ბათუმში, ... მდებარე 2500,00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: ...) გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვის შესახებ და კმაყოფილდა ნაწილობრივ და შპს „...ს“ (ს/კ: ...) აეკრძალა ქ.ბათუმში, ... მდებარე 2500,00 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: ...) 633.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (წინა ს/კ: ...) და 262.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (წინა ს/კ: ...) გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ოქტომბრის განჩინებაზე საჩივარი წარადგინა შ. ჩ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შპს „...ის“ განცხადებაზე უარი თქმა და შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 სექტემბრის განჩინების გაუქმება მოითხოვა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 14 ნოემბრის განჩინებით კი შ. ჩ-ას წარმომადგენლის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 სექტემბრის და 2018 წლის 19 ოქტომბრის განჩინებაზე, საქმის მასალებთან ერთად, გადმოიერგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

აღსანიშნავია, რომ როგორც მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე შუამდგომლობის დაყენებისას, ასევე სასამართლომ აღნიშნულ შუამდგომლობაზე მსჯელობისას იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სარჩელის უზრუნველყოფის მარეგულირებელი ნორმებით და გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. კერძოდ, წარდგენილი შუამდგომლობისა და მიღებული განჩინებისა სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლი. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას ეფუძნება ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის დავალება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სარჩელის უზრუნველყოფის სახეები ფართოდაა წარმოდგენილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, თუმცა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი თავად განსაზღვრავს უფლების წი-

ნასწარი დაცვის მექანიზმებს, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართლამოებაში უფლების დროებითი დაცვის სამართლებრივი საშუალებები ამავე კოდექსით განსაზღვრული სარჩელის სახეების მიხედვით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების დროებითი დაცვის ღონისძიება გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე, ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას წარმოადგენს, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება ყველა სხვა სახის სარჩელთან მიმართებაში. აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფას ემსახურება და მხარეთა შორის დავის დასრულებამდე ახდენს მოსარჩელის უფლებებისა და ინტერესების დროებით დაცვას და უზრუნველყოფს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების თავიდან აცილებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა თავად არეგულირებს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხს და ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ორ სახეობას, როგორიც არის გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი) და დროებითი განჩინების მიღება (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი).

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთიერებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნავს, რომ საკითხის მოწესრიგებისას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებების გამოყენების საჭიროება დგება მაშინ, როდესაც ამ საკითხის მარეგულირებელ შესაბამის ნორმებს არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

მოცემულ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მოსარჩელის მიერ შეამდგომლობის დაყენების მიზანს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობა წარმოადგენს. მოსარჩელის ინტერესია მოპასუხემ – შპს „...მა“ სადავო

ქონების გასხვისებით ხელი არ შეუშალოს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ალსრულებას და აზრი არ დაუკარგოს სასამართლო დავას; ხოლო შუამდგომლობის ფორმულირება მოსარჩელებ მოახდინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 198-ე მუხლებზე მითითებით და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შპს „...ისათვის“ ქ. ბათუმში, ... მდებარე 2500,00 კვ.მ მინის ნაკვეთის (ს/კ ...) გასხვისებისა და უფლებრივი დატვირთვის აკრძალვის თაობაზე იშუამდგომლა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მიერ აღნიშნული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას ქმნის ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმები. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შპს „...ის“ სახელზე რიცხული სადაც ქონების გასხვისებისა და უფლებრივი დატვირთვის აკრძალვის თაობაზე, თავისი შინაარსით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით განსაზღვრულ უზრუნველყოფის ღონისძიებას მიეკუთვნება, ვინაიდან, დროებითი განჩინების, როგორც უფლებრივი დაცვის დროებითი საშუალების მიზანი – დავის საგანზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაა.

დროებითი განჩინება (სასკ-ის 31-ე მუხლი) წარმოადგენს უფლების წინასწარი დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს. როდესაც საქმე ეხება მოსალოდნელ მმართველობით ღონისძიებას – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ან მოქმედების განხორციელებას ან განხორციელებისაგან თავის შეკავებას – და აქედან გამომდინარე პირის უფლებების მოსალოდნელ შეზღუდვას, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია პირის უფლების პრევენციული დაცვის მექანიზმი, რომელიც განისაზღვრა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, განცხადების საფუძველზე სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშეგებია ასევე სადაც სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირ-

ველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლების გამო.

ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის შინაარსი სწორედ მის პრევენციულ ბუნებაზე მიუთითებს და ითვალისწინებს ასევე იმ შემთხვევას, როდესაც მოსარჩელის ინტერესს არსებული მდგომარეობის შენარჩუნება წარმოადგენს, რათა ხელი არ შეეშალოს საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას.

ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა, ეს უფლება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლითაა გარანტირებული. მაგრამ სასამართლოში სარჩელის განხილვას გარკვეული დრო სჭირდება, რამაც უფლების წინასწარი დაცვის, სარჩელის უზრუნველყოფის არარსებობის შემთხვევაში, შეიძლება გაართულოს ან შეუძლებელიც კი გახადოს გადაზისვეტილების აღსრულება, აქედან გამოიმდინარე ირლვევა მხარის უფლებები და იგი ვეღარ ახდენს მათ რეალიზაციას. აუცილებელია უფლების ეფექტური დაცვა. უფლების ეფექტური დაცვა გულისხმობს, როგორც რეპრესიულ დაცვას, ანუ დარღვეული უფლების აღდგენას, ასევე დროებით დაცვას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პირის დაცვა. დროებითი დაცვა გულისხმობს უფლების პრევენციულ დაცვასაც ანუ მოსალოდნელი ღონისძიებების შედეგების თავიდან აცილებას.

განსახილველ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის ქმედით ღონისძიებას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული პრევენციული დაცვის მექანიზმი წარმოადგენს, ვინაიდან სასე-ის 31-ე მუხლით დადგენილი უფლების დროებითი დაცვის საშუალებით შესაძლებელი ხდება არსებული მდგომარეობის შენარჩუნება, რომლის მიზანია დაიცვას პირი მმართველობის ღონისძიებების შედეგებისაგან დავის საგანზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებამდე.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მართალია მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე და შუამდგომლობა ეფუძნებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით გათვალისწინებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუმცა შუამდგომლობით დაყენებული მოთხოვნა თავისი შინაარსით ასევე ექცევა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის მოქმედების სფეროში. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული სარ-

ჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, მიმართული მოცემული სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში მოპასუხის – საჯარო რეესტრის მიმართ, სარეგისტრაციო სამსახურისათვის შპს „...ის“ სახელზე რიცხული სადავო ქონების გასხვისებისა და უფლებრივი დატვირთვის აკრძალვის თაობაზე, უზრუნველყოფს შუამდგომ-ლობის ავტორის მიერ დაყენებული მოთხოვნის მიზნის მიღწევას. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხ-ლის პირველი და მე-2 ნაწილების მიხედვით, საჯარო-სამართლებ-რივი შეზღუდვის რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქო-ნებრივ სიკეთეზე სასამართლო ან სხვა ადმინისტრაციული ორგა-ნოების მიერ კანონით დადგენილი წესით დადებული ყადაღის, უფ-ლების განკარგვის შეზღუდვისა და აკრძალვის, აგრეთვე რეგის-ტრაციის აკრძალვის ნარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწ-ყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. ნივთსა და არამატერი-ალურ ქონებრივ სიკეთეზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაცია გამორიცხავს ამ ნივთსა და არამატერიალურ ქონებ-რივ სიკეთეზე რამებ სხვა უფლების/გაღდებულების ან საკუთრე-ბის უფლების მიტოვების რეგისტრაციას, თუ შესაბამისი სარეგის-ტრაციო დოკუმენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციული საპრო-ცესო კოდექსის 31-ე მუხლით განსაზღვრული დროებითი განჩი-ნების ინსტიტუტი უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას, ასეთ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს დაუშვებლად მიაჩნია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის გამოყენება მოპასუხისათვის გარკვეული ქმედების აკ-რძალვის დავალების თაობაზე, მით უფრო იმის გათვალისწინებით, როდესაც სამოქალაქო საპროცესო ნორმების გამოყენება მეტ ტვირთს აკისრებს მხარეს და ქმნის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესაძლებლობას. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე და 31-ე მუხლებში რეგლამენტირებულია როგორც ის პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც სასამართლო უფლებამოსი-ლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, ასევე მოცემულია ყველა ის სამართლებრივი რეგულაცია, რომელიც უკავშირდება სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას. მითითებული ნორმები კი არ უშვებს უზრუნველყო-ფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მოსარჩელისთვის მოსა-ლოდნელი ზარალის ანაზღაურების დავალების შესაძლებლობას. ადმინისტრაციული სამართლწარმოება არ იცნობს უზრუნველყო-ფის გარანტიის ინსტიტუტს.

როდესაც ესა თუ ის საკითხი ადმინისტრაციული საპროცესო კო-

დექსით არ არის მოწესრიგებული, იგი შეიძლება გადაწყდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით, თუმცა, აუცილებლად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი საერთოდ არ იცნობს მოსალოდნებლი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში აღნიშნული ღონისძიების გამოყენება დაუშვებელია. ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე და 199-ე მუხლებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სახეზე გვაქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი აწესრიგებს სასამართლო განსჯადობის საკითხს დროებითი განჩინების მიღების კუთხით. მითითებული ნორმის თანახმად, დროებით განჩინებას იღებს საქმის განმხილველი სასამართლო. ასეთ სასამართლოს ნარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლო, ხოლო როდესაც დავა იხილება სააპელაციო ინსტანციაში – სააპელაციო სასამართლო. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს დროებითი განჩინების გამოყენების თაობაზე, რის გამოც საკითხი ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც უნდა გამოიყენოს მისთვის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება (კანონის ანალოგია) და საჩივრის ავტორს მისცეს შუამდგომლობის სწორად ფორმულირების შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, თუმცა არ არის შეზღუდული სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით და შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. მოსამართლე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას – მიზანშეწონილი და შესაძლებელია თუ არა სარჩელის ტრანსფორმირება. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული სასამართლოს უფლებამოსილება, თავისა შინაარსის გათვალისწინებით, უნდა გავრცელდეს მხარის მიერ წარმოდგნილ შუამდგომლობაზეც (კანონის ანალოგია).

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მაშინ როდესაც მხარე პროცესუალურად სწორად ვერ აყალიბებს თავის მოთხოვნას პროცესის დისპოზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, მოსამართლემ სწორად უნდა დაადგინოს მოსარჩელის იურიდიული ინტე-

რესი – რა უფლების აღსადგენად მიმართა მან სასამართლოს და რა არის მისი საბოლოო ინტერესი. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, პროცესუალური უფლებები და მატერიალური მოთხოვნები არ უნდა იქნეს უარყოფილი მოსარჩელის გამოუცდელობის გამო, არამედ მოსამართლეს შეუძლია ხელი შეუწყოს მოთხოვნის სწორად ფორმულირებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელე შუამდგომლობის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას მიუთითებდა წარდგენილი შუამდგომლობის მიზანზე, რომლის მიღწევის შესაძლებლობასაც განსაზღვრავს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, იმ განსხვავებით, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უზრუნველყოფის გარანტის გამოყენების მექანიზმს. ამდენად, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მოსარჩელის მოთხოვნის მიზანი, შუამდგომლობის შინაარსი, ის სამართლებრივი შედეგი, რისი დადგომაც სურდა მას, ასევე ის, რომ ეს შუამდგომლობა მიმართული იყოს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ და საპელაციო სასამართლოს, მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე (კანონის ანალოგია) მოსარჩელისათვის უნდა მიეცა შუამდგომლობის სწორად ფორმულირების შესაძლებლობა და შუამდგომლობის ფორმულირების დაზუსტების შემდგომ, ემსჯელა წარდგენილი შუამდგომლობის საფუძვლიანობაზე.

ამასთან, საპელაციო სასამართლოს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია იმსჯელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, თუ სასამართლოს მხრიდან შუამდგომლობის დაზუსტების შეთავაზების მიუხედავად, მოსარჩელე კვლავ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმებს დააფუძნებს წარდგენილ შუამდგომლობას და უარს იტყვის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს უფლებებში ეფექტურ აღდგენას. სასამართლო დაკვაუდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ პირის შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საპროცესო

ნორმების დარღვევასთან ერთად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების თანხა შეუსაბამოდ მაღალია და გაცილებით აღემატება იმ სიკეთეს, რომლის დასაბუნებლადაც აღიძრა სარჩელი. კერძოდ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ შ. ჩ-ამ ორივე მიწის ნაკვეთი შეიძინა 114 800 ლარად. შპს „...ს“ განცხადების საფუძველზე კი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 18 სექტემბრის განჩინებით შ. ჩ-ას დაევალა მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების მიზნით 280 443 ლარის სასამართლოს დეპოზიტზე შეტანა. ამასთან, შპს „...მა“ ბათუმში, ... მდებარე 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთი პირდაპირი მიყიდვის ფორმით 1 (ერთი) ლარად შეიძინა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსაგან.

მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისათვის ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 სექტემბრის განჩინებით შპს „...ს“ (ს/ქ: ...) აერძალა ქ.ბათუმში, ... მდებარე 2500,00 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/ქ: ...) 633.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (წინა ს/ქ: ...) და 262.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (წინა ს/ქ: ...) გასსვენდა და უფლებრივად დატვირთვა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს თავად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სამართლებრივ ბუნებაზე და განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი თავისი არსით წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მნიშვნელოვან სამართლებრივ საშუალებას, რომლის გამოყენებაც დაიშვება იმ მიზნით, რომ არ გაძნელდეს ან შეუძლებელი არ გახდეს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება; ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარმდგენი მოსარჩელის მიზანს, საბოლოო ჯამში, მოპასუნის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და მისი დაუბრკოლებელი აღსრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი მართლმაჯულების რეალურ განხორციელებას ემსახურება, რათა მართლმაჯულებას ფორმალური ხასიათი არ მიეცეს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გადაწყვეტილებით დადგენილი მართლწერიგის აღსრულების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

მხარეებ სარნმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეექმნას რჩმენა კონკრეტულ გარემოებათ საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტილისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნ-

რაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ლონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

ამასთან, სასამართლოს მხრიდან შეუსაბამოდ მაღალი უზრუნველყოფის გარანტის მოთხოვნით აზრი არ უნდა დაეკარგოს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნებს და შეუძლებელი არ უნდა გახდეს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება, რაც დაკავშირებულია მართლშაფულების რეალურ განხორციელებასთან.

ნარმოდგენილი სარჩელი ეხება საკუთრების უფლების დაუსაბუთებელ და უსაფუძვლო შელახვის ფაქტს. მოსარჩელის განმარტებით, მისი ნების სანინააღმდეგოდ ნაერთვა საკუთრების უფლება. შპს „...ის“ მიერ სადავო უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში კი, შეუძლებელი გახდება საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება. მოსარჩელის მითითებით, შპს „...ისა“ და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების თანახმად, შპს „...ი“ უფლებამოსილია მოახდინოს მიწის ნაკვეთის გასხვისება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა შუამდგრომლობის შედეგზე; სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ის შესაძლებლობები და მექანიზმები, რასაც მას კანონმდებლობა ანიჭებს. იგი ფორმალურად მიუდგა სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის განხილვას და დაეყრდნო შუამდგრომლობის ფორმულირებას, რის გამოც საფრთხე შეუქმნა ადმინისტრაციულ პროცესში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებს დაუცველობის პირობებში, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს განჩინება, ამასთან, უგულებელყოფილია მოსარჩელის ინტერესი, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინებების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შ. ჩ-ას საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, 2018 წლის 18 სექტემბრის, 2018 წლის 19 ოქტომბრისა და 2018 წლის 14 ნოემბრის განჩინებები და შპს „...ის“ განცხადება ხელახ-

ლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შ. ჩ-ას საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 სექტემბრის, 2018 წლის 19 ოქტომბრისა და 2018 წლის 14 ნოემბრის განჩინებები და შპს „...ის“ განცხადება ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასა-მართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-რდება.

### **აღსრულების შეჩერება როგორც სარჩევის უზრუნველყოფის ღონისძიება**

**განვითარება  
საქართველოს სახელით**

№პა-791-791(კ-18)

30 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

### **აღნერილობითი ნაწილი:**

გ. მ-მა 29.12.2015წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სა-  
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სსიპ საჯარო  
რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ სსიპ საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 30.07.2015წ. №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 03.08.2015წ. №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.03.2016წ. განჩინებით საქმეში სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ გ. ტ-ე, თ. მ-ი და ს. გ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.07.2016წ. გადაწყვეტილებით გ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნანილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 30.07.2015წ. №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება, არ დაკმაყოფილდა გ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 03.08.2015წ. №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნანილში. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა გ. მ-ისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.02.2018წ. გადაწყვეტილებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.07.2016წ. გადაწყვეტილება და გ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. მ-მა.

29.07.2019წ. საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა გ. მ-ის წარმომადგენელმა ს. ა-ემ და „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36.1. მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მოითხოვა 31.10.2018წ. გაცემული №2/22435-18 საალსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული NA19084095 იძულებით აღსრულების შეჩერება. განცხადებელმა აღნიშნა, რომ საალსრულებო ფურცელი გაცემულია 25.09.2010წ. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, რომელიც გამოტანილია გ. ტ-ის წინააღმდეგ, სადაც სამოქალაქო დავის საგანია თანხის დაკისრება და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია. ამდენად გ. მ-ის კუთვნილ უძრავ ქონებაზე, რომელიც კანონდარღვევით დარეგისტრირდა გ. ტ-ის სახელზე დაწყებულია საალსრულებო წარმოება კრედიტორის – ს. გ-ის სასარგებლოდ. უკეთუ მოხდება სადავო უძრავი ქონების რე-

ალიზაცია, ხოლო საკასაციო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული დავის ფარგლებში დაკმაყოფილდება გ. მ-ის მოთხოვნა და გაუქმდება სადავო უძრავ ქონებაზე გასაჩივრებული გადაწყვეტილებები (№...; №...), ხელი შეეძლება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, შუამ-დგომლობის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფას ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ამავე კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტის სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. განსახილველ შემთხვევაში გ. მ-ი ითხოვს აღსრულების შეჩერებას საქმის განხილვის დასრულებამდე იმ საფუძვლით, რომ არ მოხდეს სადავო ქონების რეალიზაცია.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფა მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. ამასთან, სწორედ მოსარჩელეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გა-

მოუყენებლობა გააძნელებს, ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას (სსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილი). სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს, ერთი მხრივ, სასამართლოს მიერ აღიარებული უფლების განხორციელების გარანტს, ხოლო, მეორე მხრივ, მონინააღმდეგე მხარის უფლების შეზღუდვის კანონიერ საფუძველს. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მსჯელობისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება დავის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადაწყვეტილების აღსრულება.

განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანია №... საკადასტრო კოდზე განხორციელებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 30.07.2015წ. №... გადაწყვეტილება გ. ტ-ეზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ და ამავე კოდზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 03.08.2015წ. №... გადაწყვეტილება ს. გ-ისა და თ. მ-ის სასამართლოდ იპოთეკის რეგისტრაციის შესახებ. აღნიშნულის პარალელურად კერძო აღმასრულებელ ე. ღ-ის სააღსრულებო წარმოებაშია №A19084095 სააღსრულებო საქმე, რომელშიც კრედიტორია – ს. გ-ე, ხოლო მოვალე – გ. ტ-ე, სააღსრულებო წარმოება დაწყებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 25.09.2018წ. დაუსწრებელი გადაწყვეტილების და ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად გაცემული 31.10.2018წ. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 25.09.2018წ. დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტით დავალაინების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა მოპასუხე გ. ტ-ის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება (ს/კ ...), მაშინ როდესაც ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს ამავე ქონების გ. ტ-ეზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის კანონიერება და შემდგომში გ. ტ-ესა და ს. გ-ეს შორის დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე სადაცო ქონებაზე განხორციელებული იპოთეკის უფლების რეგისტრაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საფუძვლიანია გ. მ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით №A19084095 სააღსრულებო წარმოების შეჩერების შესახებ, ვინაიდან სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული იპოთეკით დატვირთული უძ-

რავი ქონების სარეალიზაციოდ, ხოლო მოცემული ადმინისტრაციული დაცვის ფარგლებში გ. მ-ის მიერ სადაცოდაა გამხდარი ზემო-აღნიშნულ უძრავ ქონებაზე განხოციელებული საკუთრებისა და იპოთეკის რეგისტრაციები.

სარჩელის უზრუნველყოფა მთლიანად მოტივირებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფით, სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსალოდნელი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობით, მისი გარდაუვალობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. მ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონიძიების გამოყენების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა შეჩერდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის მიერ 31.10.2018წ. გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე (№2/22435-18) კერძო აღმასრულებელ ე. ღ-ის მიერ დაწყებული სააღსრულებო წარმოება (საქმე: №A19084095 (კრედიტორი: ს. გ-ე, მოვალე: გ. ტ-ე).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 198-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. მ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონიძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის მიერ 31.10.2018წ. გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე (№2/22435-18) კერძო აღმასრულებელ ე. ღ-ის მიერ დაწყებული სააღსრულებო წარმოება (საქმე: №A19084095, კრედიტორი: ს. გ-ე, მოვალე: გ. ტ-ე);

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მესამე პირის მიმართ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დაუშვებელობა

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-1126(უს-19)

24 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გა-  
მოყენება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ძ-მა 2018 წლის 6 აგვისტოს სარჩელი აღძრა გორის რაიონულ  
სასამართლოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და  
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რე-  
გიონული ოფისის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: 1. სარეგისტრა-  
ციონ წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული  
სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 2018 წლის 16 მაი-  
სის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; 2. სარეგისტრაციო  
წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული საა-  
გენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 2018 წლის 16 მაისის  
№... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; 3. ადმინისტრაციული სა-  
ჩივრის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეეს-  
ტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 9 ივლისის №... გადაწყვე-  
ტილების ბათილად ცნობა; 3. საჯარო რეესტრის ეროვნული საა-  
გენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის დავალდებულება, გა-  
მოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-  
ტი გორის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის №2/  
1889-17 განჩინების 1.2. პუნქტით განსაზღვრული, ბ. ძ-ის კუთვნი-  
ლი უძრავი ქონებების (საკადასტრო კოდები ... და ...) საკუთრების  
უფლებით ა. თ-ის სახელზე რეგისტრაციის შესახებ.

გორის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 18 სექტემბრის გან-  
ჩინებით საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო  
კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, სავალდებუ-  
ლო ნესით იქნა ჩაბმული მესამე პირად ა. თ-ი.

გორის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 10 აპრილის გადაწ-

ყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ბ. ძ-ის სარჩელი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 2018 წლის 16 მაისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; ბ. ძ-ის სარჩელი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 2018 წლის 16 მაისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; ბ. ძ-ის სარჩელი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 9 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; ბ. ძ-ის სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის დავალდებულების შესახებ, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გორის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის №2/1889-17 განჩინების 1.2. პუნქტით განსაზღვრული, ბ. ძ-ის კუთვნილი უძრავი ქონებების (საკადასტრო კოდები ... და ...) საკუთრების უფლებით ა. თ-ის სახელზე რეგისტრაციის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასჩივრა ბ. ძ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას 2019 წლის 3 ივლისს განცხადებით მიმართა მოსარჩელე ბ. ძ-მა და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს აეკრძალოს შპს „...ოს“ სასარგებლოდ შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებულ №A14085642 საქმეზე (კრედიტორი სს მისა „...ო“, მოგალეობი ბ. ძ-ი და ქ. ფ-ი) მისი კუთვნილი უძრავი ქონების ს/კ ... და ს/კ ... რეალიზაცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივლისის განჩინებით ბ. ძ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ბ. ძ-მა 2019 წლის 9 ივლისს საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. საჩივრის ავტორმა 2019 წლის 4 ივლისის განჩინების გაუქმება და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ განცხადებით მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიება იყო: სააპელაციო საჩივრის განხილვა-გადაწყვეტამდე და მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძა-

ლაში შესვლამდე აიკრძალოს შპს „...ოს“ სასარგებლოდ შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს ნარმობაში არსებულ A14085642 საქმეზე (კრედიტორი სს მისო „...ო“, მოვალეები ბ. ძ-ი და ქ. ფ-ი) უძრავი ქონების – ს/კ ... და ს/კ ... რეალიზაცია.

ნარმოდგენილი საჩივრით მოსარჩელე ყურადღებას ამახვილებს საჩივრის დაკამაყოფილების ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებზე, კერძოდ, როგორც თავად მიუთითებს, სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია, რამდენადაც მითითებული წილში კრძალავს მოპასუხისთვის რაიმე ქონების გადაცემას ან მის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების შესრულებას. მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნილია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის უფლების მქონე მესამე პირის სასარგებლოდ გარევეული მოქმედების შეჩერება. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონის ანალოგით, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში მესამე პირი უტოლდება მოპასუხეს (მხარე ასევე აღნიშნავს, რომ ეს გარემოება მითითებული იყო განცხადებაშიც, თუმცა მისი გამომრიცხველი გარემოება განჩინებაში მითითებული არ არის).

ბ. ძ-ი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად მიუთითებს, რომ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებაც (მითითებული იყო განცხადებაშიც), რომელთან მიმართებაში განჩინება არ შეიცავს მსჯელობას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 281 მუხლი ადგენს, რომ სასამართლოს შეუძლია მხარეს დაეხმაროს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, თუ მის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გატარება შესაძლებელი იყო მხოლოდ მოპასუხის წინააღმდეგ, სასამართლოს ასეთ შემთხვევაში შეეძლო მოთხოვნა დაკამაყოფილებინა ნაწილობრივ და ემსჯელა სხვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ (არსებობს სასამართლო პრაქტიკა, რომლის შესაბამისად მოთხოვნილ ქონებაზე ყადაღის რეგისტრაციის ნაცვლად უმეტესწილად გამოყენებულია ქონების გასხვისების და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვა).

შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ თუ დაკამაყოფილდება სააპელაციო საჩივარი (განიხილება მ/წლის 27 სექტემბერს), გადაწყვეტილება დარჩება აღსარულებელი. უზრუნველყოფის ღონისძიება სასამართლოს შესაძლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუა-

ლებაა და მოცემულ შემთხვევაში მისი გამოყენების აუცილებლობა არსებობს, რადგან დავის საგანს წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაცია სწორედ იმ ქონებზე, რომლის რეალიზაციის აკრძალვაც მოთხოვნილია მესამე პირის მიმართ. როგორც აპელანტი აღნიშნავს, მითითებული ქონების რეგისტრირებული მესაკუთრე არის თავად ბ. ძ-ი, ფაქტობრივი მესაკუთრე (სასამართლო აქტის საფუძველზე) კი – ა. თ-ი. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ კი სს „...ს“ სასარგებლოდ შესაძლოა სასამართლო წარმოების ეტაპზე, ნებისმიერ დროს განახორციელოს ქონების განკარგვა. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაში, თუ გამოყენებული არ იქნება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, იარსებებს იმის საშიშროება, რომ ქონება სხვა სუბიექტის საკუთრებად იქცეს, რაც მოცემულ საქმეზე აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლებელს გახდის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, ანუ იმ იურიდიული შედეგის დადგომას, რომელიც უნდა მოჰყვეს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელის მიერ დასახული მიზნის მიღწევას, სახელდობრ, თუ ქონება განიკარგება, ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის და სარჩელის განხილვა დაკარგავს ყოველგვარ ფაქტობრივ და სამართლებრივ მნიშვნელობას და ვერ გამოიწვევს იმ იურიდიული შედეგების დადგომას, რომელიც თან უნდა მოჰყვეს საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას. რაც შეეხება ქონების განკარგვის ვარაუდს და მოსალოდნელობას – მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გარდაუვალია, რამდენადაც განცხადებაზე თანდართული სააღსრულებო საქმის ელექტრონული რეესტრიდან ამონანერით დადგენილია, რომ მიმდინარეობს ქონების სააუქციონოდ მომზადება. ამდენად, როგორც საჩივრის ავტორი მიუთითებს, ქონების განკარგვის დასაბუთებული ვარაუდი მოცემულ შემთხვევაში უდავოდ სახეზეა, რის გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზანმენონილია.

საჩივრის ავტორი დამატებით აღნიშნავს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში კანონის სხვაგვარი განმარტება საფრთხის ქვეშ დააყენებს მოსარჩელის და მესამე პირის ა. თ-ის უფლებებს, რადგან მიუხედავად მართლმსაჯულების განხორციელებისა, ვერ მიაღწევენ გადაწყვეტილების აღსრულებას, კანონიერი უფლებებსა და ინტერესების აღდგენას, რაც თავის მხრივ, ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა შესახებ კონვენციით გარანტირებულ ფუნდამენტალურ უფლებას – საქმის სამართლიან სასამართლოზე მოსმენის თაობაზე. ადამიანის უფლებათა ეპროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების

მნიშვნელობას, მაგალითად, საქმეში – შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ, სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ილუზორული იქნებოდა, თუკი კონვენციის ხელმოწერი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა ხელს შეუწყობდა იმას, რომ სასამართლოს საბოლოო, სავალდებულო გადაწყვეტილება დარჩებოდა აღუსრულებელი ერთი მხარის საზიანოდ სასამართლო იმეორებს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა თუ მაღალი ხელშემქვრელი მხარის ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. აპელანტის განმარტებით, კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს (სხვა პრეცედენტთა შორის იხ. Burdov v. Russia, no. 59498/00, §34, ECHR 2002-III; Hornsby v. Greece, judgment of 19 March 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-II, p. 510, §40).

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასევე საქმეში – აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადის ნომერი: 40765/02), მიუთითებს, რომ სინამდვილეში, ხალხისათვის, საზოგადოებისათვის მთავარია, არა თავისთავად აღებული კანონები, სხვა იურიდიული დოკუმენტები, ამ იურიდიულ დოკუმენტებში არსებული ნორმები და არც ვალდებულებების, აკრძალვების ჯამი, არამედ ის გადამწყვეტი გარემოებები, რასაც იურიდიულად, რეალურად იძლევიან ეს ნორმები. ამასთან სასამართლო შეგვახსენებს, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (იხ. Golder c. Royaume-Uni , 21 février 1975, 56 §§ 28-36, série A no 18). სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „და-დიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი №8252/08) განმარტა, რომ: პირს, რომელსაც გააჩნია სასამართლოს მიერ, მის სასარგებლოდ, სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც საგალდებულო აღსრულებას ექვემდებარება, არ შეიძლება დაეკისროს მოთხოვნათა იძულებით დაემაყოფილება ან სხვა მსგავსი მოქმედებები გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. მოსარჩელე მხარის ეფექტურა დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებას, აღასრულონ შიდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება (იხ. Mutishev and Others v. Bulgaria, 18967/03, §129, 3 December 2009). თუ ადმინისტრაციული ორგანოები უარს აცხადებენ, უერა ახერხებენ ან აჭიანურებენ ამ ვალდებულების შესრულებას, მოსარჩელე მხარისთვის სამართალნარმოების პროცესში მე-6 მუხლით მინიჭებული გარანტია აზრს კარგავს (იხ. Antonetto v. Italy, no. 15918/89, §28, 20 July 2000).

საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი განცხადება აქმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით დადგენილ პირობებს, ვინაიდან შეიცავს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოცუზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძხელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, კერძოდ, განმცხადებელი საუბრობს სადაც უძრავი ქონების გასხვისების საშიშროებაზე, რის გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობა სახეზეა, ვინაიდან მოსარჩელის იურიდიული ინტერესის ფარგლებში, მესამე პირის – ა. თ-ის ინტერესების გათვალისწინებით და ასევე იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ მოცემული ქონების დაყადალება სს „...ოს“ სასარგებლოდ მიმდინარე საალსრულებო საქმის წარმოების ფარგლებში განხორციელდა არა საქმის წარმოების დაწყებიდან კანონით დადგენილ ფარგლებში, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მოცემულ დავაში სს „...ოს“ მესამე პირის სახით ჩართვის შემდეგ – უდავოა, მოთხოვნილი სადაც უძრავი ქონების გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვა უზრუნველყოფს დავაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების დაბრკოლებათა თავიდან აცილებას.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სასამართლომ რატომდაც ყურადღება არ მიაქცია სანივთო-სამართლებრივ დავაში უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოთხოვნილი აღსრულების შეჩერების ან გარკვეული ნივთების რეალიზაციის აკრძალვის განცხა-

დებებს და მის შედეგებს. ასეთ დავებში (მოსარჩელე ნივთის მესა-კუთრე და მოპასუხე მოვალე, ან პირიქით, ზოგიერთ შემთხვევაში ასეთ დავებში აღსრულების ეროვნული ბიურო საერთოდ არ წარ-მოადგენს მხარეს, თუმცა მოთხოვნა კმაყოფილდება – აღსრულე-ბა ჩერდება ან აღსრულებას ეკრძალება რაიმე კონკრეტული ნივ-თის რეალიზაცია დავის გადაწყვეტამდე). მოცემული შემთხვევაც ანალოგიურია და მოსარჩელის მოსაზრებით კანონის ანალოგით უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ფაქტობრივად მოცემული გან-ჩინების მიღებით სასამართლომ წინასწარ გამოითქვა აზრი, რომ სა-აპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომელიც ეფუძნება საქართველოს უზენაეს კა-ნონთან – კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში მყოფ იუსტიციის მინისტრის მიერ მიღებულ „ინსტრუქციას“, რომელიც ასევე ენი-ნააღმდეგება თვით საქართველოს კანონს „საჯარო რეესტრის შე-სახებ“, რომლის შესასრულებლად არის იგი გამოცემული და მხო-ლოდ და მხოლოდ საჯარო რეესტრის თანამშრომლების სახელ-მძღვანელო დოკუმენტია. ამდენად, როგორც საჩივრის ავტორი მი-უთითებს, წარმოადგინა დასაბუთებული საჩივარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწი-ლით დადგენილ ვადაში (განჩინება ჩაბარდა მ/წლის 15 ივლისს), ამავე კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად საჩივა-რი დასაშვები და დასაბუთებულია, სრულად პასუხობს საქართვე-ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-198-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს, როს გამოც იგი უნდა დაკმაყოფილდეს რა-თა აღუსრულებელი არ დარჩეს სააპელაციო საჩივრის დაკმაყ-ოფილების შემთხვევაში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვე-ტილება.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, საჩივრის ავტორი ით-ხოვს სასამართლომ დააკმაყოფილოს საჩივარი, გააუქმოს გასაჩივ-რებული განჩინება და დაკმაყოფილდეს განცხადება სარჩელის უზ-რუნველყოფის შესახებ, კერძოდ: სარჩელის უზრუნველყოფის მიზ-ნით, სააპელაციო საჩივრის განხილვა-გადაწყვეტამდე და მიღე-ბული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე აიკრძალოს შპს „...ოს“ სასარგებლოდ შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებულ №A14085642 საქმეზე (კრედიტორი სს მისო „...ო“, მოვალეები ბ. ძ-ი და ქ. ფ-ი) მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონების ს/კ ... და ს/კ ... რეალიზაცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2019 წლის 29 ივლისის განჩინებით ბ. ძ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადმოეგზავნა ზემდგომ –

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა პალატას.

სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღება ემსახურება დავის საგნის დაცვას იმ მიზნით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდეს დაუბრკოლებლად. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფა დროებითი ხასიათის ღონისძიებაა, რომელიც სასამართლოს მიერ სასარჩელო სამართალნარმოების წესით დადგენილი უფლების რეალიზებას უწყობს ხელს, იგი სასარჩელო მოთხოვნის დაცვასა და ეფექტურად განხორციელებას ისახავს მიზნად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას სასამართლო გამოიყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა განმცხადებელი შეძლებს დამატეკიცოს კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა რატომ გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, ასევე უნდა დაასაბუთოს ამ ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა.

სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, რომელიც ადგენს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცე ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება.

განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ითხოვს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროსთვის შპს „...ოს“ სასარგებლოდ შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს ნარმოებაში არსებულ №A 14085642 საქმეზე (კრედიტორის სს მისო „...ო“, მოვალეები ბ. ძ-ი და ქ. ფ-ი) მისი კუთვნილი უძრავი ქონების. ს/კ ... და ს/კ ... რეალიზაციის აკრძალვას. სააპელაციო სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ქმნის სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტურად სარგებლობის ერთ-ერთ საპროცესო გარანტიას და მიზნად ისახავს სასამართლოს მიერ სამომავლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას. სწორედ ამიტომ, უზრუნველყოფის ღონისძიებები მიმართულია მოპასუხის წინააღმდეგ. შესაბამისად, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ნარმოადგენს, ერთი მხრივ, მოპასუხის უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო, მეორე მხრივ, მოპასუხის უფლებების მზღვდავ საშუალებას. აღნიშნული განაპირობებს იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი მიმართულია სწორედ მოპასუხისადმი. კერძოდ, მითითებული ნორმის საფუძველზე, მართალია, ქმედების განხორციელება ეკრძალებათ იმ პირებს, რომლებიც კონკრეტული სასამართლო პროცესის მხარეები შეიძლება არც იყვნენ, თუმცალა მნიშვნელოვანია, რომ ამ პირებს სწორედ მოპასუხისადმი უნდა ჰქონდეთ რაიმე ვალდებულება შესასრულებელი. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის გამოყენებისთვის ცალსახად უნდა დადგინდეს, რომ კონკრეტულ პირებს გააჩნიათ მოპასუხისადმი ვალდებულება, უნდა გადასცენ მოპასუხეს ქონება ან შეასრულონ რაიმე მოქმედება. სწორედ ამ უკანასკნელ ქმედებათა განხორციელების აკრძალვა ხდება ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე.

მოცემულ შემთხვევაში, ბ. ქ-მა სარჩელი აღძრა მოპასუხების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 2018 წლის 16 მაისის №... და 2018 წლის 16 მაისის №... გადაწყვეტილების, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 09 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათოლად ცნობისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისისთვის ბ. ქ-ის კუთვნილი უძრავი ნივთების (საკადასტრო კოდები ... და ...) ა. თ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე მოპასუხებს წარმოადგენენ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და ამავე სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისი, დავის საგანს წარმოადგენს სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათოლად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ხოლო განმცხადებელი ითხოვს პირთათვის ისეთი ქმედების განხორციელების აკრძალვას, რომელსაც პირდაპირი და უშუალო შეხება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან არ აქვს, ეს ქმედება არ წარმოადგენს საჯარო რეესტრისადმი არსებულ ვალდებულებას და შესაბამისად, არ ხორციელდება მესამე პირთა მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსადმი კონკრეტული ვალდებულების შესრულების ფარგლებში. სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლითაც ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ მესამე პირს კანონმდებელმა მიანიჭა მოსარჩელის და მოპასუხის ყველა უფლებით სარგებლობის

უფლება, თუმცა მას მხოლოდ მოსარჩელის მოვალეობები დააკისრა. ამდენად, საჩივრის ავტორის მოსაზრება იმ გარემოებაზე, რომ სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონის ანალოგით, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში მესამე პირი უტოლდება მოპასუხეს, უსაფუძვლოა და ვერ იქნება გაზიარებული.

სააპელაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებას მოთხოვილი სარჩელის უზრუნველყოფის ორნისძიების გამოუყენებლობა რატომ გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ამდენად, არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლის თანახმად მოსარჩელისათვის მოთხოვნის ტრანსფორმირების საფუძველიც. ზემოაღნინულიდან გამომდინარე სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივრი დასაბუთებულობის შედეგად მიიჩნევს, რომ წ. ძ-ის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივნისის განჩინების გაუქმებისა და მოთხოვნილი უზრუნველყოფის ორნისძიების გამოყენების საფუძველი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ წ. ძ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველ შემთხვევაში წარდგენილი საჩივრით სადაცოდ

არის გამხდარი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერება. სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავი (სარჩელის უზრუნველყოფა).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადაც უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკავშირებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩინა მოსარჩელეს აუცილებლად.

საკასაციო პალატა განმარტებს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. სარჩელის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნები დაბრკოლების თავიდან აცილებაა მოპასუხისათვის რაიმე მოქმედების განხორციელების შეზღუდვის გზით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა, შესაბამისად, მისი გამოყენება მიმართული უნდა იყოს გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან მისი შეუძლებლობის თავიდან აცილებისაკენ მხოლოდ დაცის საგანთან დაკავშირებით და არსებული მდგომარეობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ერთნაირად იცავს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ინტერესებს, ანუ მოსარჩელის ინტერესების უზრუნველყოფა არ ხდება მოპასუხის ინტერესების გაუთვალისწინებლად. სწორედ აღნიშნული პრინციპი უდევს საფუძვლად იმ გარემოებას, როცა კანონმდებლი უშვებს სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას და არა მის სავალდებულობას.

განსახილველ შემთხვევაში ბ. ძ-ის მიერ სარჩელი აღძრულია მოპასუხების - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის

რეგიონული ოფისის მიმართ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 2018 წლის 16 მაისის №... და 2018 წლის 16 მაისის №... გადაწყვეტილებების, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 9 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცხობისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისისთვის ბ. ძ-ის კუთვნილი უძრავი ნივთების (საკადასტრო კოდები ... და ...) ა. თ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

მოსარჩელე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განცხადებით ითხოვდა საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროსთვის მოცემულ სამართალნარმოებაში მე-3 პირად ჩაბმული – შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ...ოს“ სასარგებლოდ შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებულ №A 14085642 საქმეზე (კრედიტორის „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ...ო“, მოვალეები ბ. ძ-ი და ქ. ფ-ი) მისი კუთვნილი უძრავი ქონების, ს/კ ... და ს/კ ..., რეალიზაციის აკრძალვას. განმცხადებლის მოთხოვნაზე უარის თქმის ძირითადი საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლის სააღსრულებო ბიურო მოცემულ საქმეში არ წარმოადგენს პროცესის მონაწილე მხარეს და მის მიერ სააღსრულებო მოცემედებათა განხორციელება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ არ ხდება.

აღსანიშნავია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში გარკვეულნილად შეიზღუდება მოცემულ სამართალნარმოებაში მონაწილე მე-3 პირების ქონებრივი უფლებები. მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე წარდგენილ საჩივარში დამატებით მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ საფუძველზე, რომლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. თუმცა, საჩივარის ავტორი ვერ უთითებს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს მე-3 პირებთან მიმართებაში.

საკადაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას განმცხადებლის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სა-

აღსრულებო ბიუროსთვის მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაციის აკრძალვის თაობაზე მოთხოვნის უსაფუძვლობის შესახებ, რადგან მოსარჩელე უზრუნველყოფის ლონისძიების სახით ითხოვს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროსთვის მოცემულ საქმეში მე-3 პირის სტატუსით მონაწილე პირების სასარგებლოდ ისეთი ქმედების განხორციელების აკრძალვას, რომელსაც პირდაპირი და უშუალო შეხება მოპასუხე - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სადაც გადაწყვეტილებებთან არ აქვს. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილით, ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის და მოპასუხის ყველა უფლებით, თუმცა მას მხოლოდ მოსარჩელის მოვალეობები ეკისრება. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოსაზრება იმ გარემოების შესახებ, რომ სასამართლო უნდა იხელმძღვანელოს კანონის ანალოგით, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში მესამე პირი უტოლდება მოპასუხეს, უსაფუძვლოა, რადგან მესამე პირის მიმართ, საპროცესო კანონმდებლობა სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენების შესაძლებლობას არ მიიჩნევს დასაშვებად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორი – ბ. ძ-ი არ უთითებს არც ერთ კონკრეტულ გარემოებაზე, რაც საფუძვლად დაედებოდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას და დაადასტურებდა გასაჩივრებულ განჩინებაში ასახულ უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის არამართლზომიერებას.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას და მიიჩნევს, რომ ბ. ძ-ის საჩივარი მართებულად არ დაკმაყოფილდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>, 198-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ბ. ძ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივლისისა და ამავე სასამართლოს 2019 წლის 29 ივლისის განჩინებები დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება მოკასუს მიმართ

## განხილვა საქართველოს სახელით

№ბს-1074(ქს-19)

28 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ნაწილობრივ ბათილად ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

კ. დ-მა 2014 წლის 7 ივნისს სარჩელი აღძრა მცხეთის რაიონულ  
სასამართლოში მოპასუხე – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სა-  
აგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურის, მესამე პირების  
ნ. ხ-ის, შპს „...სა“ და სს „ბ...ას“ მიმართ. მოსარჩელემ სარჩელის  
საბოლოოდ დაზუსტების შემდეგ მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნო-  
ბილი საქართველოს რესუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის  
სამინისტროს (ყაზბეგის რაიონის სახელმწიფო ქონების მართვის  
განყოფილების გამგის) მიერ 1993 წლის 10 ნოემბერს ნ. ხ-ის სა-  
ხელზე გაცემული საკუთრების უფლების №48/2 მოწმობა, 1500  
კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნ. ხ-ისთვის გაცე-  
მის ნაწილში; ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ „საჯარო რეესტრის  
ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურის“  
2006 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება (სააღრიცხვო ბარათი)  
ნ. ხ-ისთვის 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის  
რეგისტრაციის ნაწილში; ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ „საჯარო  
რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამ-  
სახურის“ 2011 წლის 28 აპრილის (№...-03) გადაწყვეტილება ნ. ხ-  
ისთვის 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის რე-  
გისტრაციის ნაწილში.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 8 მაისის საოქმო  
განჩინებით საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2  
მუხლის საფუძველზე, მესამე პირებად ჩაეტნენ სს „ბ...ა“, შპს „ა...“  
და ნ. ხ-ი.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ივნისის გა-

დაწყვეტილებით კ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ნ. ხ-ისთვის გადაცემული 900 კვ.მ მინის ნაკვეთის ნაწილში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ყაზბეგის რაიონის სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილების გამგის მიერ 1993 წლის 10 ნოემბერს ნ. ხ-ის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების №48/2 მოწმობა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 29 დეკემბრის სააღრიცხვო ბარათი (განცხადების №...) კ. დ-ის კუთვნილი 900 კვ.მ მინის ნაკვეთის ნ. ხ-ის სახელზე რეგისტრაციის ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 28 აპრილის №...-03 გადაწყვეტილება კ. დ-ის კუთვნილი 900 კვ.მ მინის ნაკვეთის ნ. ხ-ის სახელზე რეგისტრაციის ნაწილში. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და ნ. ხ-მა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ნოემბრის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურის სააპელაციო საჩივრი მცხეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებაზე, დარჩა განუხილველი.

2017 წლის 15 თებერვალს კ. დ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ყადაღა დადებოდა ნ. ხ-ის სახელზე რიცხულ ქონებას, მდებარე: ყაზბეგის რაიონი, ..., ს.კ. ..., საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურს აკრძალვოდა რეგისტრირებულ უფლებაზე შემდგომი რეგისტრაციისა და ცვლილების განხორციელება, ნ. ხ-ს აკრძალვოდა სამშენებლო სამუშაოების წარმოება სადაც ტერიტორიაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 თებერვლის განჩინებით კ. დ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; კ. დ-ის შუამდგომლობა ნ. ხ-ის სახელზე რიცხულ ქონებაზე, (მდებარე: ყაზბეგის რაიონი, ..., ს.კ. ...), ყადაღის დადებისა და ნ. ხ-ისათვის სამშენებლო სამუშაოების წარმოების აკრძალვის შესახებ არ დაკმაყოფილდა; კ. დ-ის შუამდგომლობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ დაკმაყოფილდა; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურს აეკრძალა უძრავ ქონებაზე, მდებარე: ყაზბეგის რაიო-

ნი, ..., ს.კ. ..., შემდგომი რეგისტრაციისა და ცვლილების განხორციელება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით 6. ხ-ისა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. დ-მა. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 16 ნოემბრის განჩინებით კ. დ-ის საკასაციო საჩივრარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება.

6. ხ-მა 2019 წლის 4 ივლისს განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. განმცხადებელმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 თებერვლის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება მოითხოვა იმ მოტივით, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებული იქნა საბოლოო გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 15 აგვისტოს განჩინებით 6. ხ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 თებერვლის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურისათვის უძრავ ქონებაზე, მდებარე: ყაზბეგის რაიონი, ..., ს.კ. ..., შემდგომი რეგისტრაციისა და ცვლილების განხორციელების აკრძალვის თაობაზე, გაუქმდა.

პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1991 მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარ-

ჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. იმ პირობებში, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკამაყოფილდა კ. დ-ის სარჩელი, შესულია კანონიერ ძალაში, არ არსებობს უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობის პროცესუალური და ფაქტობრივი საფუძველი. შესაბამისად, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 თებერვლის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურისათვის უძრავ ქონებაზე, მდებარე: ყაზბეგის რაიონი, ..., ს.კ. ...., შემდგომი რეგისტრაციისა და ცვლილების განხორციელების აკრძალვის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 15 აგვისტოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა კ. დ-მა. კერძო საჩივრის ავტორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მის მიერ საჯარო რეესტრიდან მოპოვებულ იქნა ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება, რომ 900 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც პირველადი რეგისტრაციით აღრიცხულ იყო ა. ვ-ზე, განკუთვნება სასოფლო-სამეურნეო კატეგორიას. კ. დ-მა, როგორც ა. ვ-ის უფლებამონაცვლემ მიმართა საჯარო რეესტრს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ და 6. ხ-ის სახელზე უკანონოდ რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთის ამორიცხვის თაობაზე. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, დღეისათვის მიმდინარეობს ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული წარმოება და იმ შემთხვევაში, თუ გაუქმდება საჩივრის უზრუნველყოფის ღონისძიება, კ. დ-ის განცხადების დაკამაყოფილების შემთხვევაში დაკარგვას მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას, რადგან 6. ხ-ი სასწრაფო წესით გაასხვისებს სადაც ნაკვეთს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი კერძო საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კ. დ-ის საჩივრი არ უნდა დაკამაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოება-

ში გამოყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებას შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველ შემთხვევაში წარდგენილი კერძო საჩივრით სადაც არის გამხდარი სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების კანონიერება. სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავი (სარჩელის უზრუნველყოფა).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სასამართლებრივ გარანტიას. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მომავალში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1991 მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

განსახილველ დავაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ სა-

ქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 16 ნოემბრის განჩინებით კ. დ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც კ. დ-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკამაყოფილებაზე. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ შესულია კანონიერ ძალაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნის დაკამაყოფილების საფუძველი ვერ გახდება მითითება იმის შესახებ, რომ მისი განცხადების საფუძველზე საჯარო რეესტრში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, რომლის კ. დ-ის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში აუცილებელია უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნება საქმის გარემოებათა გარკვევამდე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებლობა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას მოპასუხის მიმართ და/ან მის წინააღმდეგ უშვებს, რათა დავის საგანი მოპასუხის არაკეთილსინდისიერი (მათ შორის კეთილსინდისიერი მესამე პირების მართლზომიერი) ქმედებისგან იყოს დაცული. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე დამდგარი საპროცესო შედეგი მოპასუხების მიმართ თავისთავად გამორიცხავს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას, ვინაიდან სარჩელის იურიდიული ბედი (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად (ცნობა), რომლის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იყო მოქმედების განხორციელების აკრძალვა - გადაწყვეტილია, კერძოდ, მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხეთა მიმართ სარჩელის დაკამაყოფილებაზე და ეს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. ამრიგად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებისა და მისი აღსრულების საშუალებას წარმოადგენს, მოცემულ საქმეზე დავა მოსარჩელესა და მოპასუხებებს შორის არსებითად დასრულებულია და სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლით და დაკამაყოფილა 6. ხ-ის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე. შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრი-

ვი საფუძვლები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სა-სამართლო არ აკმაყოფილებს მოსარჩელის საჩივარს, ვინაიდან საა-პელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. კ. დ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 15 აგვისტოს განჩი-ნება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-რდება.

## **გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების**

### **განერიება საქართველოს სახელით**

№ბა-1542(კ-18)

5 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ქ. ცინცაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

6. დ-ემ 2015 წლის 9 დეკემბერს სარჩელი აღძრა თბილისის სა-ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მო-

პასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ. მოსარჩევემ მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 16 ოქტომბრის N... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 იანვრის განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად მესამე პირად ჩაბმულ იქნა ვ. მ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 12 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ვ. დ-ი და შ. დ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 16 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 3 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ. კასატორმა იმავე ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით, რომლებზეც ამყარებდა სააპელაციო საჩივარს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 თებერვლის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

6. დ-ემ 2020 წლის 24 თებერვალს განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კა-

ნონის“ 36-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქეეპუნქტის საფუძველზე მოითხოვა 2017 წლის 27 იანვარს ვ. დ-ის სასარგებლოდ გაცემული და 2017 წლის 6 თებერვალს შ. დ-ის სასარგებლოდ გაცემული №2/11861-16 სააღსრულებო ფურცლების საფუძველზე დაწყებული №A17015257 და №A17015260 იძულებითი აღსრულების შეჩერება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 თებერვლის განჩინებით 6. დ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონიძიების გამოყენების შესახებ და კმაყოფილდა; საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის მიერ 2017 წლის 27 იანვარს და 2017 წლის 6 თებერვალს გაცემული სააღსრულებო ფურცლების საფუძველზე (№2/11861-16) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ დაწყებულ ორ საქმეზე მიმდინარე სააღსრულებო წარმოება (საქმე: №A17015257 და №A170152260, კრედიტორები: შ. დ-ი, ვ. დ-ი, მოვალე: ვ. მ-ი);

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: а) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომელის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდო მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპლაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამ-

დე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და იმრითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ასევე არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და იმრითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დასკვნებს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი აკალდებულებს სასამართლოს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე ქვედა ინ-

სტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემო-ებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამარ-თლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასა-მართლოებმა არსებითად სწორად გადაწყვიტეს მოცემული დავა.

განსახილველ შემთხვევაში საპერლაციო სასამართლომ სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლებით დადგენი-ლი დისპოზიციურობისა და შეჯიბრობითობის პრინციპების გათ-ვალისწინებით წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნების, ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად მტკიცების ტვირთის განაწილებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულე-ბების იმავე კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით შეფასე-ბის საფუძველზე გამოიტანა გადაწყვეტილება.

დადგენილია, რომ 2015 წლის 13 ოქტომბერს ნ. დ-ესა და ვ. მ-ს შორის დაიდო უძრავი ქონების იჯარის (ქირის) ხელშეკრულება 82,24 კვ.მ. ბინაზე, მდებარე ქ. ...., ქუჩა ...ის №1-სა და №1ა-ს შორის, ...ის ქუჩა №3-ის მიმდებარედ, ...ის ქუჩა №7, ...ის ქუჩა №26. ხელ-შეკრულება დამოშებულია სანოტარო წესით, მიენიჭა სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი 85147181659515. ნოტარი-უსის მიერ დამონმდა ხელშეკრულების ხელმომწერ პირთა ნამდვი-ლობა. აღნიშნული სანოტარო აქტი წარმოადგენს კერძო აქტს, რომ-ლებიც აღბეჭდილია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული სანოტარო მოქ-მედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 31-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ხელმონერის ნამდვილობის დადასტურების შესახებ სანოტარო მოქმედების ამ-სახველი ფორმულარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართებულია საპერლაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ვ. მ-სა და ნ. დ-ეს შორის 2015 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული ხელ-შეკრულება უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე წარმოადგენ-და კერძო აქტს, იგი 2015 წლის 16 ოქტომბერს განცხადებასთან ერთად, საჯარო რეესტრს სარეგისტრაციოდ წარუდგინა არა ავ-ტორიზებულმა ნოტარიუსმა, არამედ დაინტერესებულმა პირმა – ვ. მ-მა, რის გამოც არ არსებობდა სადაცო რეგისტრაციის განხორ-ციელების საფუძველი.

ამგვარად, კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რო-მელთა მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) არ არის წარმოდგენილი, საკასაციო პალა-

ტა მიიჩნევს, რომ მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების (სუს.გ. საქმე №ბს-975-971(კ-17) 05.04.2018.) არსებობის პირობებში კასატორის მიერ მითითებული გარემოებები არ ქმნის საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის საფუძველს. ამგვარად, არ არსებობს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საკასაციო პალატის მიერ დამატებითი სამართლებრივი შეფასების საჭიროება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 3 ოქტომბრის განჩინება;

3. კასატორს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (ს/ნ 202238621) დაუბრუნდეს 05.02.2019წ. №03166 საგადახდო მოთხოვნით მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის 70% – 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამშენებლო სამართალდარღვევაზე  
ადმინისტრაციული აქტის შეჩერება სარჩევის  
უზრუნველყოფის მიზნით**

**განერიება  
საძარღველოს სახელით**

№ბს-1389(კს-19)

26 თებერვალი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2019 წლის 15 იანვარს ჯ. ბ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ.

მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის 18 ოქტომბრის №003869 დადგენილების „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“ და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 13 თებერვლის №90 ბრძანების „ჯ. ბ-ის წარმომადგენლის ნ. მ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე“ ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით ჯ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

2019 წლის 18 ნოემბერს ჯ. ბ-ის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-

რიის მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის 18 ოქტომბრის №003869 დადგენილების მოქმედების შეჩერების მოთხოვნით. შუამდგომლობის ავტორმა მიუთითა, რომ თუ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე აღსრულდა აქტში დათქმული პირობები, მითითებული მოქმედება შეუძლებელს გახდის აპელანტის კანონიერი უფლებისა და ინტერესების დაცვას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ნოემბრის განჩინებით ჯ. ბ-ის ნარმობადგენლის 6. მ-ის განცხადება დაკმაყოფილდა; შეჩერდა სისპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის 18 ოქტომბრის №003869 დადგენილების მოქმედება, განსახილევლ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალში შესვლამდე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით გასაჩივრებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის 18 ოქტომბრის №003869 დადგენილების პირველი პუნქტის მოქმედება (დაჯარიმების ნაწილში) უნდა შეჩერდეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური აქტის მოქმედებას. ამ ნორმით დადგენილი ზოგადი წესის მიხედვით, ინდივიდუალური აქტის მოქმედება ავტომატურად ჩერდება სასამართლოში სარჩელის წარდგენით, თუმცა ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, აქტის მოქმედება ყოველთვის ავტომატურად არ ჩერდება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილი აწესებს გამონაკლისებს ამავე მუხლის პირველი ნაწილიდან და ადგენს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როცა გასაჩივრებული აქტის მოქმედება ავტომატურად არ ჩერდება. კერძოდ, თუ: ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან; ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას; გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს; დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა; ე) ინდივიდუ-

ალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმტურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს; ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით.

სააპელაციო პალატის განმარტებით, სამშენებლო სამართალ-დარღვევა თავისი ბუნებით წარმოადგენს ადმინისტრაციულ სა-მართალდარღვევას, რომლის განხილვა-შეფასების პროცესში სა-მართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელ კონკრეტულ სა-მართლებრივ აქტებთან ერთად, სხვა მოწესრიგების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ადმინისტრა-ციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი ზოგადი პრინციპებით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექ-სის 275-ე მუხლის პირველ ნაწილის თანახმად, დადგენილ ვადაში საჩივრის შეტანა მის განხილვამდე შეაჩერებს პირის დაჯარიმე-ბის შესახებ დადგენილებების აღსრულებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალუ-რი ინსპექციის 2018 წლის 18 ოქტომბრის №003869 დადგენილე-ბით ჯ. ბ-ისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკის-რებული ჯარიმა – 10 000 ლარის ოდენობით, არ ექცევა ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სხვა გადასახდელების“ კატე-გორიაში, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ამ დადგენილებით და-კისრებული ჯარიმა წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარ-გებლოდ შესასრულებელ ფულად ვალდებულებას. ტერმინ „გადა-სახდელს“ ჯარიმის მნიშვნელობით არ იცნობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და ასევე საქართველოს სხვა სა-კანონმდებლო აქტები. ეს ტერმინი გამოყენებულია მხოლოდ სა-გადასახადო კოდექსში, „მიმდინარე გადასახდელების“ სახით. ამ-დენად, პალატამ მიიჩინა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კო-დექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილი „ა“ ქვეპუნქტში, სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გადასახადებისა და მოსაკრებ-ლების გვერდით იმავე კონტექსტში მოხსენიებულ „სხვა გადასახ-დელებში“ მოაზრობულია სწორედ საგადასახადო კოდექსში ასა-ხული გადასახდელები და არა – ადმინისტრაციული ჯარიმა. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრებით ჩერდება საჯა-რიმო თანხის გადახდის ვალდებულება, გასაჩივრებული ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტი ექცევა საქართველოს ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის რეგულირების სფეროში (ადმინისტრაციული აქტის კანონისმიერი შეჩერება), ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტის

მოქმედება ჩერდება კანონით, ავტომატურ რეჟიმში.

სააპელაციო პალატის მითითებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის 18 ოქტომბრის №003869 დადგენილების მე-2 პუნქტის მოქმედება უნდა შეჩერდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, შემდეგ გარემოებათა გამო: განსახილველ შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ნარმოება ნარიმართა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად. აღნიშნული კანონის 25-ე მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად კი, საშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში. ამასთანავე, გასაჩივრდება არ აჩერებს სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების აღსრულებას, მშენებლობის ან დემონტაჟის შეჩერების ნაწილში. ამდენად, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, დემონტაჟის დავალების ნაწილში, ვერ შეჩერდება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. სააპელაციო პალატის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუკი სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება სარჩელის ნარმოებაში მიღებით, ავტომატურ რეჟიმში არ ხდება, თუმცა ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს, ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ქ. თბილისის მუნიცი-

პალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის 18 ოქტომბრის №003869 დადგენილებით ჯ. ბ-ე დაჯარიმდა 10000 ლარით (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 44.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი) ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე, ...ის ....ო ის მიმდებარედ, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე კაპიტალური შენობა-ნაგებობის და მსუბუქი კონსტრუქციის ღობის მშენებლობისთვის შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, მასვე დაევალა სადაცო ნაგებობის დემონტაჟი, რაც არ განახორციელა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე უნებართვო მშენებლობისათვის გამოცემული აქტების გასაჩივრება არ აჩერებს ამ დადგენილების მოქმედებას დემონტაჟის ნაწილში, სახდელის ნაწილში კი დადგენილების მოქმედება ავტომატურად ჩერდება, სასამართლომ მაინც, ყურადღების გარეშე დატოვა კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნა და მას საპირნონედ დაუპირისპირა მსჯელობა იმის შესახებ, რომ არსებობს რეალური ალბათობა აქტის ბათილობისა და მის კანონიერებაში ეჭვის შეტანისა, რის დასტურადაც მოჰყავს მხოლოდ და მხოლოდ შუამდგომლობის ავტორის ზეპირსიტყვიერი მსჯელობა და არა კონკრეტული არგუმენტები. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მხარეს განხორციელებული მშენებლობის დამადასტურებელი რაიმე სახის რეალური დოკუმენტი რომ ჰქონოდა, ის აუცილებლად ნარმოადგენდა მას ადმინისტრაციული ორგანოს განხილვაზე, თუმცა მოსარჩელის მიერ მსგავს ქმედებას ადგილი არ ჰქონია, რის საფუძველზეც სასამართლოს უნდა ევარაუდა, რომ მხარის ქმედება ემსახურებოდა მხოლოდ სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის გაჭიანურებას და გართულებას.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვება, ხელს შეუწყობს არასწორი და ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიუღებელი პრაქტიკის დაქვიდრებას, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესს და აკნინებს სამშენებლო სამართლის ფუნქციასა და როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამასთან, სასამართლოს მსჯელობა არაფრად აგდებს ამ სფეროში სპეციალური კანონის არსებობას და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მისგან განსხვავებულ მდგომარეობას აწესებს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების საფუძველზე, არსებობს საფუძვლიანი

ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონირების თაობაზე. თუმცა აღნიშნული არ უნდა გახდეს სამშენებლო სამართლის იმპერატიული მოთხოვნის უგულებელყოფის საფუძველი. სამშენებლო სამართალი წარმოადგენს იმ ნორმათა ერთობლიობას, რომელიც საჯარო ინტერესების გათვალისწინებით აწესრიგებს მიწის ნაკვეთის სამშენებლო მიზნით გამოყენების საკითხებს, როგორც განმარტებიდან ირკვევა, მთელი სამშენებლო სამართალი დამყარებულია ერთი მარტივი პრინციპის დაცვაზე, რაც არის საჯარო ინტერესების გათვალისწინება, საჯარო ინტერესი კი გულისხმობს სახელმწიფო და საზოგადო ინტერესების ერთობლიობას, სწორედ ამიტომ ყოველი მოქალაქე ვალდებულია, გაითვალისწინოს, გაიზიაროს და ყოველი მისი ქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება დაამჟაროს ამ ინტერესების არსებობაზე.

სადაც ნაგებობა აშენებულია სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის თანასაკუთრებაში, შესაბამისად, ამით ირღვევა სახელმწიფო ინტერესი განახორციელოს კანონით დაკისრებული ვალდებულება, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე მართოს უძრავი ქონება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია აპირებს ინფრასტრუქტურული საპროექტო სამუშაოების განხორციელებას, ხოლო აქტის შეჩერებით ფერხდება საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი (აუცილებელი) ობიექტის მოწყობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 იანვრის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა მიიჩნევს, რომ ქ. ....ის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის კერძო საჩივარი არ უნდა დაკამაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ ნაწილით უზრუნველყოფილია ყოველი ადამიანის სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობის უფლება. სამართლიანი სასამართლოს უფლებამ ასევე უნდა უზრუნველყოს ადამიანის სრულყოფილი სამართლიანი დაცვა, ეფექტური მართლმსაჯულება გულისხმობს არა მარტო დარღვეული უფლების აღდგენას, არამედ დროებით დაცვას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უფლების პრევენციული დაცვა.

სწორედ იმიტომ, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის უფლებების ფაქტობრივი რეალიზაციის სრულყოფა, ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც უფლების დაცვის რეპრესიულ, ასევე უფლების დაცვის პრევენციულ საშუალებებს. უფლების დაცვის წინასწარი საშუალების მთავარი მიზანი დაინტერესებული მხარისათვის იმგვარი შესაძლებლობის მიცემაა, რომლითაც მას საკუთარი ინტერესების დაცვა ადმინისტრაციული წარმოების ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების დამთავრებამდე შეეძლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, უფლების დაცვის პრევენციულ საშუალებებს აქვთ დარღვეული უფლების აღდგენის დაცვის წინასწარი უზრუნველყოფის, გარანტიის ფუნქცია.

განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისგან ადმინისტრაციული სამართლისთვის დამახასიათებელია სუსპენზიური ეფექტის, როგორც უფლების დაცვის პრევენციული საშუალების, არსებობა, რომლის მეშვეობითაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება დროებით ჩერდება, კერძოდ, გასაჩივრების შემდგომ, საჩივრზე ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე ან სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება ხდება კანონისმიერად – ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენა ავტომატურად, მხარის შუამდგომლობის გარეშე და მოსამართლის ნებისგან დამოუკიდებლად ინვეგს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერებას (სასკ-ის 29.1 მუხლი). ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა თავად არეგულირებს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხს და ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ორ სახეს, როგორიცაა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება (სასკ-ის 29-ე მუხლი) და დროებითი განჩინებას მიღება (სასკ-ის 31-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში სადაცო სასკ-ის 29-ე მუხლით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. სასკ-ის 29.1 მუხლის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლო წარმოებაში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამასთან, მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება აგტომატურად არ ჩერდება.

ყველა გამონაკლისი შემთხვევების არსებობა კერძო ინტერესთან შედარებით საჯარო ინტერესის უპირატესობით არის განპირო-

ბეჭული და სწორედ მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო კანონმდებლობა არ უშვებს ადმინისტრაციული აქტის მოქმედების ავტომატურად შეჩერების შესაძლებლობას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს მაზრული შეუძლია შეაჩეროს ასეთი აქტის მოქმედება, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს, ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას. აღნიშნული უფლების გამოყენებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს როგორც მხარის ინტერესი, ისე ის თანმდევი შედეგი, რაც შესაძლოა მოჰყვეს აქტის შეჩერებას.

საქმის მასალების შესაბამისად, ქ. ....ის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის 18 ოქტომბრის №003869 დადგენილებით ჯ. ბ-ე დაჯარიმდა უკანონ მშენებლობისათვის და მასვე დაევალა დემონტაჟი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25.4 მუხლის თანახმად, დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას დემონტაჟის ნაწილში. სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მხარის მოთხოვნით სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ერთმანეთს უპირისპირდება მომავალში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საჯარო ინტერესი და მხარის ინტერესი, ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ორივე მხარის კანონიერი ინტერესი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა მოხდეს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის შეზღუდვით იმ გონივრულ ფარგლებში, რაც აუცილებელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცვისათვის. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძლების შემოწმების შედეგად, რაც გულისხმობს ინდივიდუალური ად-

მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასა და აღსრულების შეჩერებაზე არსებული ინტერესების ურთიერთშეპირისპირებას. ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება ნიშნავს მისი მოქმედებისა და ყველა სამართლებრივი შედეგის გადადებას სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. დავის სასამართლოში გადაწყვეტამდე კანონი უბრუნებს პირს იმ სამართლებრივ და ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა სადაც ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე. მართალია, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება მოსარჩელის უფლება მშენებლობის განხორციელებაზე, შაგრმა არ არის გამორიცხული კანონიერი ინტერესის არსებობა ობიექტზე უფლების მოპოვების თვალსაზრისით ან სადაც აქტის გაუქმება პროცედურული მოსაზრებით. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სადაც აქტის მოქმედების შედეგად შეუძლებელი გახდება მოსარჩელის უფლების ან ინტერესის დაცვა. სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებულ ყველა შემთხვევაში, მათ შორის, მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აქტის მოქმედების შეჩერების შესაძლებლობას. სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ხანილის მოქმედება თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ის გარემოება, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25.4 მუხლის თანახმად, დაგვენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას დემონტაჟის ნაწილში, არ გამორიცხავს სადაც აქტის შეჩერების შესაძლებლობას სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, უკეთ მხარის მოთხოვნა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის შეჩერების თაობაზე შეიცავს მითითებას იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის გამოც მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს მიაყენებს მას ან შეუძლებელს გახდის მისი უფლების ან ინტერესის დაცვას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე აზრს დაკარგავს სარჩელის (სააპელაციო საჩივრის) განხილვა და სარჩელის დაქმაყოფილებისა და აქტების ბათილად ცნობის შემთხვევაში ველარ აღსრულდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ვინაიდან აღარ იარსებებს სადაც ნაგებობა. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-

რიცი აქტის მოქმედების შემთხვევაში მოხდება სადაც ნაგებობის დემონტაჟი, რაც, თავისთავად, მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეუძლებელს შექმნის გადაწყვეტილების აღსრულებას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ 2019 წლის 18 სექტემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“, რომლის მიზანია ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით ამავე კანონით განსაზღვრული იმ ფიზიკურ პირების ადმინისტრაციული სახდელისაგან – ჯარიმისგან და შესაბამისი საურავისგან გათავისუფლება, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა 2019 წლის 15 იანვრამდე ჩაიდინეს და რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება ამ კანონის ამოქმედებამდე არ აღსრულებულა. ამავე კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული სახდელისაგან – ჯარიმისა და საურავისაგან თავისუფლდება: ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი 100 001 ქულაზე ნაკლებია; ბ) ამ კანონის ამოქმედების დროისთვის ასაკით პენსიონერი (ქალი – 60 წლის ასაკიდან, მამაკაცი – 65 წლის ასაკიდან); გ) ამ კანონის ამოქმედების დროისთვის 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი; დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი; ე) ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანი; ვ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი; ზ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევზილი. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ჯ. ბ-ე არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებული ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა. სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არამხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისი გამოყენების დროს, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდს. ამასთან, სადაც აქტების გასაჩივრების შემთხვევაში პირისათვის საბოლოო შედეგს იწვევს სასამართლო გადაწყვეტილება და არა სადაც აქტები, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სა-

სამართლო განმარტავს, რომ სუსპენზიური ეფექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პირის დაცვა არასასურველი მმართველობითი ორნისძიების განხორციელებისაგან, რაც გულისხმობს იმ მდგომარეობის შენარჩუნებას, რომელიც სადაც აქტის გამოცემამდე არსებობდა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებისა და მხარეთა ინტერესების თანაბარზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, წარმოიშობა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი და 29-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე – 285-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ნოემბრის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების მიზანი

### განხილვა საქართველოს სახელით

№ბს-239(23-უს-კს-20)

11 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

#### აღნერილობითი ნაწილი:

2014 წლის 19 ნოემბერს ე. წ-მა სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრა-  
დი განვითარების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა ბ. ბ-ის მიერ  
12000 კვ.მ მინის ფართობის შეძენის მამტკიცებელი ინდივიდუა-  
ლურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და მინის შეძე-  
ნის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტების ბათილად (ცნობა,  
...ის მუნიციპალიტეტის გამგეობის დავალდებულება სოფელ ...ას  
სასმელი წყლის წყალშემკრები აუზის საზიანარული დაცვის ზონე-  
ბის მოწყობის თაობაზე (დაცვის სამსახურით უზრუნველყოფა),  
ასევე მოითხოვა შპს „...ის“ ...ის – ბ. ბ-ის 1,2 ჰა მინის ნაკვეთის სა-  
კუთრების უფლების ბათილად ცნობისთანავე განმეორებითი პრი-  
ვატიზების აკრძალვა.

2015 წლის 5 იანვარს წარმოდგენილი დაზუსტებული სარჩელით ე.  
წ-მა მოპასუხებად მიუთითა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრა-  
დი განვითარების სამინისტრო, ...ის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შპს  
„ს...ი“, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ბ. ბ-ე, სს „...ა“ დასავ-  
ლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ...ის მომსახურების ცენ-  
ტრი, შპს „ჯ...ი“ ...ი, ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მოსარჩელემ კელავ დააზუსტა სარჩელი და საბოლოოდ მოპა-  
სუხებად მიუთითა შპს „...ი“, საქართველოს ეკონომიკისა და  
მდგრადი განვითარების სამინისტრო, ...ის მუნიციპალიტეტის გამ-  
გეობა და სიიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ხოლო მე-  
სამე პრეზებად – ს/ს „...ა“ და შპს „ჯ...ი“.

მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით 2002 წლის 19 თებერვლის  
№...ა საკუთრების დამადასტურებელი მოწყობის, საქართველოს იუს-

ტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2003 წლის 19 აგვისტოს უძრავ ქონებაზე განხორციელებული სარეგისტრაციო ჩანაწერის (საკადასტრო კოდით: №...), 1999 წლის 7 ოქტომბრის №220 უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისა და 1999 წლის 17 სექტემბრის №126 მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობა და ...ის მუზიკაპალიტეტის გამგეობისათვის სოფელ ...ას სასმელი წყლის წყალშემკრები ცენტრალური ავზისათვის 2 აუცილებელი, სანიტარული დაცვის ზონების (სამი სარტყელის) მოწყობისა და დაცვის სამსახურით უზრუნველყოფის დავალება მოითხოვა.

2015 წლის 27 ნოემბერს ე. წ-ის წარმომადგენელმა გ. ბ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე შპს „...ის“ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება და რეგისტრირებული მონაცემების მოქმედების შეჩერება.

2016 წლის 12 იანვარს, ე. წ-მა (წარმომადგენელი გ. ბ-ე) დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების-საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ჯ...ის“ მიმართ და მოითხოვა 2009 წლის 17 ივნისის №1-1316 ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

2016 წლის 12 იანვარს ე. წ-მა (წარმომადგენელი გ. ბ-ე) განცხადებით მიმართა ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და სარჩელის უზრუნველყოფის ონბისძიების სახით მოითხოვა ყადაღა დადებოდა შპს „ჯ...ის“ უძრავ ქონებას – 204 კვ.მ. ფართს, საკადასტრო კოდით: №....

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 თებერვლის განჩინებით ე. წ-ის (წარმომადგენელი გ. ბ-ე) განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ონბისძიების გამოყენების თაობაზე, დარჩა განუხილველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 თებერვლის განჩინებით ე. წ-ის მიერ 2016 წლის 12 იანვარს წარმოდგენილი დაზუსტებული სარჩელი მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შპს „ჯ...ის“ მიმართ, 2009 წლის 17 ივნისის №1-1316 ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, არ იქნა მიღებული სასამართლოს წარმოებაში; ე. წ-ის (წარმომადგენელი გ. ბ-ე) განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ონბისძიების გამოყენების თაობაზე დარჩა განუხილველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით ე. წ-ის სარ-

ჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ...ის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა სოფელ ...ას სასმელი წყლის ობიექტის წყალშემკრები (ცენტრალური ავზისათვის აუცილებელი, სანიტარული დაცვის ზონების (სამი სარტყელი) მოწყობა და დაცვის სამსახურით უზრუნველყოფა. დანარჩენი მოთხოვნის ნაწილში ე. წ-ის სარჩელი არ დაგმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 2 სექტემბრის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის მე-3 გვერდზე პირველი აბზაცის ბოლო წინადადებაში დაშვებული უსწორობა გასწორდა და აღნიშნული ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „რაც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი 2010 წელს“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩინორეს ე. წ-მა და ...ის მუნიციპალიტეტის გამგეობაშ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 2 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. წ-მა.

2016 წლის 15 თებერვალს აპელანტმა – ე. წ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, ყადაღა დადებოდა შპს „...ის“ სახელზე, ... საკადასტრო კოდით, რეგისტრირებულ უძრავ ქონებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის განჩინებით ე. წ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დატოვებულ იქნა განუხილველად სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის განჩინებაზე ე. წ-მა თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინა საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 აპრილის განჩინებით ე. წ-ის საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული და გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სააპელაციო პა-

ლატის განმარტებით, ე. წ-ის მიერ წარდგენილ საჩივარში ვერ იქნა მითითებული ისეთი ახალი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის შესახებ, რაც საჩივრის დაკმაყოფილებას შესაძლებელს გახდიდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 8 ივნისის განჩინებით ე. წ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლისა და 2017 წლის 13 აპრილის განჩინებები.

2019 წლის 13 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართა აპელანტის – ე. წ-ის – წარმომადგენელმა გ. ბ-ემ და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სახით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს „....ის“ სახელზე ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ყადაღისა დადება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ნოემბრის განჩინებით ე. წ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 2 სექტემბრის განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ნოემბრის განჩინებით აპელანტი ე. წ-ის წარმომადგენელის – გ. ბ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 ნოემბრის განჩინებით აპელანტის (მოპასუხე) – ....ის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა ...ის მუნიციპალიტეტის მერია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 ნოემბრის განჩინებით ე. წ-ისა და ...ის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების, დაუკმაყოფილებლობის თაობაზე, საჩივრით გასაჩივრა ე. წ-ის წარმომადგენელმა გ. ბ-ემ.

საჩივრის ავტორის განმარტებით, სადაც უძრავი ქონების მესაკუთრე გ. ბ-ე აპირებს აღნიშნული უძრავი ქონების გასხვისებას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დავის განხილვის დასრულებამდე არ შეეცვალოს სადაცო უძრავ ქონებას საზღვრები, მნიშვნელოვანია ყადაღა დაედოს შპს „...ის“ სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებას (ს.კ. ....).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 დეკემბრის განჩინებით ე. წ.-ის წარმომადგენლის – გ. ბ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ნოემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად 5 დღის ვადაში გადმოეგზავნა ზემდგომ სასამართლოს – საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სააპელაციო პალატის განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში აპელანტის მიერ შუამდგომლობაში კონკრეტულად და რეალურად ვერ იქნა მითითებული იმ კანონშეუსაბამობის თაობაზე, რაც ეჭვეჭვეშ დააყენებდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელებას ან შეუძლებლობას, დარღვეული ან სადაცო უფლების განხორციელებას, რაც გამოიწვევდა გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნებოდა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 მაისს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეს მოთხოვნა 2002 წლის 19 თებერვლის საკუთრების დამადასტურებელი №... ა მოწმობის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2003 წლის 19 აგვისტოს განხორციელებული სარეგისტრაციო ჩანაწერის უძრავ ქონებაზე, საკადასტრო კოდით: №..., 1999 წლის 07 ოქტომბრის №220 უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისა და 1999 წლის 17 სექტემბრის №126 მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობის შესახებ შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს საქმის განხილვის შედეგზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. წ.-ის წარმომადგენლის – გ. ბ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 13 ნოემბრისა და 2019 წლის 16 დეკემბრის განჩინებები, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის – ე. წ-ის მოთხოვნას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს „...ის“ სახელზე ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ყადალის დადგება წარმოადგენს, იმ საფუძვლით, რომ დავის განხილვის დასრულებამდე არ შეეცვალოს სადაც უძრავ ქონებას საზღვრები.

სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებას ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადაც უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცვალოს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩინა მოსარჩელეს აუცილებლად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკავშირების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. სარჩელის უზრუნველყოფა მთლიანად მოტივირებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფით; სარჩელის მთლია-

ნად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსალოდნებლი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობით, მისი გარდაუვალობით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ საქმეში ე. წ-ი სადავოდ ხდის უძრავი ქონების პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებით მიღებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების საკითხს, დადებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას და კონკურსის შედეგებს, რომლითაც მოხდა უძრავი ქონების, მდგრადარე – ...ის რ/ნ, სოფ. ...ში ...ის რიცხვის ქონების (...ი, ...ი და 1,2 ჰა მიწის ნაკვეთის) „...ის“ საკუთრებაში გადაცემა. ასევე ითხოვს ...ის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის სოფელ ...ას სასმელი წყლის წყალშემკრები ცენტრალური ავზისათვის 2 აუცილებელი, სანიტარული დაცვის ზონების (სამი სარტყელის) მოწყობისა და დაცვის სამსახურით უზრუნველყოფის დავალებას. ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის განაცხადებით მოსარჩელე ითხოვს შპს „...ის“ სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას (ს.კ. ...), იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დავის განხილვის დასრულებამდე არ შეეცვალოს სადაც უძრავ ქონებას საზღვრები, რადგან ქონების მესაკუთრე ბ. ბ-ე აპირებს აღნიშნული უძრავი ქონების გასხვისებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტივულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება. მართალია, აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს, თუმცა პრინციპულია, რამდენადაც ემსახურება გადაწყვეტილების აღსრულების მიზანს.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით ე. წ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს – ...ის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა სოფელ ...ას სასმელი წყლის ობიექტის წყალშემკრები ცენტრალური ავზისათვის აუცილებელი, სანიტარული დაცვის ზონების (სამი სარტყელი) მოწყობა და დაცვის სამსახურით უზრუნველყოფა. დანარჩენი მოთხოვნების ნაწილში ე. წ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ასევე არ დაკმაყოფილდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 ნოემბრის განჩინებით ე. წ-ისა და ...ის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივრები და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი არც განცხადების და არც საჩივრის განხილვის დროს სასამართლოს მხრიდან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის. მხარე განცხადებაში კონკრეტულად და რეალურად უნდა მიუთითობდეს იმ კანონშეუსაბამობის თაობაზე, რაც ეჭვქვეშ აყენებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელებას ან შეუძლებლობას, დარღვეული ან სადაც უფლების განხორციელებას, რაც გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, ამასთან, ქმნის სავარაუდო განცდას სარჩელის პერსპექტიულობის თაობაზე, რაც წინამდებარე შემთხვევაში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. წ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 13 ნოემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. წ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 13 ნოემბრისა და 2019 წლის 16 დეკემბრის განჩინებები;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩევლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

## განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-488(ქს-19)

12 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: 6. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
3. როინიშვილი

### აღნერილობითი ნაწილი:

ე. წ-მა 03.04.2018წ. სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ. სარჩელის არაერთგზის დაზუსტების შემდეგ მოპასუხებად დასახელდნენ: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრად განვითარების სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისი. მოსარჩელემ საბოლოოდ მოითხოვა: გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ...ში მდებარე ...ის ...ის 19024 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს სახელზე რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამსარეო სამმართველოს 04.08.2009წ. №5423 მიმართვის ბათილად ცნობა; აღნიშნული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს სახელზე ... საკადასტრო კოდით რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის 13.08.2009წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; სახელმწიფოს სახელზე ... საკადასტრო კოდით რიცხულ 19024 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს უსასყიდლო უზუფრუქტის რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის 03.09.2009წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; სახელმწიფოს სახელზე ... საკადასტრო კოდით რიცხული 19024 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსათვის უვადო სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაცემის რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გო-

რის სარეგისტრაციო სამსახურის 23.08.2011წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; სახელმიწოდებული სახელზე ... საკადასტრო კოდით რიცხული 19024 კვ.მ. მინის ნაკვეთის 2 ნაკვეთად: ... კოდით 18 952 კვ.მ. ფართით და ... კოდით 72 კვ.მ. ფართით დაყოფის რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის 25.01.2012წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში მდებარე 3859 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის ე. ს-ის სახელზე ... საკადასტრო კოდით რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის 03.07.2012წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ე. ს-ის სახელზე ... საკადასტრო კოდით რიცხული მინის ნაკვეთის კ. ს-ის სახელზე რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 22.11.2013წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; კ. ს-ის სახელზე ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 10.08.2015წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; კ. ს-ის სახელზე ... საკადასტრო კოდით რიცხული 3859 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის 2 ნაკვეთად: ... კოდით 271 კვ.მ. ფართით და ... კოდით 3587 კვ.მ. ფართით დაყოფის რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის 20.04.2016 წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; კ. ს-ის სახელზე ... და ... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების კვლავ 3803 კვ.მ. ფართად გაერთიანებისა და ... საკადასტრო კოდის მინიჭების რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 21.09.2016წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; კ. ს-ის სახელზე ... საკადასტრო კოდით რიცხული 3803 კვ.მ. მინის ნაკვეთის კვლავ 2 ნაკვეთად: ... კოდით 2981 კვ.მ. ფართით და ... კოდით 822 კვ.მ. ფართით დაყოფის რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 13.12.2016წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე კ. ს-ის სახელზე ... საკადასტრო კოდით რიცხული 2981 კვ.მ. მინის ნაკვეთის მ.თ-ის სახელზე რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 13.03.2017წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე კ. ს-ის სახელზე ... საკადასტრო კოდით რიცხული 822 კვ.მ. მინის ნაკვეთის მ. თ-ის სახელზე რეგისტრაციის შესახებ სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონუ-

ლი ოფისის 15.03.2017წ. № ... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მ. თ-ის სახელზე ... საკადასტრო კოდით რიცხული 822 კვ.მ. მინის ნაკვეთის კვლავ კ. ს-ის სახელზე რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 11.04.2017წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; კ. ს-ის სახელზე ... საკადასტრო კოდით რიცხული 822 კვ.მ. მინის ნაკვეთის 2 ნაკვეთად: ... კოდით 520 კვ.მ. ფართით და ... კოდით 302 კვ.მ. ფართით დაყოფის რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 15.08.2017წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; ე. წ-ის განცხადებაზე სარეგისტრაციო ნარმობის შენწყვეტის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 27.02.2018წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; ე. წ-ის საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 02.04.2018წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; ე. წ-ას-თვის კორექტირებული საკადასტრო აზომეოთი ნახაზის ნარდგენის ნინადადების მიცემის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 03.04.2018წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

დავის საქალაქო სასამართლოში განხილვისას, სასკ-ის 16.2 მუხლის საფრთხეზე, საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ: სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, გორის მუნიციპალიტეტის მერია, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ჯ.წ-ი, ბ.წ-ი, ლ.წ-ი, ა.წ-ი, კ. ს-ი, ზ. ს-ი (ე. ს-ის უფლებამონაცვლე), მ. თ-ე.

გორის რაიონული სასამართლოს 04.12.2018წ. გადაწყვეტილებით ე. წ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გასაჩივრა.

04.03.2019წ. ე. წ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაშდე სსკ-ის 198.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ს.კ. ... მინის ნაკვეთზე, კ. ს-ის საკუთრებაში არსებულ ს.კ. ... მინის ნაკვეთზე, მ. თ-ის საკუთრებაში არსებულ ს.კ. ... მინის ნაკვეთზე ყადალის დადება ან საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ს.კ. ..., ს.კ. ... და ს.კ. ... მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების, იპოთეკის, იჯარისა და ნებისმიერი სხვა საარგებლობის უფლებით დატვირთვის აკრძალვა და სსიპ საჯარო რეესტრს ეროვნული სააგენტოსათვის ე. წ-ის №... სარეგისტრაციო

წარმოებაში მითითებულ მინის ნაკვეთზე მესამე პირის საკუთრების უფლების რეგისტრაციის აკრძალვა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ არსებობს სადაც ნაკვეთების გასხვისების ან მათზე რაიმე სხვა გარიგების დადების რისკი, რაც დასტურდება დროის მოკლე შუალედში აღნიშნულ ნაკვეთებზე არაერთი ტრანზაქციის განხორციელებით. განმცხადებლის მოსაზრებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, რადგან შესაძლოა მოხდეს ნაკვეთების გასხვისება ან უფლებრივი დატვირთვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.03.2019წ. დროებითი განჩინებით ე. წ-ის განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალათ ს.კ. ...., ს.კ. .... და ს.კ. .... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთებზე ნებისმიერი სახის რეგისტრაციის განხორციელება მოცემულ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა გორში, სოფ. ...ში მდებარე (1828 კვ.მ.), ე. წ-ის №... სარეგისტრაციო წარმოებაში მითითებულ მინის ნაკვეთზე სხვა პირის საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოცემულ საკითხზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დადასტურდა კ. ს-სა და მ.თ-ეს შორის სხვადასხვა პერიოდში საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულებების დადებისა და ქონების გაყიდვის არაერთი ფაქტი. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ს.კ. ... ქონებაზე, დავის მიმდინარეობის პერიოდში, რამდენჯერმე პქონდა ადგილი მესამე პირის მიერ იჯარის უფლების წარმოშობის რეგისტრაციის მოთხოვნით ადმინისტრაციული ორგანიზაციის მიმართვის ფაქტს. აღნიშნულ ქონებაზე 03.01.2019წ. დარეგისტრირდა იჯარის უფლება. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ სადაც ქონებაზე არაერთი სარეგისტრაციო წარმოების განხორციელება ადასტურებდა ქონების განკარგვის მოსალოდნელობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.03.2019წ. დროებითი განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ. კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გადაწყვეტილების აღსრულებისათვის რეალური საფრთხის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი. უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანია სასამართლოს გადაწყვეტილე-

ბის აღსარულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. განსახილველ შემთხვევაში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობების არსებობა არ დასტურდება, სახელმწიფო არ აპირებს აღნიშნულ ქონებაზე რაიმე ტრანზაქციის განხორციელებას. გასათვალისწინებელია, რომ პირველი ინსტაციის სასამართლოში საქმის განხილვისას არ დამდგარა უზუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი, ე. წ-ი ვერ უთითებს რაიმე ისეთი გარემოების ცვლილებაზე, რამაც სააპელაციო ინსტანციაში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნა გამოიწვია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საჩივრის საფუძვლების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კერძმ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოიყენების მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს გააჩნია სამართალნარმოების ნებისმიერ ეტაპზე. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნ-

ველყოფის შესახებ. ამავე კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტისასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახეა მოპასუხისთვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფა მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭირების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. ამასთან, სწორედ მოსარჩელეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადაცო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით (სსკ-ის 191.1 მუხ.). სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს, ერთი მხრივ, სასამართლოს მიერ აღიარებული უფლების განხორციელების გარანტს, ხოლო, მეორე მხრივ, მოწინააღმდეგებ მხარის უფლების შეზღუდვის კანონიერ საფუძველს. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მსჯელობისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება დავის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადაწყვეტილების აღსრულება.

განსახილველ შემთხვევაში ე. წ-ის მიერ სარჩელი აღძრულ იქნა კონკრეტულ მიზნის ნაკვეთზე საკუთრების უფლების დარეგისტრირების მიზნით, რაც ვერ განხორციელდა ფიზიკური პირებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში რიცხულ ნაკვეთებთან ზედდების გამო, სწორედ რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფენის მიზნით ითხოვს მოსარჩელე კონკრეტული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცხობას. ამდენად, მართებულია ე. წ-ის მოსაზრება, რომ სარჩელის დაკმაყოფილების, სადაცო აქტების ბათილად ცნობის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გართულდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება; სადაცო უძრავი ნივთების გასხვისების ან უფლებრივი დატვირთვის შემთხვევაში წარმოშობა ახალი სასამართლო დავა, ე. წ-ი სარჩელის დაკმაყოფილების მიუხედავად, ვერ შეძლებს სარ-

ჩელის მიზნის მიღწევას. სწორედ აღნიშნული საფრთხის თავიდან აცილებას, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას ემსახურება სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნილი ღონისძიებების გამოყენება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ არ არის დადასტურებული ქონების გასხვისების ან უფლებრივი დატვირთვის საფრთხე, არ არის დასაბუთებული. საქმის მასალებით დასტურდება, რომ იმ მინის ნაკვეთებზე, რომლებიც მოსარჩელის დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიას ფარავს წლების განმავლობაში არაერთი ტრანზაქცია განხორციელდა, დასტურდება ნაკვეთების დაყოფა, გაერთიანება, გასხვისება, უფლებრივად დატვირთვა, საკადასტრო კოდების ცვლილება. ამდენად, დასაბუთებულია მოლოდინი, რომ მიმდინარე სასამართლო დავის განხილვის დასრულებამდე შესაძლოა კონკრეტულ ნაკვეთებთან მიმართებით კვლავ განხორციელდეს გარკვეული ქმედებები, რაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლებელს გახდის ან გაართულებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას.

ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საპროცესო კანონმდებლობა არ აწესებს რაიმე აკრძალვას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს გააჩნია სამართლარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ. ამდენად, კერძო საჩივრის მითითება პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობის არარსებობის შესახებ, არ გამოიცხავდა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში აღნიშნული შუამდგომლობის დაყენებისა და მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის განჩინება შედეგობრივად სწორია, საქმის მასალებით დასტურდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რის გამოც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-

ე, 198-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით და

### დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.03.2019წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივარდება.

### სარჩევის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნებისთვის საჭავო ადგინისტრაციული აქტის შეჩერება

#### განჩინება საქართველოს სახელი

№ბს-141(ქს-20)

8 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისიდ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. ქადაგიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ა. ა. ჰ. მ-დმა 2019 წლის 8 აპრილს სასარჩევო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე - სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ და მოითხოვა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 2 აპრილის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისთვის მოსარჩელის სახელზე მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2019 წლის 13 სექტემბერის გადაწყვეტილებით, ა. ა. ჰ. ჰ. მ-დის სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 2 აპრილის №... გადაწყვეტილება; სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ა. ა. ჰ. ჰ. მ-დისათვის მუდმივი ცხოვრების წებართვის გაცემასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასამარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 9 დეკემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივრი მიღებულ იქნა განსახილველად. აღნიშნულთან დაკავშირებით, ა. ა. ჰ. ჰ. მ-დმა 2019 წლის 24 დეკემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინა სააპელაციო შესაგებელი, რომლითაც იშუამდგომლა საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 2 აპრილის №... გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 დეკემბრის განჩინებით ა. ა. ჰ. ჰ. მ-დის შუამდგომლობა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 2 აპრილის №... გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შუამდგომლობის ავტორის განმარტება, რომ აქტის შეუჩერებლობა არსებითი ზიანის მომტანი იქნება მოსარჩელისთვის და წინამდებარე დავა აზრს დაკარგავს. სასამართლომ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე და მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსი, რეგულირების საგანი და მიზანი, მოსარჩელის მიერ მითითებული არგუმენტაცია არ ადასტურებს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებაზე მოსარჩელის უფლების რეალიზაციის დამოკიდებულებასა და მისი კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვის შეუძლებლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2019 წლის 26 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ა. ჰ. ჰ. მ-დმა, რომელმაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ ჩერდება ავტომატურად, თუ აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას. კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაფასოს მატერიალური ზიანისა და მოსალოდნელი საფრთხის მნიშვნელობა და ისე გადაწყვიტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების საკითხი. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სადაც შემთხვევაში „საფრთხე“ შეფასდა გასაჩივრებული აქტის საფუძვლიანობის განხილვისას, როდესაც სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი. ამავე გადაწყვეტილებით დადასტურდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობა, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილითან გამომდინარე, ასევე, წარმოშობს სასამართლოს უფლებას, შეაჩეროს ადმინისტრაციული აქტის მოქმედება.

კერძო საჩივრის თანახმად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, რადგან მიიჩნია, რომ არსებობს იგივე შედეგის მომცემი საკანონმდებლო მექანიზმი, თუმცა სასამართლოს არ აქვს უფლება, წაართვას მხარეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა იმ მოტივით, რომ სხვა ორგანოს მსგავსი შედეგის მომცემი ინსტრუმენტი გააჩნია. მოცემულ შემთხვევაში დავა ადამიანის უფლებათა დაცვას ემსახურება და არა ორი თანაბარი ინტერესის მქონე პირისათვის სამართლის დადგენას. დავის მეორე მხარეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო წარმოადგენს და შეუძლებელია უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც მოწინააღმდეგე მხარის უფლების მზღვდავი ეფექტის მქონე ინსტრუმენტის, განხილვა. უფრო მეტიც, დავაში მეორე მხარეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური რომ მონაწილეობდეს, მასაც კი არ შეეშლებოდა ხელი საკუთარი ფუნქციების ეფექტურ განხორციელებაში, რადგან სასამართლომ უკვე დაადგინა პირის ქვეყნისთვის უსაფრთხოება. გარდა ამისა, ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება გულისხმობს არა მხოლოდ დარღვეული უფლების აღდგენას, არამედ დროებით დაცვასაც, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სა-

ჯარო ხელისუფლების მიერ პირის რეალური ნეგატიური ფაქტების წინაშე დაყენების გამორიცხვა და უფლების პრევენციული დაცვა. მოსარჩელეს კი უწევს არაეფექტური ინსტრუმენტის გამოყენება საქართველოში დარჩენის უფლების რეალიზებისთვის. ამასთან, ბინადრობის ნებართვა მოიაზრებს არა მარტო საქართველოში ლეგალურად ყოფინის შესაძლებლობას, არამედ ამ უფლების საფუძველზე მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების რეალიზების საშუალებასაც წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, მხარეს გააჩნია დასაბუთებული ინტერესი სადაც აქტის მოქმედების შეჩერებისა.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები ქმნის გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების წინაპირობებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად ასკვნის, რომ ა. ა. ჰ. ჰ. მ-დის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება გამოტანილი საპროცესო სამართლის ნორმების დაცვით, სასამართლომ ობიექტური შეფასება მისცა საქმის მასალებს, რის გამოც არ არსებობს განჩინების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნავს, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. საკასაციო პალატა განმარტავს, აღნიშნული დებულებით განმტკიცებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტსაც სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დროული, სწრაფი და სათანადო აღსრულება წარმოადგენს. ამასთანავე, სასამართლოს გადაწყვეტილების ჯეროვანი აღსრულების უზრუნველყოფას ემსა-

ხურება კანონით არა მხოლოდ უკვე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურის გათვალისწინება, არამედ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება. მათ შორის, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების სამართლებრივ საფუძველს ადმინისტრაციულ პროცესში განსაზღვრავს ადმინისტრაციული საპროცეს კოდექსის 29-31-ე მუხლები. მითითებული კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების დროებითი დაცვის ღონისძიება – გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება წარმოადგენს ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას. ადმინისტრაციული საპროცეს კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სუსაენზიური ეფექტიდან გამომდინარე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად (ცნობის მოთხოვნით სარჩელის წარდგენა ავტომატურად იწვევს გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერებას. ამასთანავე, დასახელებული მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს, რომელთა თაობაზე სარჩელის წარდგენაც აქტის მოქმედების შეჩერებას ავტომატურად არ იწვევს. მათ შორის, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას („ბ“ ქვეპუნქტი). სადაც არ არის, რომ მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განეკუთვნება სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ისეთი ადმინისტრაციული აქტების წრეს, რომელთა მიმართაც არ მოქმედებს სუსაენზიური ეფექტი და სარჩელის სასამართლოში წარდგენა არ იწვევს გასაჩივრებული აქტების მოქმედების ავტომატურად შეჩერებას.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს, რომ მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას.

სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს ინდივიდუალური ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედე-ბის შეჩერების ვადა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული ნორმით დადგენილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერების აუცილებელი წინაპირობები: ეჭვი აქტის კანონიერების თაობაზე, ან აქტის გადაუდებელი აღსრულებით მხარისათვის არსებითი ზი-ანის მიყენების ალბათობის დადასტურება, ან მხარის კანონიერი უფლებისა თუ ინტერესის დაცვის შეუძლებლობა. ამრიგად, სადა-ვო შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-დექსის 29-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებ-რივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ შუამდგომლობის დაკ-მაყოფილება დამოკიდებული არის შუამდგომლობის დასაბუთებუ-ლებაზე, მხარემ უნდა უზრუნველყოს იმ გარემოებათა დადასტუ-რება, რომ სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შესაძლებლობის გა-მოყენების წინაპირობები (აქტის უკანონობა; აქტის აღსრულებით არსებითი ზიანის გამოწვევა; მოსარჩელის კანონიერი უფლების დაცვის შეუძლებლობა).

სადავო აქტის უკანონობასთან მიმართებით საკასაციო სასამარ-თლო აღნიშნავს, რომ აქტების კანონიერების საკითხის შესწავლა და გადაწყვეტა სასამართლოს არსებითი განხილვის საგანს წარმო-ადგენს. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკამდინა, დავა ამ ეტაპზე მიმდინარეობს სააპელა-ციო სასამართლოში, რომელიც სააპელაციო საჩივრის ფარგლებში აგრძელებს გასაჩივრებული აქტის კანონიერების საკითხის შესწავ-ლასა და შემოწმებას. დამატებით საყურადღებოა, რომ სადავო შემ-თხევაში, დავის საგნიდან გამომდინარე, სარჩელის საფუძვლია-ნობის შეფასება დამოკიდებულია საქართველოს სახელმწიფო უსაფ-რთხოების სამსახურის კონტრაბაზერვის დეპარტამენტის მიერ მო-ძიებული ინფორმაციის გამოკვლევაზე, რომელიც სახელმწიფო სა-იდუმლოებას წარმოადგენს. სწორედ გასაიდუმლოებული ინფორ-მაციის შესწავლის შედეგად უნდა მოახდინონ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა აქტის კანონიერების საკითხის გადაწყვეტა. ასეთ პირობებში კი, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და მოცე-მულ ეტაპზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად არ იძლევა იმგვარი დასკვნის გაკეთების შე-საძლებლობას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გა-მოყენების მიზნებისთვის სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტი უკანონობა.

რაც შეეხება გასაჩივრებული აქტის გადაუდებელი აღსრულე-

ბით მხარისათვის არსებითი ზიანის მიყენებას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მსგავსი ზიანის მიყენების საფრთხეს გამორიცხავს სპეციალური კანონმდებლობით გათვალისწინებული მოწესრიგება. კერძოდ, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უცხოელი ვალდებულია დატოვოს საქართველო საქართველოში კანონიერი საფუძვლით ყოფნის ვადის ამონურვამდე. ამავე კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, უცხოელს, რომელიც ვერ ასრულებს ამ კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტით მისთვის დაკისრებულ ვალდებულებას, შესაძლებელია გადაუვადდეს საქართველოდან გასვლის ვალდებულება, თუ საქართველოს საერთო სასამართლოში მიმდინარეობს წარმოება მისი მონაწილეობით და საქართველოში მის ყოფნას არსებითი მნიშვნელობა აქვს მისი ინტერესების დასაცავად. ამდენად, სასამართლოში დავის მიმდინარეობა შეიძლება, გახდეს დავის გადაწყვეტამდე უცხოელის საქართველოდან გაქვეების გადავადებისა საფუძველი. მოცემულ შემთხვევაშიც, მოსარჩევე რჩება საქართველოში მითითებული საკანონმდებლო მექანიზმის გამოყენებით. მართალია, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს და დელეგირებული უფლება-მოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ განეული მომსახურების ვადების, მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობებისა და საფასურის გადახდის წესის“ მე-2 მუხლის 27-ე პუნქტიდან გამომდინარე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადების მომსახურება ფასიანია, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში გათვალისწინებული და შეფასებული უნდა იქნეს მხარეთა ინტერესების თანაზომიერების პრინციპის დაცვის საკითხი. ერთი მხრივ, მოსარჩელის ინტერესია, შეძლოს საქართველოში თავისუფლად დარჩენა სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტამდე, საფასურის გადახდის გარეშე, დაცულ იქნეს მისი ოჯახის ერთიანობა, რადგან ჰყავს საქართველოს მოქალაქე მეუღლე და შვილი; მეორე მხრივ კი, სახელმწიფოს ინტერესია, დაიცვას მოქალაქეთა უსაფრთხოება, აკონტროლოს საქართველოში კონკრეტულ პირთა ყოფნის საფუძვლების კანონიერება, გამორიცხოს საქართველოს ტერიტორიაზე იმ უცხოელთა ყოფნა, რომლებიც არიან საფრთხის შემცველი საზოგადოებისთვის. საყურადღებოა, რომ მოსარჩელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლად სახელ-

დება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები, რომელთა თანახმადაც, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ; იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. შესაბამისად, სახელმწიფო მსგავსი კატეგორიის დავებში მოქმედებს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნებისთვის, რაც მოითხოვს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქის საქართველოდან გაძევების საკითხის თაობაზე წარდგენილი სარჩელით ავტომატურად არ მოხდეს მსგავსი აქტის მოქმედების შეჩერება, არამედ შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, მხარის მიმართვის საფუძველზე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეაფასოს პირის საქართველოში დარჩენის საფუძვლების არსებობა და მისი გაძევების გადავადების ვადის გონივრულობა. ამასთან, მოცემული რეგულირება იმავდროულად იცავს უცხო ქვეყნის მოქალაქის უფლებებს და აძლევს შესაძლებლობას, სადაც საკითხის გადაწყვეტამდე დარჩეს საქართველოში და შენარჩუნებულ იქნეს მისი არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა. მითითებული კი გამორიცხავს გასაჩივრებული აქტის დაუყოვნებლივ აღსრულებას და თანაზომიერების პრინციპის – კერძო და საჯარო ინტერესთა ბალანსის გაუმართლებელ ხელყოფას.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ასევე, არ იკვეთება გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერების აუცილებლობა საქმეზე სამომავლოდ მისალები გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნებისთვის. „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მსჯელობისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარუუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება დაცვის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადაწყვეტილების აღსრულება. უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტილისას სასამართლომ უნდა შეამონმოს, რამდენად არის გამართლებული მისი გამოყენება და გადაწყვიტოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასა და აღსრულების შეუძლებლობას შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არსებობის საკითხი“. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 9 მარტის განჩინება საქმეზე №ბს-935-927(კს-16)). საკასაციო სა-

სამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც დავის მიმდინარეობის განმავლობაში მოსარჩელის უფლებების დაცვის, მისი საქართველოდან გაძევების თავიდან აცილების მექანიზმს ითვალისწინებს სპეციალური კანონმდებლობა – „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც პირის სახელმწიფოდან გაძევების გადავადების შესაძლებლობას უშვებს საერთო სასამართლოებში ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული დავის მიმდინარეობის განმავლობაში და კერძო საჩივრის ავტორს სასამართლოს მიერ დავის არსებითად გადაწყვეტამდე აქვს საქართველოში დარჩენის უფლება, საქმეზე სარჩელის დაკამაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილების ჯეროვანი აღსრულება არ იქნება დამოკიდებული გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ შუამდგომლობის დაკამაყოფილებაზე. ამასთან, ის გარემოებები, რომ მხარემ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება მოითხოვა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში დავის განხილვის ეტაპზე და არ მოუთხოვია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა, ასევე, მიუთითებს, რომ დავის განმავლობაში მოსარჩელის საქართველოში დარჩენის უფლება იყო დაცული და იგი დამატებით გარანტიებს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თვალსაზრისით, არ საჭიროებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების წინაპირობები. სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის დაცვით მოხდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრებული განჩინების გამოტანა. სასამართლომ ობიექტური შეფასება მისცა საქმის მასალებს და მიიღო დასაბუთებული განჩინება. შესაბამისად, წარმოდგენილი კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 დეკემბრის განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე, 64-ე, 70-ე, 74-ე, 368-ე, 374-ე, 399-ე, 414-ე, 420-ე მუხლებით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ა. პ. მ-დის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 დეკემბრის განჩი-ნება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-რდება.

## **სარჩელის უზრუნველყოფის სახით დროებითი განხილვის მიზანების განვითარებისა**

### **განხილვა საქართველოს სახელით**

№ბს-160(ქს-20)

22 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა:** ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ად-  
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

10.10.2016წ. ბ. გ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო  
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ქ.  
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამარ-  
თლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არ-  
სებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კო-  
მისიის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიცი-  
პალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იური-  
დიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის საკუთრებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის  
09.11.2009წ. №167 საოქმო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა 45-  
ესაკითხის ნაწილში, ქალაქ თბილისში,...ის ...ის ტერიტორიაზე მდე-  
ბარე ... კვ.მ მიწის ნაკვეთის მ. ბ-ის საკუთრებად აღიარების თაო-

ბაზე; ქალაქ თბილისში, ...ის ...ის ტერიტორიაზე მდებარე ... კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 30.07.2015წ. მ. ბ-ზე გაცემული №10776 საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 14.07.2016წ. №517 საოქმო გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე, 09.11.2009წ. №167 საოქმო გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე; მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც ქალაქ თბილისში, ...ის ...ის ტერიტორიაზე მდებარე ... კვ.მ მიწის ნაკვეთზე აღიარებული იქნება ბ. გ-ის საკუთრების უფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 10.10.2016წ. განჩინებით ბ. გ-ის სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში. ამავე განჩინებით, ასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაერთო მ. ბ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2018 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით ბ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელებ სააპელაციო წესით გაასაჩინორა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.09.2019წ. განჩინებით ბ. გ-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილებად. ამავე სასამართლოს 13.01.2020წ. განჩინებით, ასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაერთო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

10.01.2020წ. ბ. გ-ის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის საფუძველზე, მოითხოვა სსიპ თვითშმართველი ქალაქის, თბილისის მუნიციპალიტეტის სახელზე რეგისტრირებულ სადაცო უძრავ ქონებაზე (ქ. თბილისში, ...ის ...ში მდებარე ... კვ.მ ფართის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდით – ...) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურისათვის ნებისმიერი სარეგისტრაციო წარმოების განხორციელების აკრძალვა (მესაკუთრის შეცვლა, იკოთვეა, გირავნობა – ქირავნობა, იჯარა, და ა.შ., სხვა ღონისძიებები, რაც ნაკლიანს გახდის უძრავ ნივთს). განმცხადებელმა მიუთითა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი

ახორციელებს სადავო უძრავი ქონების ფართობის დაზუსტებას, რაც დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე, ფართის გასხვისების ან სხვაგვარად განვარგვის წინაპირობაა. განმცხადებელმა დანართის სახით წარმოადგინა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს №... სარეგისტრაციო წარმოების ამსახველი დოკუმენტაცია, მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 16.12.2019წ. განცხადება, ინვენტარზაციის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ქონების დაზუსტების თაობაზე. განმცხადებლის განმარტებით, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს უძრავი ქონების იჯარით გაცემას, გასხვისებას პირდაპირ მიყიდვის ან აუქციონზე გატანის ფორმით, რაც შეუძლებელს გახდის სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, შესაბამისად, უკანონო ქმედების სამართლებრივი შედეგის გასაბათილებლად, შეიძლება წარმოიშვას ცალკე ადმინისტრაციული დავის წამოწყების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.01.2020წ. განჩინებით დაკმაყოფილდა ბ.გ-ის წარმომადგენლის – 6. გ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენების თაობაზე; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (ქალაქის თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი, მდებარე: ქ. თბილისი, ...ის ...ი, ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო; ... კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდი – ...). ნებისმიერი სახის რეგისტრაციის განხორციელება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული საჯარო რეესტრიდან ამონანერით დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისში, ...ის ...ში მდებარე ... კვ.მ ფართის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე (საკადასტრო კოდით ...) აღრიცხულია თვითმმართველი ქალაქის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლება. აღნიშნული უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია 16.11.2015წ. №... ამონანერი საჯარო რეესტრიდან.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცულ ამა თუ იმ პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას, რომელსაც სასამართლო იყენებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე. აღნიშნული ლონისძიების გამოყენებისას სასამართლო მსჯელობს მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ მისაღები გადაწ

ყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე, მოსამარჩელის მიერ მითითებული იმ კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც ადასტურებს ვარაუდს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაზე. საკითხს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და ამ ღონისძიების სახის შესახებ, წყვეტს სასამართლო მოთხოვნის ხასიათისა და შინაარსის გათვალისწინებით.

სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, ნათელია განმცხადებელის მიზანი – დავის დასრულებამდე სადაცო ქონებაზე დღეისათვის არსებული უფლებრივი მდგომარეობის შენარჩუნება და იგი ამ მიზნით, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ითხოვს ალტერნატიულად, სხვა და სხვა ღონისძიებების გამოყენებას, რაც სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, იმსჯელოს იმ ღონისძიებაზე, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს დავის საგანს. ამდენად, სასამართლო შეზღუდული არ არის განმცხადებლის მოთხოვნის ვიწრო ფორმულირებით, მისი სამართლებრივი მიზანი მოცემულ საკითხთან მიმართებით ცალსახაა. ამდენად, სააპელაციო პალატას შესაძლებლად და მიზანშეწონილად მიაჩნია უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე (დროებითი განჩინება).

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს უფლების დროებითი დაცვის ორგანარ შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუ მოსამარჩელე მოითხოვს აქტის ბათილად ცნობას ან ძალადაკარგულად გამოცხადებას, უფლების დროებითი დაცვა ხორციელდება ასკ-ის 29-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო ყველა სხვა სახის სარჩელისათვის გათვალისწინებულია ასკ-ის 31-ე მუხლში მოცემული მექანიზმი. ამ უკანასკნელის გამოყენებაა შესაძლებელი კომბინირებული სარჩელის წარდგენისას. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია სადაცო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარ მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლების გამო. მე-2 ნაწილის შესაბამისად, დროებით განჩინებას იღებს საქმის განმხილველი სასამართლო. ასეთ სასამართლოს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლო, ხოლო როდესაც დავა იხილება სააპელაციო ინსტანციაში-სააპელაციო სასამართლო.

სააპელაციო პალატის განმარტებით, დროებითი განჩინების მიზანია დავის საგანზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ისეთი მდგომარეობის შენარჩუნება, რომელიც შესაძლებელს გახდის

სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. დროებითი სასამართლო განჩინება წარმოადგენს პირის უფლების დაცვის ერთგვარ დანამატს. განსხვავებით ასკ-ის 29-ე მუხლისაგან, რომელიც უკავშირდება შეცილებით სარჩელს (ასკ-ის 22-ე მუხლს), 31-ე მუხლის მოწესრიგების სფეროს წარმოადგენს ასკ-ის 23-ე (სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე) და 24-ე (სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე) მუხლები.

სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, აქტების ბათილად ცნობასთან ერთად, მხარის მოთხოვნას წარმოადგენს აქტის გამოცემის დავალება (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითონებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას დაევალოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც ქ. თბილისში, ...ის ...ში, ... კვ-მ. ფართის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე (საკადასტრო კოდით ...) დარეგისტრირდება ბ. გ-ის საკუთრების უფლება). შესაბამისად, მოცემული საკითხის გადასაწყვეტად რელევანტურია ასკ-ის 31-ე მუხლის გამოყენება. პალატამ მიუთითა, რომ კანონმდებლის მიერ სასამართლოსათვის მინიჭებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა, ბუნებრივია, არ ნიშნავს სასამართლოს უფლებას, აღნიშნული ღონისძიება გამოიყენოს ნებისმიერ სარჩელთან მიმართებაში. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ყოველ კონკრეტულ საქმეზე სასამართლოს განსაკუთრებული მსჯელობის შედეგად უნდა განხორციელდეს. კანონი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ზოგად საფუძველს, ხოლო საკითხს, გამოყენებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, სასამართლო განსაზღვრავს იმ გარემოებებისა და მოსაზრებების ურთიერთშეჯვერების საფუძველზე, რომლებიც სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, უზრუნველყოფის ღონისძიება მიზნით გამართლებულად.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადაც უძრავი ქონების გასხვისების ან უფლებრივად დატვირთვის საკითხზე ადმინისტრაციული წარმოების შედეგად გადაწყვეტილების მიღება შესაძლოა გახდეს სასამართლო სამართალწარმოების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოება, რადგან სადაც მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის გასხვისების ან სხვაგარად განკარგვის შემთხვევაში, ბ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები აღარ იარსებებს. ამდენად, განსახილ-

ველ შემთხვევაში, არსებითად მნიშვნელოვანია დავის საბოლოოდ დასრულებამდე არსებული ფაქტობრივ სამართლებრივი მდგომარეობის შენარჩუნება. ბ. გ-ის სასარგებლოდ დავის გადაწყვეტის შემთხვევაში, მისი ინტერესის დაცვა, უფლების რეალიზაცია, ვერ განხორციელდება ან მნიშვნელოვანდ გაროულდება. აღნიშნული-დან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უნდა აეკრძალოს თვითმმართველი ქალაქის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, ...ის ...ში, ... კვ.მ ფართის არასასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნა-გებობაზე (საკადასტრო კოდით ...) ნებისმიერი სახის რეგისტრა-ციის განხორციელება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 13.01.2020წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივ-რა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალის-წინებული დროებითი განჩინება ნარმოადგენს უფლების წინასწა-რი დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს, როდესაც საქ-მე ეხება მოსალოდნელ მმართველობით ღონისძიებას – ინდივი-დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ქმედების განხორციელებას ან განხორციელებისაგან თავის შეკა-ვებას და აქედან გამომდინარე, პირის უფლებების მოსალოდნელ შეზღუდვას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-დექსის 31-ე მუხლის შინაარსი ითვალისწინებს ასევე იმ შემთხვე-ვას, როდესაც მოსარჩელის ინტერესს არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ნარმოადგენს, რათა ხელი არ შეემალოს საქმეზე მი-ლებული საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. განსახილებულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სადავონ უძრავი ქონება მდებარე-ობს „2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციი და მდინარე ვერეს ხეობის და მიმდებარე ტერიტორიის მდგომა-რეობის შესწოვლისა და შემდგომი აღდგენითი სამუშაოების ორგა-ნიზების მიზნით უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებუ-ლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 18.06.2015წ. №274 დადგენილებით შექმნილი უწყებათაშორისი კო-მისიის მიერ განსაზღვრულ სტიქიური უბედურების ზონაში/არე-ალში, სადაც ცხოვრება რისკის შემცველია ადამიანის სიცოცხლი-სა და ჯანმრთელობისათვის, შესაბამისად, უძრავი ქონების გან-კარგვა მიზანშეუწონელია. აღნიშნულს ადასტურებს სსიპ გარე-მოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული და კომისიის მიერ დამტკიცებული ...ის ...ის რუკა, რომელიც ასახავს 2015 წლის 13-14

ივნისს მდინარე ვერეს ადიდების შედეგებს/ადიდებული მდინარის გავლის ადგილებს.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სადავო უძრავი ქონება მდებარეობს კომისიის მიერ განსაზღვრულ სტიქიური უბედურების ზონაში/არეალში, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 05.07.2015წ. №17-66 დადგენილების შესაბამისად, მ. ბ-თან, როგორც ქონების მართლზომიერ მფლობელთან, 07.08.2015წ. გაფორმდა ხელშეკრულება „უძრავი ქონების დათმობის შესახებ“ და უძრავი ქონების მუნიციპალიტეტისათვის დათმობის სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტმა დაზარალებულ პირს გადასცა სტიქიამდე არსებული ქონების საბაზრო ღირებულება.

მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოცემულ საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, შესაძლო განკარგვის საშიშროებისა და სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანის აკრძალვის მიზნით, რამდენადაც, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტშია დაიწყერეს სებაში არსებული ქონება მისი მართლზომიერი მფლობელისაგან გამოისყიდა იმ საფუძვლით, რომ ქონება დაზიანდა/განადგურდა 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის/მდინარე ვერეს ადიდების შედეგად და მდებარეობს უწყებათაშორისი კომისიის მიერ დამტკიცებული სტიქიური უბედურების ზონაში/არეალში, სადაც ცხოვრება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველია. გარდა ამისა, საქმეზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით (რუკის ამონარიდებით) დგინდება, რომ №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მინის ნაკვეთი, სტიქიის შემდგომ და დღეის მდგომარეობითაც წარმოადგენს ...ს – მდინარე ვერეს გავლის ადგილს და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, რომელზეც მიუთითებს მოსარჩევე, სტიქიის შემდგომ აღარ არსებობს.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, რაც შეეხება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში №.... სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 16.12.2019წ. განცხადებას, აღნიშნული სარეგისტრაციო განცხადების საფუძველი არის სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის 18.01.2019წ. გაფორმებული „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ №56 ხელშეკრულება, რომლის პირვე-

ლი მუხლის თანახმად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უნდა მოახდინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (10 რაიონში) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, დაახლოებით 18 000 ერთეული მიწის ნაკვეთის აღრიცხვა-ფოტოგადაღება (აღნიშნულის დამადასტურებლად საქმეს ერთვის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 03.02.2020წ. №... ... წერილი). შესაბამისად, ...ის ...ში მდებარე დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ ...) სარეგისტრაციო მონაცემების განახლება, ისევე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვა საკადასტრო ერთეულების სარეგისტრაციო მონაცემების განახლება, მიმდინარეობს სწორედ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში და არ უკავშირდება მის განკარგვას. 03.02.2020წ. №... ... წერილით ქონების მართვის სააგენტო ცალსახად ადასტურებს, რომ ვერეს ხეობაში მდებარე უძრავ ქონებასთან (ს/კ ...) დაკავშირებით მიმდინარეობს მხოლოდ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა/დაზუსტება, ხოლო ზემოაღნიშნული მიზეზბიდან გამომდინარე, მისი განკარგვა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიზანშენონილი არ არის, პირიქით, მუნიციპალიტეტმა (საშიშროების მაღალი ხარისხიდან გამომდინარე), მოახდინა მართლზომიერი მფლობელისაგან მისი შეძენა.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცულ ამა თუ იმ პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების გარანტიას. აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისას სასამართლო მსჯელობს მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საფუძველზე, კერძოდ, სამომავლიდ მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების განხელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე და საფუძვლიანი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება თუ განჩინება უნდა ეფუძნებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს, საქმის გარემოებების ყოველმხრივ გამოკვლევას და დასაბუთებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები საკალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო სანარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორ

განიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს. ამავე კოდექსის 244-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვარავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დაგენილი და რომელი – დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, კერძო საჩივარში მითითებული საფუძვლები ქმნიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 333-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.01.2020წ. განჩინების გაუქმებას და აპელანტისათვის შეამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.03.2020წ. განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 13.01.2020წ. დროებითი განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდება ბ. გ-ის 10.01.2020წ. შუამდგომლობა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

**სამოტივაციო ნაწილი:**  
საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემონმების შედეგად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 13.01.2020წ. დროებითი განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდება ბ. გ-ის 10.01.2020წ. შუამდგომლობა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფას ემსახურება, შესაბამისი უზრუნველყოფის ღონისძიება დავის დასრულებამდე ახდენს მოსარჩელის უფლებებისა და ინტერესების დროებით დაცვას, ხელს უწყობს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების დამაპროლებელი გარემოებების თავიდან აცილებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მსჯელობისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ

აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება დავის განხილვის შედეგის – გადაწყვეტილების აღსრულება. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია შესაბამისი შუამდგომლობის სათანადოდ დასაბუთებაზე. შუამდგომლობის ავტორს ეკისრება მტკიცების ტვირთი, დაადასტუროს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების სახით ითვალისწინებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებისა (ასკ-ის 29-ე მუხლი) და დროებითი განჩინების მიღების (ასკ-ის 31-ე მუხლი) შესაძლებლობას. ამასთან, ასკ-ის 29-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიება, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე, ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრულ სარჩელს უკავშირდება, ხოლო ამავე კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება ყველა სხვა სახის სარჩელთან მიმართებაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31.1 მუხლის თანახმად, განცხადების საფუძველზე, სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დროებით განჩინებას იღებს საქმის განმხილველი სასამართლო. ასეთ სასამართლოს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლო, ხოლო როდესაც დავა იხილება სააპელაციო ინსტანციაში – სააპელაციო სასამართლო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დროებითი განჩინება უფლების წინასწარი დაცვის საშუალებაა, იგი შესაბამისი დავის დასრულებამდე უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარის ინტერესების დაცვის შესაძლებლობას, იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით ან ქმედების განხორციელებით მოსალოდნელია პირის უფლებების შეზღდვა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ 31.1 მუხლის ჩანაწერი მიუთითებს ამ სახის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობაზე სარჩელის აღძვრამდე, ამავე

მუხლის მეორე ნაწილი ადასტურებს, რომ დროებითი განჩინების მიღება შესაძლებელია სარჩელის ნარმოებაში მიღების შემდგომაც, საქმის პირველ და მეორე ინსტანციებში განხილვის ეტაპზე.

მოცემულ შემთხვევაში, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ერთ-ერთი სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია ასკ-ის 23-ე მუხლი (მოპასუხისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც ქ. თბილისში, ...ის ...ში, ... კვ.მ. ფართის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე (საკადასტრო კოდით ...) დარეგისტრირდება ბ. გ-ის საკუთრების უფლება), სააპელაციო სასამართლომ მიზანებონილად მიიჩნია ასკ-ის 31-ე მუხლის გამოყენება და მიიღო 13.01.2020ნ. დროებითი განჩინება, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის საადავო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის რეგისტრაციის განხორციელების აკრძალვის თაობაზე. გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია განსახილველი დავის დასრულებამდე სადავო უძრავი ქონების გასხვისების რეალური საფრთხის არსებობა. სასამართლომ გაიზიარა შუამდგომლობის ავტორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს №.... სარეგისტრაციო წარმოების მასალაში ასახული ინფორმაცია ინვენტარიზაციის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ქონების დაზუსტების თაობაზე, კავშირშია სადავო ფართის სამომავლოდ გასხვისების ან სხვაგვარად განკარგვის საფრთხესთან.

საკავალი სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია, მიუთითოს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკონტაქტო და ეროვნული სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სააგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 09.11.2009წ. №167 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით (საკითხი №45) აღნიშნულ მინის ნაკვეთზე აღიარებულ იქნა მ. ბ-ის საკუთრების უფლება. დადგენილია, რომ აღნიშნული უძრავი ქონება მოქცეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელზეც 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარმა სტიქიურმა მოვლენამ გამოიწვია ქონების დაზიანება და განადგურება. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული და კომისიის მიერ დამტკიცებული ...ის ...ის რუკაში ასახული მონაცემების მიხედვით, სადავო მინის ნაკვეთი, სტიქიის შემდგომ წარმოადგენს ...ს – მდინარე ვერეს გავლის ადგილს. საქმეზე წარმოადგენილი, თბილისში, ...ის ...ში მდებარე მ. ბ-ის საცხოვრებელი სახლის ტექნიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით შედ-

გენილი ა(ა)იპ ...ის 2015წ. დასკვნის შესაბამისად, მითითებული საცხოვრებელი სახლი ავარიულობის მიხედვით განეკუთვნება დაზიანების IV ხარისხს. შენობა მდებარეობს მდინარე ვერეს მარცხენა ფერდზე და არ ექვემდებარება რეაბილიტაციას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 05.07.2015წ. №17-66 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა (ხელშეკრულებაში წარმოდგენილმა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სახით) სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთან – მ. ბ-თან 07.08.2015წ. გააფორმა უძრავი ქონების დათმობის ხელშეკრულება, რომლითაც სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული 24.07.2015წ. №5003686615 დასკვნის გათვალისწინებით, სტიქიის შედეგად დაზარალებულს, თბილისში, ...ის ...ი ...ში მდებარე ... კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის დათმობის სანაცვლოდ, გადაეცა ფულადი თანხა – 212,760 ლარის ოდენობით. მითითებული დადგენილებით განსაზღვრული წესით ანაზღაურების სანაცვლოდ, დაზარალებულმა განაცხადა თანხმობა, რომ ... კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე (საკადასტრო კოდი ...), რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებას. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ.

ზემოაღნიშნული 07.08.2015წ. უძრავი ქონების დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე, თბილისში, ...ის ...ში მდებარე ... კვ.მ ფართის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე (საკადასტრო კოდი ...), რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლება.

ამდენად, უდავოა, რომ დღეის მდგომარეობით, სადაც უძრავი ქონების მესაკუთრეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს, ამასთან თვითმმართველი ქალაქის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი გახდა უძრავი ქონების საცხოვრებლად უვარებისობის დამადასტურებელი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, სტიქიური მოვლენის განვითარების ადგილზე მცხოვრებ დაზარალებულ პირთან გაფორმებული უძრავი ქონების დათმობის ხელშეკრულება. საკადასტრო სასამართლო ასევე საყურადღებოდ მიიჩნევს საქმეზე წარმოდგენილ ქონების მართვის სააგენტოს 03.02.2020წ. №... ... წერილს, რომლითაც სააგენტო მიზანშეუწონლად მიიჩნევს თვითმმართველი ქალაქის საკუთ-

რებაში არსებული №... უძრავი ქონების განკარგვას, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული უძრავი ქონება მართლზომიერმა მფლობელმა სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმო ავარიულობის გამო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობის ფარგლებში, სასამართლომ უნდა შეამონებოს, რამდენად ემსახურება საქმეზე გამოსაყენებელი უზრუნველყოფის ღონისძიება უშუალოდ სასარჩელო მოთხოვნით გათვალისწინებული ინტერესის დაკმაყოფილებას, ამასთან, შესაბამისი ღონისძიებას გამოყენების თაობაზე სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნები გავლენას არ ახდენს დავის არსებითად გადაწყვეტაზე.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც განსახილველ საქმეზე მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენს ქალაქ თბილისში, ...ის ...ის ტერიტორიაზე მდებარე ... კვ.მ მიწის ნაკვეთზე მ. ბ-ის საკუთრების აღიარების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ამავე უძრავ ქონებაზე ბ. გ-ის საკუთრების უფლების აღიარება (დავის საგანს არ წარმოადგენს სადაცო უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის კანონიერება და ძალაშია აღნიშნული რეგისტრაციის განხორციელების საფუძველი – სადაცო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გაფორმებული დათმობის ხელშეკრულება), არ დასტურდება, რომ სარჩელზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება – საჯარო რეესტრისათვის სადაცო უძრავ ქონებაზე ნებისმიერი სახის რეგისტრაციის განხორციელების აკრძალვა – დავის საგნიდან გამომდინარე ემსახურება მოსარჩელის ინტერესს და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, უზრუნველყოფის მოსარჩელის სამომავლო უფლების დაუბრკოლებლად რეალიზებას, რამეთუ, როგორც უკვე აღინიშნა, თვითმმართველ ერთეულზე განხორციელებულ საკუთრების უფლების რეგისტრაციას საფუძვლად უდევს კონკრეტული გარიგება. საკასაციო პალატა თვლის, რომ საპელაციო სასამართლო ვერ მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომელთა არსებობის პირობებშიც, დროებითი განჩინების მიღება აუცილებელია.

საკასაციო სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ...ის ...ში მდებარე სადაცო უძრავი ქონების (ს/კ ...) სარეგისტრაციო მონაცემების განხელება არ ადასტურებს სამომავლოდ მისი განკარგვის მიზნის არსებობას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 16.12.2019წ. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განცხადებით მიმართა ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტმა, თბილისში, ...ის ...ში მდებარე მუნიციპალიტეტის ქონების ინვენტარიზაციის ფარგლებში დაზუსტების თაობაზე. აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო №... სარეგისტრაციო წარმოება. ასევე დადგენილია, რომ N... სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველი გახდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმებული 18.06.2019წ. №56 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობის 23.05.2019წ. №1207 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ნება დაერთო, განეხორციელებინა თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უძრავი ქონების აზომვა-აღრიცხვისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების GIS პროგრამაში მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსაგან, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ხელშეკრულების მიხედვით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დავალების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (10 რაიონი) უნდა მოახდინოს: მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, დაახლოებით 18 000 ერთეული მიწის ნაკვეთის აღრიცხვა-ფოტოგადაღება; არაუმეტეს 3 500 ერთეული რეგისტრირებული შენობისათვის შიდა აზომვითი ნახაზების მომზადება; დაახლოებით 18 000 ერთეული დასარეგისტრირებელი ქონების (მიწის ნაკვეთი ან/და შენობა-ნაგებობა) აღრიცხვა-აზომვა.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების განმახორციელებელ ორგანოს, კანონით მინიჭებული აქვს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მიწის ნაკვეთების საზღვრების მართვის უფლებამოსილება (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16.02.2018წ. №13-42 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების“ შესაბამისად, სააგენტოს ფუნქციებში შედის: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციის უზრუნველყოფა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმება და უძრავი ქონების საზღვრების ცვლილება-კორექტირე-

ბა (ფართობის შემცირებით), უძრავი ქონების აზომვითი სამუშაოების შესრულება (დებულების 2.2 მუხლის „ა“, „ბ“, „ვ“ ქვეპუნქტები). თავის მხრივ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზემოაღნიშნული ფუნქციის განხორციელებას, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.02.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ მეორე მუხლის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქციაა ტოპოგრაფიული, გეოდეზიური, გრავიმეტრიული, კარტოგრაფიული, აერო და კოსმოსურ გადაღებითი საქმიანობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება).

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაზუსტებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში №... .... ადმინისტრაციული წარმოების დაწყება ემსახურება ხელშემჩველ მსარეთათვის კანონით მინიჭებულ საერთო მიზანს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში სათანადოდ იქნეს უზრუნველყოფილი უძრავი ქონების აღრიცხვა-რეგისტრაცია. ზემოაღნიშნული ნორმებით და 18.06.2019წ. №56 მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შინაარსით დგინდება, რომ მითითებული წარმოება არ უკავშირდება მხოლოდ საადავო უძრავი ქონების დაზუსტებას. ხელშეკრულების საგნად განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (10 რაონში) მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების აზომვა-აღრიცხვა. ამასთან, მითითებული წარმოების ფარგლებში დასაზუსტებელი ქონება შეიძლება მოიცავდეს მოსარჩევის ინტერესში შემავალ ქონებასაც, თუმცა საქმეში არსებული მტკიცებულებები არ ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გააჩნია უშუალოდ ამ ქონების დაზუსტების შემდეგ, მისი განკარგვის მიზანი. შესაბამისად, არ დასტურდება, რომ სწორედ აღნიშნული წარმოება უქმნის მოსარჩევეს რეალურ საფრთხეს, დაუბრკოლებლად შეძლოს სამომავლო უფლების რეალიზება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით კერძო საჩივრის ავტორი სათანადოდ ასაბუთებს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლის არსებობას. შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.01.2020წ. განჩინება და მიღებულ უნდა

იქნეს ახალი განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდება ბ. გ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, 31-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე, 419-420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 13 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი განჩინება;
3. ბ. გ-ის 10.01.2020წ. შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)